

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით



მწვავე პანკრეატიტის ქირურგიული მკურნალობის ოპტიმიზაცია თანამედროვე  
ტექნოლოგიების გამოყენებით

ზურაბ მანიჯაშვილი

დისერტაცია

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2021

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის #1 დეპარტამენტში

### სამეცნიერო ხელმძღვანელები:

**ნოდარ ლომიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსსუ ქირურგიის №1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

**გურამ ახალაძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს რენტგენორადიოლოგიის სამეცნიერო ფედერალური ცენტრის აბდომინური ონკოლოგიის და ონკოლოგიაში ქირურგიული ტექნოლოგიების განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

### ექსპერტები:

1. **ბაადურ მოსიძე** - მ.მ.დ. პროფესორი. თსსუ ქირურგიის №2 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მაღალი ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკური დირექტორი.
2. **გიორგი გიორგობიანი** - მ.მ.დ. პროფესორი. თსსუ ქირურგიის №3 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს ავერსის კლინიკის კლინიკური დირექტორი.
3. **გრიგოლ ნემსაძე** - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსსუ რენტგენოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

### დისერტაციის წინასწარი განხილვა შედგა:

გრ. მუხამის საქართველოს ქირურგთა ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე (2019 წლის 28 ნოემბერი. ოქმი №11).

თსსუ მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის ქირურგიის დეპარტამენტის გაერთიანებულ სხდომაზე (2020 წლის 17 დეკემბერი, ოქმი № 20/12/17-2)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 19 აპრილს, 16<sup>00</sup> სთ-ზე ონლაინ რეჟიმში

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შასავალი .....	6 გვ.
კვლევის აქტუალობა .....	6 გვ.
კვლევის მიზანი .....	7 გვ.
კვლევის პროცესში დასახული ამოცანები .....	7 გვ.
თავი 1. მწვავე პანკრეატიტი: პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა (ლიტერატურის მიმოხილვა). .....	9 გვ.
1.1. მწვავე პანკრეატიტი: ისტორიული ასპექტები .....	9 გვ.
1.2. მწვავე პანკრეატიტის ეპიდემიოლოგია .....	13 გვ.
1.3. მწვავე პანკრეატიტის კლასიფიკაცია .....	15 გვ.
1.4. მწვავე პანკრეატიტის კლინიკურ-ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა ..	22 გვ.
1.5. პროგნოზული სისტემების გამოყენება მწვავე პანკრეატიტის მიმდინარეობისა და შედეგის შეფასებაში .....	26 გვ.
1.6. მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა .....	28 გვ.
1.6.1. კონსერვატიული მკურნალობა .....	28 გვ.
1.6.2. მწვავე პანკრეატიტი და აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი ...	30 გვ.
1.6.3. მწვავე პანკრეატიტის ქირურგიული მკურნალობა .....	33 გვ.
1.6.3.1. ქირურგიული ჩარევები მწვავე პანკრეატიტის დროს .....	33 გვ.
1.6.3.2. მინიმალური ინვაზიური ოპერაცია მწვავე პანკრეატიტის დროს .....	39 გვ.
თავი 2. კლინიკური მასალები და კვლევის მეთოდები .....	42 გვ.
2.1. პაციენტების კლინიკური მახასიათებლები .....	42 გვ.
2.2. კვლევის მეთოდები .....	46 გვ.
თავი 3. კვლევის შედეგები .....	76 გვ.
3.1. მსუბუქი მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა .....	79 გვ.
3.2. საშუალო სიმძიმის მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა .....	84 გვ.

3.3. მძიმე მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა	93 გვ.
3.4. სტატისტიკური ანალიზი	104 გვ.
თავი 4. შეჯამება. - საკუთარი მასალის ანალიზი	113 გვ.
დასკვნები	132 გვ.
რეკომენდაციები	134 გვ.
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	137 გვ.
პრაქტიკული ღირებულებები	138 გვ.
ლიტერატურა	140 გვ.

**შემოკლებათა ჩამონათვალი:**

მპ - მწვავე პანკრეატიტი

ნპ -ნეკროზული პანკრეატიტი

NP-necrotizing pancreatitis

იმპ-ინტერსტიციული შეშუპებითი პანკრეატიტი

IEP-interstitial edematous pancreatitis

APFC -Acute peripancreatic fluid collections

მნკ- მწვავე ნეკროზული კოლექცია

ANC -Acute necrotic collections

შნ-შემოსაზღვრული ნეკროზი

WON- walled-off necrosis

პსმდ-პერიპანკრეასური სითხის მწვავე დაგროვება

აკს -ACS- აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი

იაპ- ინტრააბდომინურ ჰიპერტენზია

იაწ-ინტრააბდომინური წნევა

კტ-CT- კომპიუტერული ტომოგრაფია

მსკტ-მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფია

მრტ- MRI მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია

ეგდს-ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია

ერქვგ-ენდოსკოპური რეტროგრადული ქოლანგიოვირსუნგოგრაფია

MODS (Multiple Organ Dysfunction Score-პოლიორგანული დისფუნქციის ქულა)

SOFA (Sepsis-related Organ Failure Assessment- სეფსისთან დაკავშირებული ორგანოს უკმარისობის შეფასება).

qSOFA (სწრაფი SOFA).

სარს-SIRS-სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომი

პოუს-პოლიორგანული უკმარისობის სინდრომი

## შესავალი

### კვლევის აქტუალობა

მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკისადმი და მკურნალობისადმი გაზრდილი ინტერესი შემთხვევითი არ არის. ეს დაავადება დღესაც ერთერთ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გადაუდებელ აბდომინურ ქირურგიაში. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში მუდმივად იზრდება მწვავე პანკრეატიტის შემთხვევები. თუ, XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მისი სიხშირე მსოფლიოში საშუალოდ 100-300 შემთხვევა იყო მოსახლეობის მილიონზე წელიწადში, ამჟამად მოსახლეობის ერთ მილიონზე 700-800 ახლად დიაგნოსტირებული პაციენტი რეგისტრირდება. თუმცა, ეს მაჩვენებლები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის ალკოჰოლის მოხმარებისა და ნაღველკენჭოვანი დაავადების გავრცელების მიხედვით.

ბოლო წლებში მწვავე პანკრეატიტის ლეტალობის საერთო მაჩვენებელი დაახლოებით ერთსა და იმავე დონეზეა, 3-11% [130]. დაავადების ინტერსტიციულ-შემუპებითი ფორმის მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში არ იწვევს გართულებებს და ყველა არასასურველი შედეგი დგება პანკრეონეკროზის მქონე პაციენტებში, რომელთა ლეტალობა 20-45%-ია [39]. დაავადების პირველ ფაზაში ინტენსიური თერაპიის მეთოდების გაუმჯობესებამ, მხოლოდ ლეტალობის სტრუქტურის შეცვლა გამოიწვია: თუ 20 წლის წინ ლეტალობის უმეტესობა დაავადების პირველ 2 კვირაზე მოდიოდა და მიზეზი ძირითადად პოლიორგანული უკმარისობა იყო (რესპირაციული, თირკმლისმიერი და სხვა), დღეს პაციენტების უმრავლესობა მოგვიანებით ფაზაში ინფექციური გართულებებით იღუპება [32, 62, 176].

ანტიბიოტიკების ფართო პროფილაქტიკური გამოყენების მიუხედავად, რომელიც 1990-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო მწვავე პანკრეატიტის ინფექციური გართულებების თავიდან ასაცილებლად, აღმოჩნდა, რომ დროთა განმავლობაში არ შეიმჩნეოდა ინფექციის შემთხვევების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ამ პრობლემის გადაჭრის სხვა გზების ძიებას მოითხოვდა, როგორცაა: აგრესიული ჰიდრატაციის მიზანშეწონილობა, ადრეული ენტერალური კვება, კომპარტმენტ სინდრომის პრევენცია, მინიინვაზიური და ქირურგიული ჩარევების ოპტიმიზაცია და სხვა.

მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის პირველ(ადრეულ) ფაზაში, გარკვეული ერთსულოვნება ვლინდება კონსერვატულ თერაპიასთან მიმართებაში, ამიტომ ხანგრძლივი ინტენსიური თერაპიის კონცეფცია ფართო მასშტაბით განიხილება [9,17,107]. დღესაც კამათის საგანია ოპერაციის ჩვენებები, მათი ჩატარების დრო და მეთოდები. არ არსებობს კონსენსუსი ინვაზიური ჩარევების განხორციელების მეთოდებთან დაკავშირებით. ტრადიციული ქირურგიული ნეკრექსეკვესტრექტომიის მომხრეებს შორის უთანხმოებაა ოპერაციის ტექნიკურ ასპექტებთან და მისი დასრულების მეთოდებთან დაკავშირებით. ლეტალობა სხვადასხვა ქირურგიული მიდგომის შემდეგ იმდენად განსხვავებულია, რომ არ იძლევა საშუალებას ცალსახად ისაუბრო რომელიმე მეთოდის სასარგებლოდ. ამიტომ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის განსაზღვრული მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის ტაქტიკა.

ამრიგად, მწვავე პანკრეატიტის სიხშირის მუდმივი ზრდა, ინფექციური გართულებების პრევენციისა და დროული დიაგნოზის სირთულეები, მკურნალობის ტაქტიკური მიდგომების გაურკვევლობა და ქირურგიული ჩარევის სხვადასხვა მეთოდების ბუნდოვანი შედეგები, განსაზღვრავს ამ პრობლემის მთელი რიგი ასპექტების შესწავლის აუცილებელ საჭიროებას.

### **კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია მწვავე პანკრეატიტით პაციენტების მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება, სამკურნალო-დიაგნოსტიკური და ქირურგიული ჩარევის ტაქტიკის ოპტიმიზაცია.

### **კვლევის პროცესში დასახული ამოცანები**

1. მწვავე პანკრეატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობის ადრეულ ეტაპზე გამოიყოს მისი მძიმე მიმდინარეობის და არასასურველი პროგნოზირების ფაქტორები, რათა დროულად იყოს დაწყებული მკურნალობის-ინტენსიური თერაპიის კომპლექსი.
2. განისაზღვროს კომპიუტერული ტომოგრაფიის მნიშვნელობა, ჯერადობა და ვადები მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში.

3. შესწავლილ იქნას პანკრეასსა და რეტროპერიტონულ ქსოვილში ნეკროზული პროცესის ლოკალიზაციის და გავრცელების გავლენა პანკრეონეკროზის მიმდინარეობასა და გამოსავალზე.
4. განისაზღვროს რადიოლოგის როლი მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში და მკურნალობაში.
5. დაზუსტდეს მინიინვაზიური ჩარევის ადგილი და საჭიროება პანკრეონეკროზის მკურნალობის კომპლექსში.
6. შემუშავდეს მუცლის ღრუს დეკომპრესიის ჩვენება და შესრულების ტექნიკა, კომპარტმენტ სინდრომით გართულებული პანკრეონეკროზის დროს.
7. პანკრეონეკროზის დროს განისაზღვროს კონსერვატული მკურნალობის, მინიინვაზიური მეთოდების და ქირურგიული ჩარევის კრიტერიუმები, ჩვენება და ვადები.
8. ჩამოყალიბდეს ქირურგიულ ოპერაციის ჩვენება, დროულობა, მოცულობა, შესრულების ტექნიკური დეტალები, პანკრეონეკროზის დროს ნეკროზული პროცესის ლოკალიზაციიდან, მასშტაბიდან, მომიჯნავე ორგანოების ჩართულობიდან, დაავადების მიმდინარეობის ვადებიდან და პაციენტის სიმპიმიდან გამომდინარე.
9. განისაზღვროს პანკრეონეკროზის მკურნალობის კომპლექსში ღია ნეკრექტომიის ჩვენება, ვადები, შესრულების ტექნიკური დეტალები.



## თავი: 1 მწვავე პანკრეატიტი: პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა

### (ლიტერატურის მიმოხილვა)

#### 1.1. მწვავე პანკრეატიტი: ისტორიული ასპექტები

პირველი მწვავე პანკრეატიტი (მპ) აღწერილ იქნა N.Tulp-ის მიერ ამსტერდამიდან 1652 წელს, თუმცა იმავე პერიოდში G.Patin-მა პარიზიდან მსგავსი დაკვირვება მოახდინა და გამოქვეყნა იგი 10 წლის შემდეგ [150]. სხვა წყაროების თანახმად, მწვავე პანკრეატიტის შესახებ პირველი ინფორმაცია ეკუთვნის S.Alberti-ის (1578წ), J.Schenk-ს (1600წ) [45]. მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზის ყველა შემთხვევა დაფიქსირდა აუტოფსიის დროს, გარდაცვლილებთან მწვავე მუცლის კლინიკური სურათით.

მომდევნო საუკუნეების განმავლობაში, პანკრეასის ანატომიის და ფიზიოლოგიის შესახებ ინფორმაცია თანდათანობით გროვდებოდა, მაგრამ მწვავე პანკრეატიტის შემთხვევების აღწერილობები ერთჯერადი იყო. 1804 წელს A.Portal-მა დეტალურად აღწერა ნაღვლოვანი ქვებით გამოწვეული მწვავე პანკრეატიტის შემთხვევა. 1826 წელს A.Gendrin-მა ჩაატარა მსგავსი დაკვირვება [98]. 1842 წელს F. Claessen-მა და N.Friedreich-მა განიხილეს ალკოჰოლის მოხმარება, როგორც პანკრეატიტის მიზეზი [112, 113].

მწვავე პანკრეატიტის კვლევაში პირველი ფუნდამენტური ნაშრომი R.H. Fitz-მა გამოაქვეყნა 1889 წელს [91, 132]. სტატიაში «Acute Pancreatitis. A consideration of pancreatic hemorrhage, hemorrhagic, suppurative, and gangrenous pancreatitis, and of disseminated fat necrosis», რომლიც გამოქვეყნდა «Boston Medical and Surgical Journal»-ში. ავტორმა პირველად დასვა მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზი (რაც შემდგომში დადასტურდა აუტოფსიით), აღწერა მწვავე პანკრეატიტის კლინიკური სურათი, დაასახელა მისი კლინიკური სიმპტომები, ასევე გამოჰყო მწვავე პანკრეატიტის ჰემორაგიული, განგრენული და ჩირქოვანი ფორმები. პირველად ამ გზით ვითარდება მწვავე პანკრეატიტის კლასიფიკაცია. მნიშვნელოვანი იყო 1901 წელს გამოქვეყნებული E.L.Opie ნაშრომიც, რომელმაც პათოლოგანატომიური კვლევების საფუძველზე ფატალური მწვავე პანკრეატიტის განვითარება დაუკავშირა

თორმეტგოჯა ნაწლავის ფატერის დვრილში ჩაჭედილ ქვას [161]. ავტორმა შეიმუშავა „საერთო არხის“ თეორია და დაასაბუთა მწვავე პანკრეატიტის განვითარების კონცეფცია, პანკრეასის სეკრეციის გააქტიურების ფონზე. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ბოლომდე მწვავე პანკრეატიტის ინტრავიტალური დიაგნოზი იშვიათობა იყო. მუცლის ღრუს ქირურგიის განვითარებასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში, მწვავე პანკრეატიტის კლინიკური მონაცემების დადასტურება შესაძლებელი გახდა ოპერაციის დროს, ზოგიერთ პაციენტში გამოსავალის დადებითი შედეგით.

პირველადი ინფორმაცია მწვავე პანკრეატიტის ქირურგიული მკურნალობის შესახებ ძალიან ფრაგმენტულია. ითვლება, რომ A.Socin-მა პირველად შეასრულა ლაპარატომია მწვავე პანკრეატიტის დროს 1887 წელს [151]. სხვა წყაროების თანახმად, პირველი წარმატებული ოპერაცია პაციენტებში ჩატარდა W.S. Halsted-ის მიერ 1890 წელს [45]. იმ წლებში, პაციენტთა უმრავლესობას ოპერაცია უკეთდებოდა "მწვავე მუცლის" დიაგნოზით და მხოლოდ ინტრაოპერაციულად დგინდებოდა დაავადების ჭეშმარიტი მიზეზი.

მწვავე პანკრეატიტის შესახებ პირველი მონოგრაფიები გამოქვეყნებული იყო გერმანელი სპეციალისტების L.Oser-ის და W.Korte-ს მიერ 1889 და 1899 წლებში [151]. შემდგომში, XX საუკუნეში გაგრძელდა ფუნდამენტური კვლევები პანკრეასის ანატომიისა და ფიზიოლოგიის სფეროში და შემუშავდა ამ დაავადებების დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდები. 1907 წელს, J.Wohlgelmuth-ის შრომების წყალობით, დაინერგა შარდის ამილაზა/დიასტაზის განსაზღვრა კლინიკურ პრაქტიკაში, რამაც შესაძლებელი გახდა მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზის დადგენა უფრო ხშირად [195, 202]. ამასთან, მრავალი წლის განმავლობაში არ არსებობდა მწვავე პანკრეატიტის არაინვაზიური (ან მინიმუმ ინვაზიური) საიმედო დიაგნოსტიკის მეთოდები, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა ამ დაავადების მკურნალობას და ამახინჯებდა სტატისტიკურ მონაცემებს.

მწვავე პანკრეატიტის ლაპარასკოპიული დიაგნოზის პირველი ცნობები მოცემულია 1969 წელს A.C.Логинов-ის და მისგან დამოუკიდებლად P.X.Васильев-ის მიერ. მას შემდეგ ავტორთა გარკვეული ჯგუფი ამ მეთოდს ფართოდ იყენებდა სასწრაფო პანკრეატოლოგიაში

[17]. XX საუკუნის ბოლოს, როდესაც შემუშავდა პანკრეასის გამოსახულების უშუალო მეთოდები - ულტრაბგერითი და კომპიუტერული ტომოგრაფია(კტ), შესაძლებელი გახდა მწვავე პანკრეატიტის არსებობისა და ფორმის ზუსტად დიაგნოსტიკა [200]. მანამდე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ლაპარატომიის ან აუტოფსიის დროს.

მწვავე პანკრეატიტის უცნობმა პათოგენეზმა, ობიექტურმა სირთულეებმა დიაგნოსტიკაში, მედიკამენტური მკურნალობის არარსებობამ, განაპირობა XIX საუკუნის ბოლოდან 1938 წლამდე აგრესიული მიდგომა მწვავე პანკრეატიტის მკურნალობაში. ამ დროისათვის დამახასიათებელია ცნობილი ქირურგის B B.Moynihan-ის გამონათქვამი „ამ დაავადებიდან გამოჯანმრთელება ქირურგიული ჩარევის გარეშე იმდენად იშვიათია, რომ ყველა დიაგნოსტიკური შემთხვევა უნდა იყოს ოპერირებული“ [156]. მიუხედავად ამისა, გადაუდებელი ოპერაციის მონაცემები იყო არასახარბიელო და ლეტალობა უახლოვდებოდა 50–78%. ამიტომ 1938 წელს გერმანიაში კონგრესზე წამყვანი ევროპელი და ჩრდილოეთ ამერიკელი ქირურგების მიერ გადაწყდა მწვავე პანკრეატიტის კონსერვატიული მკურნალობის მიზანშეწონილობა. ქირურგიულ მკურნალობას ექვემდებარებოდნენ ავადმყოფები გართულებებით (პანკრეასის აბსცესი), ამან განაპირობა ლეტალობის შემცირება [170]. კონსერვატიული მკურნალობის ეფექტურობა ამ წლებში განაპირობა სამკურნალო საშუალებების ინტრავენურმა გამოყენებამ, მათ შორის პლაზმის შემცვლელი პრეპარატების და ანტიბიოტიკების დანერგვამ [84].

1960 წლებიდან სამედიცინო წრეებში, კვლავ აღორძინდა ქირურგიული მკურნალობის გააქტიურების ტენდენცია მწვავე პანკრეატიტის დროს. ეს დაკავშირებული იყო ერთის მხრივ ანესთეზიოლოგიური და რეანიმაციული სამსახურების გაუმჯობესებასთან, რამაც შეამცირა პოსტოპერაციული ლეტალობა და მეორეს მხრივ, გახშირდა ქირურგიული ჩარევები პანკრეატიტის ინფიცირებული ფორმების დროს, რომელნიც იმ პერიოდში გაერთიანდნენ ტერმინში „პანკრეატოგენული აბსცესი“ [94, 113]. მწვავე პანკრეატიტის ქირურგიული მკურნალობის პროპაგანდას ხელი შეუწყო G.T.Watts-მა, რომელმაც 1963 წელს წარმატებით გააკეთა ტოტალური პანკრეატექტომია პანკრეონეკროზის დროს [224].

ცნობილი ქირურგები Шалимов А.А. და Шалимов С.А. ასევე მომხრეები იყვნენ აქტიური ქირურგიული მკურნალობის [43]. პოსტოპერაციული ლეტალობა იყო 40% და თითქმის იგივე იყო ლეტალობის მაჩვენებლები იმ ავადმყოფებში, რომელთაც ჩაუტარდათ კონსერვატული მკურნალობა პანკრეონეკროზის დროს [48]. ამ წლებში გაჩნდა კონცეფცია პანკრეასში ანთებითი პროცესის კუპირებისა პერიტონული ლავაჟით, რომლის დროსაც ხდებოდა ვაზოაქტიური ტოქსიური სუბსტანციების ევაკუაცია [221]. გასული საუკუნის 70–80 წლებში ტრავმული ლაპაროტომიის მაგივრად დრენაჟები იდგმებოდა ლაპაროსკოპული კონტროლით [14, 28, 30, 36]. მაშინ მწვავე პანკრეატიტის მკურნალობაში გაჩნდა „სამმაგი დრენირების“ მეთოდიკა, ანუ ფორმირდებოდა გასტროსტომა, ქოლეცისტოსტომა, რათა განხორციელებულიყო პანკრეასის ფუნქციური მოსვენება და საკვები იეიუნოსტომა. მართალია ავადმყოფების მცირე ნაწილში აღინიშნა გაუმჯობესება, მაგრამ ავადმყოფების 42% სტერილური პანკრეონეკროზით ინფიცირდებოდა, ამიტომ მკურნალობის ეს მეთოდი უგულებელყოფილ იქნა [33, 145, 172, 173].

გასული საუკუნის 80 წლებიდან პანკრეონეკროზის დროს თანდათან ადგილი დაიმკვიდრა ნეკრექტომიამ. თვალსაჩინო კავშირი პანკრეასის უსისცოცხლო ქსოვილს, რეტროპერიტონულ უსისცოცხლო ცხიმოვან ქსოვილს და სისტემურ ანთებით რეაქციას შორის და ასევე მეორადი ინფიცირების საშიშროებამ მიიყვანა ქირურგები ნეკროზული ქსოვილების სრულ მოცილებამდე, პანკრეასის სიცოცხლისუნარიანი ქსოვილის მაქსიმალური შენარჩუნებით [11, 61, 185, 188]. თუმცა ქირურგიულ ოპერაციაზე კანდიდატების შერჩევა და ოპერაციის ვადები იყო ძალიან ბუნდოვანი. ამ პერიოდში ზოგიერთი ქირურგი, ყველა პაციენტს პანკრეონეკროზით, უკეთებდა ოპერაციას ბაქტერიოლოგიური სტატუსის განურჩევლად [60, 62, 175]. თუმცა ნაწილი ქირურგებისა, ოპერაციას სტერილური პანკრეონეკროზის დროს უკვე არ თვლიდა გამართლებულად [173, 196].

მე-XX საუკუნის განმავლობაში გროვდებოდა მონაცემები მწვავე პანკრეატიტის გამომწვევი მიზეზების, მექანიზმების, ასევე დიაგნოსტიკის და მკურნალობის ტაქტიკის

შესახებ. მიუხედავად ამისა, 90-ინი წლებისთვის მთლიანი კონცეფცია ამ დაავადებაზე არ იყო ჩამოყალიბებული. მკურნალობის მეთოდები იცვლებოდა, თუმცა შედეგები მნიშვნელოვნად არ უმჯობესდებოდა, რაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს აიძულებდა გაეგრძელებინათ კვლევები ამ რთული პრობლემის მიმართულებით.

## 1.2. მწვავე პანკრეატიტის ეპიდემიოლოგია

ამჟამად, მწვავე პანკრეატიტი მუცლის ღრუს ორგანოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მწვავე ქირურგიული დაავადებაა მოზრდილ პაციენტებში, რაც ადამიანისათვის დიდი ემოციური, ფიზიკური და ფინანსური დატვირთვაა [194, 127]. მწვავე პანკრეატიტის ყველაზე მაღალი სიხშირე გვხვდება 30-50 წლის ასაკში, რაც ხაზს უსვამს პრობლემის სოციალურ მნიშვნელობას [27, 186].

მწვავე პანკრეატიტის დაავადება რუსეთში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, ისევე როგორც იაპონიაში, მუდმივად იზრდება, რასაც ხელს უწყობს ნაღვლკენჭოვანი დაავადებით დაავადებულ პაციენტთა და ალკოჰოლური სასმელების მომხმარებელთა, როგორც დაავადების ძირითადი ეტიოლოგიური ფაქტორების რაოდენობის ზრდა [103, 187, 228]. დღემდე მწვავე პანკრეატიტის დაავადების პრევალენტობა მერყეობს 4.8-დან 23.8 შემთხვევამდე 100000 მოსახლეზე წელიწადში [103]. გაერთიანებული სამეფოს ინფორმაცია მიუთითებს ალკოჰოლური სასმელებით განპირობებული მწვავე პანკრეატიტის 20.7 შემთხვევის რეგისტრაციაზე 100000 მოსახლეზე წელიწადში, ხოლო მწვავე ბილიარული პანკრეატიტის ყოველწლიური დიაგნოზი 35 შემთხვევაა იგივე რაოდენობის მოსახლეობაზე [52, 174]. ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2009 წელს მწვავე პანკრეატიტი იყო ყველაზე გავრცელებული გასტროენტეროლოგიური დიაგნოზი, რომლის მკურნალობის ღირებულებამ 2,6 მილიარდი დოლარი შეადგინა [89]. ბოლო კვლევებით მსოფლიოში 100000 მოსახლეზე მწვავე პანკრეატიტის შემთხვევა ვარირებს 4,9 დან 73.4-მდე [87, 88, 89, 127]. ჩატარებული კვლევებით აღინიშნება მწვავე პანკრეატიტის რაოდენობის ზრდა [164].

დღემდე ცნობილია დაახლოებით 100 ეტიოლოგიური ფაქტორი, რომლებიც იწვევს პანკრეატიტს [165, 163, 187], რომელთა შორის გამოყოფენ: მეტაბოლურ დარღვევებს,

გარკვეული მედიკამენტების გამოყენებას, კარდიოვასკულურ ჩარევებს, ვასკულიტს, პანკრეასის ტრავმას, ბაქტერიულ და ვირუსულ ინფექციებს, ენდოსკოპურ და ქირურგიულ ჩარევებს პანკრეასსა და მიმდებარე ორგანოებზე და ა.შ. მაგრამ მწვავე პანკრეატიტის მრავალ მიზეზს შორის, არსებობს ორი ძირითადი ფაქტორი: ალკოჰოლის მიღება და ნაღვლკენჭოვანი დაავადება, რომელიც პანკრეატიტის ყველა შემთხვევის 80%-ს შეადგენს [29, 186]. ამასთან, შემთხვევების 10-42%-ში შეუძლებელია ეტიოლოგიური ფაქტორების დადგენა მწვავე პანკრეატიტის განვითარებაში [159, 187]. ასეთი შემთხვევები ხასიათდება როგორც იდიოპათიური პანკრეატიტი. ბოლო პერიოდში მწვავე პანკრეატიტით განპირობებული საერთო სიკვდილობა იყო 2-5% და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დაავადების ფორმების მიხედვით: თუ შეშუპებითი პანკრეატიტით, ლეტალობა არ აღემატება 1%-ს და უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია ე.წ. "არაპანკრეატოგენული" ფაქტორებით, მაშინ დესტრუქციული პანკრეატიტის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 15–85% შეადგენს და სამედიცინო ტექნოლოგიების პროგრესის მიუხედავად მისი შემცირების ტენდენცია არ აღინიშნება [7, 103, 116, 204].

ბოლო წლების განმავლობაში მრავალრიცხოვანი კვლევები მიუთითებენ, რომ პანკრეონეკროზის დროს, ინფექციური გართულებები სიკვდილის მთავარი მიზეზია, ხოლო ლეტალობა დაავადების ადრეულ - სტერილურ პერიოდებში არ არის სიკვდილობის საერთო მაჩვენებლის 20%-ზე მეტი და ამ ფაქტს ხსნიან სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის და ადრეული პოლიორგანული უკმარისობის პერიოდში პაციენტების მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებით [32, 157, 211]. ამასთან, დიდი რაოდენობით სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე, მათ შორის პათოლოგანატომიური კვლევების მონაცემებიდან გამომდინარე, სხვა ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ ადრეული (ავადმყოფობის პირველივე კვირის განმავლობაში) ლეტალობა უკიდურესად მაღალია და 48-60% ფარგლებშია, რაც განპირობებულია პირველ რიგში, რესპირაციული დისტრესის სინდრომის განვითარებით [56].

ამრიგად, ეპიდემიოლოგიური მონაცემების ანალიზი მიუთითებს მწვავე პანკრეატიტის სიხშირის მუდმივ ზრდაზე და ეს დაავადება ძირითადად აზიანებს შრომისუნარიან პაციენტებს. პანკრეონეკროზის დროს ხშირია ლეტალური გამოსავალი, მაშინ როცა შეშუპებითი პანკრეატიტის დროს გამოსავალი კეთილსაიმედოა. მიუხედავად სამედიცინო აღჭურვილობის და ტექნოლოგიების შესამჩნევი წინსვლისა, აგრეთვე ფუნდამენტური ცოდნის პროგრესისა, პანკრეონეკროზის დროს ლეტალობის მაჩვენებელი კვლავ მაღალ დონეზე რჩება. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მიუთითებს შესასწავლი პრობლემის უდიდეს მნიშვნელობაზე.

### 1.3. მწვავე პანკრეატიტის კლასიფიკაცია

მწვავე პანკრეატიტის (მპ) პირველი კლასიფიკაცია შეიმუშავა R.H.Fitz -მა 1889 წ. [91, 132]. მას შემდეგ შემოთავაზებული იყო 100-ზე მეტი კლასიფიკაცია, მაგრამ მე-XX საუკუნის ბოლომდე ამ საკითხში ერთიანობა მაინც არ არსებობდა [182, 198]. მწვავე პანკრეატიტის კლასიფიკაციები წარმოდგენილი და განხილული იყო მარსელის (1963, 1984), კემბრიჯის (1983) საერთაშორისო კონფერენციებზე. რუსეთში XX საუკუნის ბოლომდე იყენებდნენ ვ.ს. საველიევის კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით მწვავე პანკრეატიტი იყოფოდა: შეშუპებით პანკრეატიტად, ცხიმოვან და ჰემორაგიულ პანკრეონეკროზად. გამოყოფილი იყო პანკრეატიტის მიმდინარეობის 3 ფაზა: პანკრეოგენული შოკი, პარენქიმული ორგანოების ფუნქციური უკმარობა და ჩირქოვანი გართულებები [32,33]. ასეთი გაურკვეველობა იყო იმის გამო, რომ ამ დაავადების აღწერილობისას, თითოეული მკვლევარი იყენებდა მხოლოდ საკუთარ შეხედულებას პრობლემაზე და იმ ტერმინოლოგიას, რომელიც მან პირადად შეიმუშავა. დროთა განმავლობაში, ამგვარი განმარტებების რაოდენობა გაიზარდა და ისინი ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, რამაც საბოლოო ჯამში, E.L. Bradley-ს ფიგურული გამონათქვამის თანახმად მკვლევარები მიიყვანა "პანკრეატიტის ბაბილონის კოშკის მშენებლობასთან" [69].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მწვავე პანკრეატიტის ფორმებისა და გართულებების განსხვავებული ტერმინოლოგია მნიშვნელოვნად ართულებდა

ლიტერატურის მონაცემების ინტერპრეტაციას და პაციენტების სხვადასხვა ჯგუფების მკურნალობის შედეგების ანალიზს. მრავალი კლასიფიკაციის სიუხვე და შეუსაბამობა ყოველთვის იყო გაუგებრობისა და დავის საგანი მწვავე პანკრეატიტის ნოზოლოგიური ფორმების და მისი გართულებების განმარტებებში. არსებული უზუსტობები აშკარად აფერხებდა ამ რთული დაავადების მკურნალობის ეფექტური მეთოდების შემუშავებას. პირველი ნაბიჯი ტერმინოლოგიის გასამარტივებლად და შესაბამისად მწვავე პანკრეატიტის გართულებების მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებაში განიხილება R.Bittner et all. შრომაში, რომელმაც 1987 წელს, პირველმა გამოყო მწვავე პანკრეატიტის ინფექციური გართულებების მრავალფეროვნებიდან ინფიცირებული ნეკროზი და პანკრეასის აბსცესი [64].

ამრიგად, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის, მწვავე პანკრეატიტის უნივერსალური კლასიფიკაციის საკითხი საბოლოოდ მომწიფდა. შესაბამისად, მედიცინის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა 1992 წელს ატლანტაში (აშშ) ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი [68, 168]. ამ შეთანხმებით სიმპოზიუმზე, რომელიც 15 ქვეყნიდან 40 სპეციალისტი-პანკრეატოლოგი მონაწილეობდა, მწვავე პანკრეატიტის განმარტებასა და კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა [68,69, 168]. რეკომენდებული მწვავე პანკრეატიტის კლასიფიკაცია ემყარებოდა პანკრეატიტის ინტრააბდომინურ და სისტემური გართულებების გამოყოფას, გათვალისწინებით დაავადების სიმძიმისა, მწვავე ანთებითი და დესტრუქციული პროცესისა [76]. მწვავე პანკრეატიტი განმარტებული იყო, როგორც პანკრეასის მწვავე ანთება, პათოლოგიურ პროცესში სხვა რეგიონული ქსოვილების ან ორგანოების პერიოდული ჩართულობით.

ამ კლასიფიკაციის შესაბამისად, განასხვავებდნენ: 1) მწვავე პანკრეატიტს: ა) მსუბუქი, ბ) მძიმე; 2) სითხის მწვავე დაგროვებას; 3) პანკრეასის ნეკროზს: ა) სტერილური, ბ) ინფიცირებული; 4) მწვავე ფსევდოციტას; 5) პანკრეასის აბსცესს. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, მწვავე პანკრეატიტი იყოფოდა 2 კლინიკურ ფორმად: მსუბუქ და მძიმედ. მის თითოეულ ფორმას შეესაბამებოდა კლინიკური (ზოგადი) და პათომორფოლოგიური



(ადგილობრივი) გამოვლინებანი. მსუბუქი მწვავე პანკრეატიტისათვის დამახასიათებელი იყო პანკრეასის ინტერსტიციული შეშუპება და ორგანოების მინიმალური დისფუნქცია, რაც ადვილად განიცდის კუპირებას. პათოლოგიური პროცესის უპირატესი გამოვლინებაა პანკრეასის ინტერსტიციული შეშუპება. თუმცა, მწვავე შეშუპებითი პანკრეატიტის დროს მიკროსკოპულად შესაძლებელია გამოვლინდეს პანკრეასის პარენქიმის ან პარაპანკრეასული ცხიმოვანი ქსოვილის ნეკროზი, რაც ხშირად მთავრდება გამოჯანმრთელებით. თუმცა მწვავე შეშუპებითი პანკრეატიტის დროსაც დაავადებას შეიძლება ჰქონდეს მძიმე მიმდინარეობა. მძიმე მწვავე პანკრეატიტში, იგულისხმებოდა კლინიკური (ზოგადი) და/ან პათომორფოლოგიური (ადგილობრივი) ნიშნების გამოვლენა. კლინიკური ნიშნების გამოვლენა გულისხმობდა სიმძიმის ნიშნების გამოვლენას მრავალპარამეტრიანი სკალების მიხედვით (RASON>2-ზე ან APACHE-II>8) ან ორგანოების დისფუნქციის გამოვლენას, ოთხიდან ერთის: შოკი (სისტოლური არტერიული წნევა<90 მმ. Hg), რესპირაციული უკმარისობა ( $PaO_2 < 60$  მმ. Hg), თირკმლის დისფუნქცია (კრეატინინი>177 მმოლ/ლ რეჰიდრატაციის შემდეგ), კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენა (>500მლ/სთ).

ატლანტას 1992 წლის კლასიფიკაციის საფუძველზე წარმოდგენილი იყო მსუბუქი და მძიმე მწვავე პანკრეატიტი და ამ უკანასკნელის ადგილობრივი გართულებები, როგორცაა: სტერილური და ინფიცირებული პანკრეონეკროზი, პანკრეასის აბსცესი, სითხის მწვავე დაგროვება და მწვავე ფსევდოცისტა.

ადგილობრივი გამოვლინებები გულისხმობდა პანკრეასის ნეკროზს, აბსცესს ან ფსევდოცისტას. პანკრეასის ნეკროზად (პანკრეონეკროზად) ითვლება დიფუზური ან ლოკალური არასიცოცხლისუნარიანი პანკრეასის პარენქიმა, რეტროპერიტონული ცხიმოვანი ქსოვილის თანმდევი ნეკროზით (ნეკროზის კერა 3 სმ-ზე მეტი ან 30% -ზე მეტი პანკრეასის ქსოვილი, კომპიუტერული ტომოგრაფიის მონაცემებით). ინფიცირებული პანკრეონეკროზი გულისხმობს პანკრეასის და რეტროპერიტონული ქსოვილის ბაქტერიულ კოლიკვაციას. პანკრეასის აბსცესი არის ინტრააბდომინური შემოსაზღვრული ჩირქგროვა, ჩვეულებრივ პანკრეასის არეში, რომელიც წარმოიქმნება მწვავე პანკრეატიტის (პანკრეასის ნეკროზით ან

მის გარეშე) ან პანკრეასის ტრავმის შედეგად. სითხის მწვავე დაგროვებად იგულისხმობდა, სითხის დაგროვება, რომელიც ხდება მწვავე პანკრეატიტის განვითარების ადრეულ სტადიაზე (4 კვირამდე), რომელიც მდებარეობს პანკრეასში და/ან მის გარშემო და არ აქვს ფიბროზული ქსოვილის კედელი (კაფსულა). სითხის მწვავე დაგროვება გამოვლინდება მწვავე პანკრეატიტიან პაციენტთა 30–50%-ში, მაგრამ შემთხვევათა ნახევარზე მეტში აღინიშნება მათი სპონტანური რეზორბცია. იმ შემთხვევებში, როდესაც რეგრესია არ ხდება, სითხის მწვავე დაგროვება გარდაიქმნება ცრუ ცისტებად ან აბსცესებად. მწვავე ფსევდოცისტა არის პანკრეასის წვენის დაგროვება, გამოწვეული მწვავე, ქრონიკული ან ტრავმული პანკრეატიტით, რომელიც შემოსაზღვრულია ფიბროზული ქსოვილით. ფსევდოცისტა მდიდარია პანკრეასის ფერმენტებით, უხშირესად სტერილურია და ფორმირდება 4 ან მეტი კვირის შემდეგ მწვავე პანკრეატიტის დაწყებიდან [76].

ამ კლასიფიკაციის უპირატესობა იყო მძიმე პანკრეატიტის, დაავადების კლინიკური მასივიდან გამოყოფა, რომელიც მოითხოვდა ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომას, ვიდრე მსუბუქი მწვავე პანკრეატიტი. კლასიფიკაციის მეორე უპირატესობა იყო ისეთი მორფოლოგიური ფორმის გამოყოფა, როგორცაა პანკრეონეკროზი (სტერილური, ინფიცირებული), პანკრეასის აბსცესი, მწვავე ფსევდოცისტა. სტერილური პანკრეონეკროზის დროს (დაავადების პირველი 2 კვირა), ნაჩვენებია კონსერვატიული მკურნალობა, მაშინ როცა ინფიცირებული პანკრეონეკროზის დროს ქირურგიული ჩარევა.

მორფოლოგიური თვალსაზრისით მკაფიო განსხვავებაა მწვავე ინტერსტიციულ-შეშუპებით პანკრეატიტს, რომლის მკურნალობის მეთოდებიც არ იყო დისკუტაბელური, რადგან სტანდარტული კონსერვატიული თერაპია თითქმის ყოველთვის საკმარისი იყო გამოჯანმრთელებისთვის და პანკრეონეკროზს შორის. პანკრეონეკროზი განსაკუთრებულ პრობლემას ქმნიდა, რადგან მის მკურნალობას ხშირად სიმპტომური ორიენტაცია ჰქონდა, გართულებების განვითარება არაპროგნოზირებადი, მკურნალობის ტაქტიკა ბოლომდე განუსაზღვრელი, შედეგიც ხშირად არასახარბიელო. ამასთან დაკავშირებით, თითქმის

ყველა სამეცნიერო კვლევა ეხება მწვავე ნეკროზული პანკრეატიტის დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

ჩვენი აზრით, ატლანტის 1992 წლის კლასიფიკაცია მარტივია, შეიცავს განმარტებების მინიმუმს, მაგრამ ამავე დროს მოიცავს ცვლილებების მთელ სპექტრს, რაც ხდება პანკრეასში პანკრეონეკროზის ევოლუციის დროს. ამ კლასიფიკაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, E.L Bradley-მ, აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ყველა ტერმინი შეესაბამება ქირურგიულ მოთხოვნებს პანკრეონეკროზის მკურნალობის ყველა ეტაპზე [69]. მაგალითად, ინფიცირებულ მწვავე ფსევდოციტას და პანკრეასის აბსცესს აქვთ მსგავსი მორფოლოგიური მახასიათებლები, ისინი პანკრეონეკროზის დროს დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ჩნდებიან და მათ ერთნაირად მკურნალობენ. ამავდროულად, სითხის მწვავე დაგროვება ფუნდამენტურად განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილი წარმონაქმნებისგან კედლის არარსებობის გამო, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმედოვნოთ მის სპონტანური რეზორბციაზე, რაც შემთხვევების 40-50% -ში გვხვდება. ამრიგად, არ არსებობს დაბნეულობა, პირიქით, თითოეული მდგომარეობა ნათლად არის განსაზღვრული და მოითხოვს კონკრეტულ, ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს.

მოცემული კლასიფიკაცია არ აკმაყოფილებდა ყველა ქირურგს, რადგან ზოგიერთ კატეგორია (პანკრეასის აბსცესი - ინფიცირებული ფსევდოციტა - მწვავე სითხის დაგროვება - პანკრეასის ნეკროზი) არ იყო საკმაოდ ზუსტი და ხშირად ავსებდნენ ან გადადიოდნენ ერთმანეთში [37, 57]. ამავე დროს, 1992 წლიდან, მსოფლიო პრაქტიკაში მიიღეს ახალი ტერმინები, რომლებიც ასახავს ნებისმიერი ქირურგიული დაავადების სიმძიმეს. ესენია სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომი (SIRS), პოლიორგანული უკმარისობის სინდრომი, სეფსისი [67, 154, 160, 208]. უცხოელი მკვლევარები ახასიათებენ პანკრეონეკროზს ორი ფაზის მიმდინარეობით: პირველმა (სტერილური ფაზა) შეიძლება გამოიწვიოს SIRS და შეიძლება თან ახლდეს პოლიორგანული უკმარისობა და მეორე (სეპტიკური ფაზა) რომლის განვითარება აუცილებელი არ არის, მაგრამ თუ ის განვითარდება, იგი მიმდინარეობს SIRS-ის ფონზე და ზოგიერთ შემთხვევაში პოლიორგანული უკმარისობით [109, 140, 154, 208, 214].

Atlanta-92 კლასიფიკაცია შემოთავაზებული იყო 10 წლის ხანგრძლივობით, ამ ვადის გასვლის შემდეგ იგულისხმებოდა მისი გადასინჯვა. გავიდა 22 წელი, ამ დროის განმავლობაში ახალი მონაცემები იქნა მიღებული პათოგენეზთან, პათოფიზიოლოგიასთან და დაავადების კლინიკური მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და აქტიურად იქნა გამოყენებული სხვადასხვა დიაგნოსტიკური მეთოდები, განსაკუთრებით რადიოლოგიური დიაგნოსტიკის სფეროში. მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოსახულება გახდა რუტინული კვლევის მეთოდი მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში. ამან შესაძლებელი გახდა ადგილობრივი მორფოლოგიური ცვლილებების გაცილებით ხშირად გამოვლენა, პანკრეასის და რეტროპერიტონულ ქსოვილებში დესტრუქციული ცვლილებების დიფერენცირება, შესაძლო პათოფიზიოლოგიური პროცესების პროგნოზირება [46, 53, 57, 65]. გამოჩნდა ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდები. გამოცდილება მოიპოვა რადიოლოგიური კონტროლით მინინვაზიური ტექნოლოგიების გამოყენებამ [119, 200]. პანკრეატოლოგიაში მიღებული ახალი ცოდნა და გამოცდილება მოითხოვდა გამოყენებული კლასიფიკაციის Atlanta-92 კორექტირებას. ბოლო წლების განმავლობაში შემოთავაზებული იყო ამ კლასიფიკაციის მოდიფიცირების 2 ვერსია, რომელთაგან თითოეული შეიმუშავა სხვადასხვა ქვეყნის ბევრმა ექსპერტმა. 2007 წელს შეიქმნა მწვავე პანკრეატიტის კლასიფიკაციის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი (Acute Pancreatitis Classification Working Group-APCWG), რომელშიც შედიოდა 11 ნაციონალური და საერთაშორისო პანკრეატოლოგთა საზოგადოების წევრები. ეს ჯგუფი მუშაობდა 5 წლის განმავლობაში და 2012 წელს შესთავაზა ატლანტას 92-ის კლასიფიკაციის მოდიფიცირების საკუთარი ვერსია [131]. პრაქტიკულად, ამ სამუშაოსთან ერთად, პარალელურად მუშაობდა პანკრეატოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია (International Association of Pancreatology - IAP), რომელშიც შედიოდნენ 240 ექსპერტი 49 ქვეყნიდან, რომლებიც წარმოადგენენ ყველა დასახლებულ კონტინენტს. შედეგად, IAP-ის მორიგი კონგრესი, გაიმართა 2011 წელს კოჩინე-ში (ინდოეთი), შემთავაზებული იქნა მწვავე პანკრეატიტის კლასიფიკაციის კიდევ ერთი ვერსია [126]. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე

შემოთავაზებული კლასიფიკაცია მსგავსი იყო პრინციპულ საკითხებში, მაგრამ ამასთან, მათ ჰქონდათ გარკვეული განსხვავებები.

არ ყოფილა დისკუსია მსუბუქ მწვავე პანკრეატიტთან დაკავშირებით, ყველა დაეთანხმა Atlanta-92 კლასიფიკაციის ვერსიას. გადასინჯული იყო დებულებები მძიმე მწვავე პანკრეატიტის თაობაზე. მძიმე მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის შესაფასებლად გადაწყდა, უარი ეთქვათ ისეთ მრავალპარამეტრიან სკალებზე როგორცაა APACHE-II და Ranson, ამ უკანასკნელის მაღალი სირთულის და დაავადების ადრეულ ეტაპზე დაბალი ინფორმატიულობის გამო. კომისიამ შესთავაზა ორგანოს დისფუნქციის შეფასების სამი სისტემა: გულ-სისხლძარღვთა, რესპირაციული და თირკმლების მონაცემებით, კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენის გამოკლებით (>500მლ/დღეში), როგორც იშვიათი და არაინფორმატიული. შემოთავაზებული იქნა თითოეული სისტემის დისფუნქციის გადამოწმება, როდესაც 2 ქულა ან მეტი გამოვლენილი იქნება SOFA ან qSOFA-ს კრიტერიუმებით. მძიმე მწვავე პანკრეატიტის ანალიზის დროს, ორივე სამუშაო ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ საჭიროა შემოღებული იქნას სიმძიმის შუალედური ფორმა, მსუბუქ და მძიმე პანკრეატიტს შორის, საშუალო სიმძიმის პანკრეატიტი. ამრიგად, ყველა მკვლევარის მოსაზრება იყო, რომ მწვავე პანკრეატიტი უნდა დაყოფილიყო მსუბუქ, საშუალო სიმძიმის და მძიმე კლინიკურ ფორმებად. რაც შეეხება სტერილურ და ინფიცირებული პანკრეატიტის განმარტებებს, მკვლევართა ორივე ჯგუფს (IAP და APCWG) განსხვავებული აზრი არ ჰქონდათ. APCWG შესთავაზა მწვავე პანკრეატიტის ადგილობრივი გართულებების ოთხ ტიპად დაყოფა: პერიპანკრეასური სითხის მწვავე დაგროვება (APFC), მწვავე ნეკროზული დაგროვება (ANC), პანკრეასის ფსევდოცისტა (PC), შემოფარგლული ნეკროზი (WON).

ამ ფორუმზე გამოიკვეთა მწვავე პანკრეატიტის ძირითადი კლინიკური და მორფოლოგიური ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ დიაგნოსტიკურ ალგორითმისა და მკურნალობის ტაქტიკის „კვანძოვან საკითხებს“. რასაკვირველია, კლასიფიკაციაში დეტალურად ყველაფერი არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ მიღებული განმარტებები მოიცავს

ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებულ მცნებებს, რომელთა გამოვლენაზე მიმართულია დიაგნოსტიკური ალგორითმი, რის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება მკურნალობის მეთოდის არჩევის შესახებ. წარმოდგენილი კლასიფიკაცია იმდენად მოსახერხებელი აღმოჩნდა კლინიკური გამოყენებისთვის, იგი მალევე აღიარებულ იქნა მთელ სამედიცინო საზოგადოებაში.

#### 1.4. მწვავე პანკრეატიტის კლინიკურ-ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა

მწვავე პანკრეატიტის კლინიკური სურათი ცვალებადია და დამოკიდებულია დაავადების მორფოლოგიურ ფორმაზე, ორგანოებისა და სისტემების ფუნქციური დარღვევების სიმძიმეზე და გართულებების არსებობაზე. კლასიკური ვერსიით მწვავე პანკრეატიტის კლინიკური ნიშნები საკმაოდ ნათელია. ყველაზე დამახასიათებელია ტკივილი, რომელსაც თან ახლავს მრავალჯერადი ღებინება და მუცლის შებერილობა. ინტენსიური ტკივილი გამოხატულია მუცლის ზედა ნაწილში. ირადიაციით წელის არეში. ეს ტკივილი ხშირად ჩნდება ცხარე, ცხიმოვანი საკვების და ალკოჰოლის მიღების შემდეგ. ამავე დროს, ბევრი ავტორი მიიჩნევს, რომ დაავადების მანიფესტაცია გაცილებით მრავალფეროვანია და სიმპტომები არც ისე მარტივი, ზოგიერთ პაციენტში (25%-მდე) დაავადება მიმდინარეობს სასიცოცხლო ორგანოებისა და სისტემების ფუნქციის მნიშვნელოვანი დარღვევით, ენდოტოქსიკური შოკის განვითარებამდე.

ლაბორატორიულ მეთოდებს შორის ყველაზე ცნობილია: ამილაზას, ლიპაზას, ტრიპსინის, C-რეაქტიული ცილის, პროკალციტონინის და სხვა მარკერების განსაზღვრა [35, 134, 202]. ამასთან, ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ არსებული ბიოქიმიური ტესტები ხშირად რთული ჩასატარებელია, ძვირია და არ გააჩნია საკმარისი მგრძობელობა პანკრეატიტის შემდგომი მიმდინარეობის პროგნოზირებაში [11, 195, 134].

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ულტრაბგერითი კვლევა ფართოდ იქნა გამოყენებული მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში, რომლის დადებითი მხარეები პანკრეასის ვიზუალიზაციასთან ერთად არის არაინვაზიურობა, მობილურობა, რადიაციული ზემოქმედების არარსებობა, დაბალი ღირებულება და განმეორებითი გამოყენების

შესაძლებლობა. ულტრაბგერითი კვლევით შესაძლებელია განისაზღვროს პანკრეასის ზომა, ფორმა და ექოსტრუქტურა, მომიჯნავე ორგანოებთან, სისხლძარღვებთან, სანაღვლე გზებთან ურთიერთობა. [21, 185, 186]. ამასთან, პანკრეასის ქსოვილის სტრუქტურის შეფასება, ისევე როგორც სხვა პარამეტრების ინტერპრეტაცია, რაც მნიშვნელოვანია ულტრაბგერითი დიაგნოზის დასასმელად, ჯერ კიდევ საკმაოდ სუბიექტურია და დამოკიდებულია მრავალ მიზეზზე, მათ შორის პაციენტის კონსტიტუციურ მახასიათებლებზე და ექიმის კვალიფიკაციაზე [2]. ხშირ შემთხვევაში, კვლევა შეიძლება იყოს არაინფორმაციული, მუცლის შებერილობის და ჭარბად განვითარებული ცხიმოვანი ქსოვილის გამო. მიუხედავად ამისა, ულტრაბგერითი კვლევა უდავოდ ნაჩვენებია: 1) მწვავე პანკრეატიტის პირველად დიაგნოსტიკაში; 2) ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის სადინარების მდგომარეობის შესწავლაში, მწვავე პანკრეატიტის ბილიარული მიზეზის დასადგენად; 3) პანკრეატიტის პროცესის დინამიური დაკვირვებისათვის და ბოლოს, ულტრაბგერა საკმარისია პანკრეასის მდგომარეობის შესაფასებლად [29, 92, 93, 115].

კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ (კტ) გახსნა ახალი ერა მწვავე პანკრეატიტის და მისი გართულებების დიაგნოსტიკაში, რაც საშუალებას იძლევა პანკრეასის ვიზუალიზაციის და მასში მიმდინარე ცვლილებების შეაფასებაში. 1980-იანი წლების ბოლოდან კვლევას ეწოდა "დინამიური კტ" ან "ანგიო-კტ", რომლის ზოგადი დიაგნოსტიკური სიზუსტე პანკრეასის ნეკროზის გამოვლენაში 90%-ს აღემატებოდა [55]. კომპიუტერული ტომოგრაფია ინტრავენური კონტრასტირებით ითვლება "ოქროს სტანდარტად" მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში [93, 200]. სპირალური, შემდეგ კი მულტისპირალური სკანირების ტექნოლოგიის განვითარებით, ეს ტექნიკა ყველაზე ფართოდ გავრცელდა მუცლის ღრუს ორგანოების და რეტროპერიტონული სივრცის შესწავლისას. სპირალური სკანირების ტექნოლოგიის გამოყენებით კტ საშუალებას გვაძლევს შევამციროთ ჭრილის სისქე შესწავლის დრო და ამრიგად, მივიღოთ მაღალ ინფორმაციული, მაღალი ხარისხის სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციები. დადასტურებულია, რომ სპირალური კტ-თი სკანირების მაღალი სიჩქარე შესაძლებელს ხდის, რომ ერთი და იგივე უბანი შესწავლილი იქნას კონტრასტის გავლისას სხვადასხვა ფაზაში. პანკრეონეკროზის მქონე პაციენტის

დიაგნოსტიკისას ყველაზე ინფორმაციულია პანკრეასის გამოსახულება, რომლებიც მიღებულია არტერიულ ფაზაში [75, 178].

1990 წელს, E.J. Balthazar et al. შეიმუშავა მწვავე პანკრეატიტის პროგნოზირების სისტემა, რომლის დროსაც ანგიო კტ-ს დროს გამოვლენილი მორფოლოგიური ცვლილებებს ენიჭება გარკვეული რაოდენობის ქულები (0-დან 10-მდე) [54, 55]. ამ სქემაში შედის პანკრეასის ზომა, სითხური კოლექციის არსებობა და რაოდენობა, ასევე პანკრეასის ნეკროზის მოცულობა. ჯირკვლის დაზიანების ხარისხის გაზრდით და პარაპანკრეასული ცვლილებების მატებასთან ერთად, ქულათა ჯამი იზრდება. პროგნოზისთვის: 5-ზე მეტი ქულების შემთხვევაში, ქირურგიული ჩარევის საჭიროება, გრძელვადიანი მკურნალობის და გარდაცვალების ალბათობა იზრდება [55, 197]. ამასთან, ზოგიერთმა შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის ინდექსი, ბალთაზარის მიხედვით, ყოველთვის არ არის კორელაციაში კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებთან [155, 200]. 2004 წელს K.J. Mortelle et al. გაუკეთეს მოდიფიცირება ბალთაზარის მიხედვით CT სიმძიმის ინდექსს, ერთის მხრივ გაამარტივეს და მეორეს მხრივ, დაამატეს პროგნოზის დამამძიმებელი პათოლოგიური მდგომარეობანი, როგორცაა გამონადენი პლევრის ან მუცლის ღრუში, ბილიარული ტრაქტის ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებით პროცესში ჩართულობა, პანკრეასის პარენქიმის ნეკროზული ცვლილებები [155, 200]. პანკრეატიტის მსუბუქი ფორმა შეფასდა 0-დან 3 ქულამდე, საშუალო 4-დან 6-მდე, ხოლო მძიმე პანკრეატიტი 7-დან 10 ქულამდე.

ლიტერატურაში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (მრტ) მონაცემები, თანხვედრაშია კტ მონაცემებთან. მრტ მონაცემები საშუალებას იძლევა დადგინდეს მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზი, მიიღონ ღირებული ინფორმაცია ანთებითი და ნეკროზული პროცესის სიმძიმისა და გავრცელების შესახებ [119, 227]. მრტ-ს მგრძობელობა და სპეციფიკა პანკრეასის ქსოვილის ანთებითი ცვლილებებისა და ნეკროზის ვიზუალიზაციაში, თანხვედრაშია კტ-თი მოპოვებულ ანალოგიურ პარამეტრებთან [149, 200]. ამავე დროს, აღინიშნება, რომ მრტ



პანკრეასის ნეკროზული ცვლილებების ადრეული გამოვლენისთვის აუცილებელია პარამაგნიტური კონტრასტული ნივთიერების ინტრავენური შეყვანა. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ასეთი კონტრასტის გამოყენება, მათი დაბალი ტოქსიკურობის გამო, დასაშვებია თირკმელების მწვავე უკმარისობის მქონე პაციენტებშიც, როდესაც კტ-სთვის საჭირო კონტრასტის შეყვანა დაუშვებელია [200].

მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკისას არარადიოლოგიურ მეთოდებს შორის ლაპაროსკოპია დღეს სადავო კვლევაა, მაგრამ რუსეთში ლაპაროსკოპიას აქტიურად იყენებდნენ მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზის დასადგენად მე-XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან. ამავდროულად, ზოგიერთი რუსი მკვლევარი უფრო თავშეკავებული იყო ლაპაროსკოპიის დიაგნოსტიკურ შესაძლებლობებში მწვავე პანკრეატიტის დროს. გარდა ამისა, ლაპაროსკოპიის შესასრულებლად, მუცლის ღრუს ორგანოებზე გადატანილი ოპერაციების სახით არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი უკუჩვენებები [27]. უცხოურ ლიტერატურაში ლაპაროსკოპია პრაქტიკულად არ არის ნახსენები, როგორც მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზის მეთოდი.

მწვავე პანკრეატიტის დროს, გასტროსკოპია საშუალებას იძლევა შევაფასოთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის მდგომარეობა, დავადგინოთ თანმდევი ეროზია, მწვავე წყლულები და სხვა ცვლილებები [20, 16]. ენდოსკოპური რეტროგრადული ქოლანგიოგრაფია საჭიროა ნაღვლის სადინარებში პათოლოგიური ცვლილებების ხასიათის გასარკვევად, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს ენდოსკოპური პაპილოსფინქტერიტომია მკურნალობის სახით, პანკრეატიტის მიზეზის აღმოფხვრის მიზნით [42, 90, 158].

დღეს, პანკრეონეკროზის დიაგნოსტიკისას, ერთ-ერთი მთავარი საკითხია ნეკროზული ქსოვილების ინფექცია, რაც, თავის მხრივ, გადამწყვეტია მკურნალობის ტაქტიკის არჩევისას. რადგან თუ სტერილური პანკრეონეკროზის მქონე პაციენტების დიდი უმრავლესობა მოითხოვს მხოლოდ ინტენსიურ კონსერვატიულ თერაპიას, ინფიცირებული

პანკრეონეკროზის შემთხვევაში თითქმის აბსოლუტური ჩვენებაა ინვაზიური ინტერვენცია [62, 71, 173].

1987 წელს, S.G. Gerzof et al. და დამოუკიდებლად J.R. Hiatt et al. განაცხადეს მწვავე პანკრეატიტის ინფექციური გართულებების ახალი მეთოდით დიაგნოსტიკის შესახებ. კტ კონტროლის ქვეშ პათოლოგიური სუბსტრატის პერკუტანული წვრილი ნემსით პუნქცია/ასპირაცია და მისი მიკრობიოლოგიური შესწავლა [99, 108, 213]. ამ მეთოდმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ამავე დროს, პროცედურა საკმაოდ მარტივია და თან არ ახლავს სერიოზული გართულებები [74, 108]. ამრიგად, ეს ტექნიკა შეიძლება შესრულდეს როგორც ულტრაბგერით, ასევე კტ-ს კონტროლით [77, 83, 97, 213]. მიკრობიოლოგიური კვლევის თანამედროვე აპარატურა საშუალებას იძლევა მივიღოთ პირველადი პასუხი მიკროორგანიზმების არსებობის ან არარსებობის შესახებ მანიპულირების შემდეგ რამოდენიმე საათში, ხოლო მიკროფლორის თვისობრივი შემადგენლობა და მისი მგრძობელობა ანტიბაქტერიული მედიკამენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ერთ დღეში [10, 22, 27, 44].

წვრილი ნემსის პუნქციის განვითარების პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობდა ნაბიჯები ინფექციური პროცესის არაინვაზიური მეთოდებით დიაგნოსტიკის. C- რეაქტიული ცილის და პროკალციტონინის კონცენტრაციის შესწავლა სტერილურ და ინფიცირებულ პანკრეასის ნეკროზს შორის დიფერენციაციისთვის ყავდა თავისი მიმდევრები [33, 61].

### **1.5. პროგნოზული სისტემების გამოყენება მწვავე პანკრეატიტის მიმდინარეობისა და შედეგის შეფასებაში**

მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის ობიექტური კრიტერიუმების შემუშავების პიონერები იყვნენ J.Ranson ნიუ-იორკიდან და C.Imrie გლაზგოდან 1970–იან წლებში [114, 172]. მათი შრომები იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ შექმნილმა პროგნოზირების სისტემებმა სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა მთელ მსოფლიოში, თუმცა მომდევნო წლებში განიცადეს

გარკვეული მოდიფიცირება. XX საუკუნის 80-იან წლებში შემუშავებული იყო APACHE (Acute Physiology and Chronic Health Evaluation) სკალა, ხოლო შემდეგ მისი გამარტივებული ვერსია APACHE-II, რომლის მიზანი იყო შეეფასებინა ნებისმიერი დაავადების მქონე პაციენტის მდგომარეობა თვისობრივი მაჩვენებლების გადაყვანით რაოდენობრივში.

პანკრეონეკროზის დროს პოლიორგანული უკმარისობის მიმდინარეობის, სიმძიმის, პროგნოზის განსაზღვრისთვის და ობიექტური შეფასებისთვის [117, 169, 152] ყველაზე ხშირად გამოყენებული სისტემებია MODS (Multiple Organ Dysfunction Score-პოლიორგანული დისფუნქციის ქულთა შეფასება) და SOFA (Sepsis-related Organ Failure Assessment- სეფსისთან დაკავშირებული ორგანოს უკმარისობის შეფასება). პირველი შეიქმნა 1995 წელს მარშალმა [143], მეორე - 1996 წელს ვინსეტმა [217]. ორივე სკალის საკმაოდ მაღალი სიზუსტე აქვს ლეტალობის პროგნოზთან მიმართებაში [104]. გარდა ამისა, არსებობს შესაძლებლობა მათი განმეორებითი გამოყენებისა, რათა შესწავლილ იქნას დაავადების სიმძიმის დინამიკა. როგორც C.W.Imrie აღნიშნავს, SOFA და qSOF(Quick SOFA) გამოყენება უფრო ადვილია, ვიდრე MODS, რის გამოც ისინი უფრო ხშირად გამოიყენება [114, 121]. მიუხედავად ამისა, გამოყენებული სკალების პროგნოზული ღირებულება მაინც რჩება შედარებით დაბალი [192, 121].

მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის განსაზღვრა კტ-ანგიო მონაცემების მიხედვით, რომელიც პირველად 1990 წელს შემოთავაზებულ იქნა E.J. Balthazar et al.-მიერ [55], აქტიურად გამოიყენება მცირედი ცვლილებებით. ავტორებმა გამოყვეს პანკრეასის ნეკროზის ზომის მიხედვით შემდეგი კატეგორიები: 30%-ზე ნაკლები, 30-50% და 50%-ზე მეტი. პანკრეონეკროზით დაავადებული პაციენტების დიდი რაოდენობის ანალიზზე დაყრდნობით, აღმოჩნდა, რომ ნეკროზის მოცულობის მატებით, ავადმყოფთა მდგომარეობის სიმძიმე იზრდება, მატულობს ინფექციის სიხშირე, იზრდება უფრო ხშირად ქირურგიული ჩარევის ჩვენებები, შესაბამისად მატულობს ლეტალობის მაჩვენებელიც.

ამრიგად პანკრეონეკროზის შედეგის პროგნოზირების სიზუსტე შეიძლება გაუმჯობესდეს კლინიკური, ლაბორატორიული და კტ-ანგიო სისტემების ერთდროული გამოყენებით.

## 1.6. მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა

### 1.6.1. კონსერვატიული მკურნალობა

XX და XXI საუკუნეების საზღვარზე გარკვეულად ჩამოყალიბდა მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის ტაქტიკის პრინციპები. მსუბუქი შემუშავებითი პანკრეატიტის მიმართებაში, მიღებული იყო კონსერვატიული მიდგომა, რომელიც ორგანიზმში სითხის დეფიციტის შევსებას, ტკივილის შემსუბუქებას და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის ნორმალიზებას გულისხმობს [31, 129]. უფრო მეტიც, ავტორთა უმრავლესობა ვერ ხედავს დამატებითი თერაპიული ღონისძიებების საჭიროებას. რაც შეეხება მძიმე (დესტრუქციულ) მპ-ის მკურნალობას, ამ საკითხის შესახებ რუსი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ბოლო წლების მონოგრაფიებში, რუსი მკვლევარები მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის ინტენსიური თერაპიის კომპლექსში ტრადიციულად შეყავდათ პანკრეასის სეკრეტორულ ფუნქციის დამთრგუნველი პრეპარატები [17, 29] და დიდ იმედებს ამყარებდნენ ჰორმონ სომატოსტატინის სინთეზურ ანალოგებზე (სანდოსტატინი, ოქტრეოტიდი). ვ.ს. საველევის და მისი კოლეგების აზრით, კონკრეტული მედიკამენტები ან სხვა საშუალებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პანკრეასის დესტრუქციული პროცესის მიმდინარეობაზე, ამჟამად არ არსებობს, გარდა სანდოსტატინისა, რომელიც ზოგიერთ სიტუაციაში შეიძლება სასარგებლო იყოს [31, 33].

თანამედროვე ევროპელი მკვლევარების აზრით, მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის მკურნალობაში თერაპია ექსკლუზიურად დამხმარე როლს თამაშობს. მრავალრიცხოვანი მიმოხილვები იძლევა უარყოფით მონაცემებს სხვადასხვა პრეპარატების გავლენის ეფექტურობის შესახებ პანკრეასის ნეკროზული პროცესის მიმდინარეობაზე [203, 208]. აღმოჩნდა, რომ პანკრეასის სეკრეციის დათრგუნვა ატროპინის, გლუკაგონის, ისევე

როგორც სომატოსტატინის წარმოებულების მიერ, არ ახდენს გავლენას დესტრუქციული პანკრეატიტის მიმდინარეობაზე [124, 130].

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში პანკრეონეკროზის მკურნალობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მძიმე პაციენტების კვებითი მხარდაჭერა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე, მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის ერთ-ერთი პოსტულატი იყო შიმშილი 7-10 დღე, ხოლო მძიმე შემთხვევებში, უფრო მეტიც, რაც უზრუნველყოფდა ე.წ. "პანკრეასის მოსვენებას", ანუ პანკრეასის ეგზოკრინული ფუნქციის სტიმულირების პრევენციას [66].

გასული საუკუნის 70-იან წლებში პარენტერალური კვების ხსნარების პირველი თაობის შექმნამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კრიტიკულად დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის შედეგები [125, 219, 230]. ამასთან, ამ მეთოდის გრძელვადიანი გამოყენების დროს გამოვლინდა მისი ნაკლოვანებები, როგორცაა: ინფექციური გართულებები, ცხიმოვანი ემბოლიები, ანაფილაქსიური რეაქციები, მათი მაღალი ღირებულება. უფრო მეტიც, კლინიკური გამოცდილების დაგროვებით დადგინდა, რომ შიმშილი სრულ პარენტერულ კვებასთან ერთად, მნიშვნელოვნად არ მოქმედებს დესტრუქციული პანკრეატიტის მიმდინარეობაზე.

გახანგრძლივებული შიმშილი ანუ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში საკვები ნივთიერებების მოხვედრის და შეწოვის სრული გამორიცხვა, იწვევს საჭმლის მომნელებელი წვენების სეკრეციის შემცირებას (როგორც მნიშვნელოვანი ტროფიკული ფაქტორი, ნაწლავის ნორმალური ფუნქციის შენარჩუნებისათვის), ასევე ნაწლავის კედლის მთლიანობის, ანუ ანტიმიკრობული დაცვის ბუნებრივი მექანიზმების შემცირებას [201, 203, 223]. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა და კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ საკვები ნივთიერებების შეყვანა წვრილ ნაწლავში გამორიცხავს პანკრეასის ეგზოკრინული სეკრეციის სტიმულაციის ყველა ფაზას. ასევე გაირკვა, რომ ენტერული კვება ასტიმულირებს ვისცერულ და ღვიძლის სისხლის მიმოქცევას, რითაც აძლიერებს წვრილი ნაწლავის ლორწოვანის პერფუზიას და მის ბარიერულ ფუნქციას [167,

186, 201, 223]. მიღებულმა შედეგებმა ექვეყნებში დააყენა მწვავე პანკრეატიტის დროს შიმშილის მიზანშეწონილობა. გაჩნდა ნაშრომები, რომლებიც მიუთითებდა ენტერული კვების ისეთ უპირატესობებზე, როგორცაა ფიზიოლოგიურობა, შეყვანის სიმარტივე, ინფექციური და ალერგიული გართულებების მცირე რისკი, საკვები ნარეგების დაბალი ღირებულება [23, 140, 168]. აღნიშნულიდან გამომდინარე ნელნელა დაინერგა საკვები ნივთიერებების ენტერული გზით შეყვანა.

თანამედროვე ლიტერატურის ანალიზი მიუთითებს მძიმე მწვავე პანკრეატიტების დროს ადრეული ენტერული კვების გამოყენების მიზანშეწონილობაზე და ის ხდება "ოქროს სტანდარტი" მკ-ის პაციენტთა მკურნალობის კომპლექსში [49, 146, 186, 201].

### **1.6.2. მწვავე პანკრეატიტი და აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი**

თუ ვითვალისწინებთ მწვავე პანკრეატიტს, არ შეიძლება უგულებელვყოთ აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი(აკს), რომელიც ხშირად ახლავს ამ დაავადებას და უკიდურესად ართულებს მის მიმდინარეობას. ტერმინი "აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი" გულისხმობს მუცლის ღრუში წნევის ზრდას, რაც ფიზიკური თვალსაზრისით არის ჩაკეტილი სივრცე, რასაც მოსდევს სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა და ექსკრეციული სისტემის ღრმა დისფუნქციები, ასევე მცირდება ღვიძლის, ნაწლავების და ტვინის პერფუზია [12, 110, 153].

ინტრააბდომინური წნევის მატების უარყოფითი ეფექტი ადამიანის სხეულის სხვადასხვა ორგანოებსა და სისტემებზე ცნობილია თითქმის 100 წლის განმავლობაში. მუცლის ღრუში მომატებული წნევისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის დარღვევის შედეგად ლეტალური გამოსავალი პირველად აღწერილი იყო ემერსონის მიერ 1911 წელს [78]. ამასთან, იმის აღქმა, რომ მუცლის ღრუ არის დახურული სივრცე და ინტრააბდომინური ჰიპერტენზია შეიძლება რეალიზირდეს აბდომინურ კომპარტმენტ სინდრომში(აკს-ACS), პირველად გაჩნდა XX საუკუნის 80-იან წლებში [12,40] და მხოლოდ 10

წლის შემდეგ, ამ მდგომარეობის განვითარების პათოფიზიოლოგიური მონაცემების გამოვლენის შემდეგ, მისი კორექციის ქირურგიული მეთოდები დაიწყო.

ჩვეულებრივ, ინტრააბდომინური წნევა უახლოვდება ნულს. ლაპაროტომიის შემდეგ, ის შეიძლება გაიზარდოს 10mm.Hg. სვეტამდე, ხოლო შინაგანი ორგანოების ფუნქციის ცვლილებები ვლინდება მუცლის ღრუში წნევის სწრაფი ზრდით 15mm.Hg.-ზე ზემოთ. ამრიგად, ტერმინი „ინტრააბდომინური ჰიპერტენზია“ ნიშნავს ინტრააბდომინური წნევის მომატებას 15mm.Hg-დან, რასაც თან ახლავს ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევის საწყისი ფენომენი [85, 180]. თავის მხრივ, აკს-ის წარმოქმნაზე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაში, როდესაც ინტრააბდომინურ ჰიპერტენზიას (იაჰ) თან ახლავს ერთი ან რამდენიმე ორგანოს ფუნქციის უკმარისობა [12, 40, 123, 153].

ინტრააბდომინური წნევის მატების (იაწ) 4 ხარისხია: პირველ შემთხვევაში, მუცლის ღრუში წნევა 10-15mm.Hg, მეორეში 16-25mm.Hg, მესამეში 26-35mm.Hg, ხოლო მეოთხეში აღემატება 35mm.Hg-ს. კომპარტმენტ სინდრომი უფრო ხშირად აღინიშნება ინტრააბდომინური წნევის მატების მესამე და მეოთხე ხარისხის დროს. ინტრააბდომინური წნევის მეოთხე ხარისხით მომატებისას, აკს ვითარდება შემთხვევათა 100% -ში [72, 148].

ინტრააბდომინური წნევის გაზომვისთვის შემოთავაზებულია პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. ამჟამად, ყველაზე მარტივი და გავრცელებული მეთოდია მუცლის ღრუში წნევის არაპირდაპირი შეფასება შარდის ბუმბუტში წნევის დონის მიხედვით. მეთოდი არ საჭიროებს სპეციალურ აღჭურვილობას და შესაძლებელია განხორციელდეს მონიტორინგი დროის ნებისმიერ პერიოდში. პაციენტთა ჯგუფში, რომელთაც აქვთ აკს განვითარების მაღალი რისკი, იაწ გაზომვა ხორციელდება ყოველ 12 საათში, და საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირადაც [40, 118, 128].

ინტრააბდომინური წნევის მწვავე ზრდის შედეგად აკს-ის განვითარების გამომწვევი მიზეზები, შეიძლება გაერთიანდეს 4 ჯგუფში [138, 153]. 1) სპონტანური, როგორც ძირითადი დაავადების გართულება (პერიტონიტი, ნაწლავთა გაუვალობა, მეზენტერიულ

- სისხლძარღვთა თრომბოზი, მუცლის აორტის ანევრიზმის გახეთქვა, მწვავე პანკრეატიტი).
- 2) პოსტოპერაციული: აბსცესი, ნაწლავის პარეზი, ინტრაპერიტონული სისხლდენა.
  - 3) ტრავმული: მუცლის ღრუში ან რეტროპერიტონულ სივრცეში სისხლდენა.
  - 4) იატროგენული: პნევმოპერიტონეუმი, მუცლის ღრუს ტამპონადა. ასევე აკს ხშირად გვხვდება, რამდენიმე მიზეზის და ფაქტორების ერთობლიობის შემთხვევაშიც.

ლეტალობა აკს–ის არსებობის დროს, სათანადო სამკურნალო ზომების დროულად ჩატარების შემთხვევაშიც კი, საკმაოდ მაღალია და აღწევს 42-68%-ს, ხოლო არაადეკვატური კორექტირების ან მისი შეფერხებისას, თუნდაც რამდენიმე საათით, იწვევს პაციენტის სიკვდილს [122]. ამ მდგომარეობის მკურნალობა გულისხმობს იაპ–ის დაუყოვნებლივ შემცირებას მუცლის ღრუს დეკომპრესიის გზით, რისთვისაც ჩვეულებრივ ასრულებენ ლაპაროტომიას (რელპაროტომიას) [40, 81, 100, 144, 206].

შესაბამისად, თუ სხვა დაავადებებისთვის ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის მკურნალობის მეთოდი საკმარისად არის შესწავლილი, მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის შემთხვევებში აკს–ის პრობლემის მხრივ სიტუაცია რთულია. სამეცნიერო შრომათა დიდი ნაწილი განსაზღვრავს აკს–ის დიაგნოზის მნიშვნელობას, მაგრამ პრაქტიკულად არ არსებობს ცნობები მისი ქირურგიული პრევენციისა და მკურნალობის შესახებ. მხოლოდ 21-ე საუკუნეში დაიწყო მუცლის ღრუს დეკომპრესიის მეთოდების შემუშავება აკს–ის მკურნალობისთვის, რომლებიც წარმოიქმნება პანკრეონეკროზის ფონზე, რომლებიც არ იწვევენ ნეკროზული უბნების მეორადი დაინფიცირების რისკს. ასეთი ჩარევის იდეაა ფასციოტომია, მუცლის თეთრი ხაზის გასწვრივ აპონევროზის მაქსიმალურად გაკვეთა პერიტონეუმის გახსნის გარეშე [26, 78, 82, 133, 141]. ეს მიმართულება მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია და მოითხოვს გამოცდილების შემდგომ დაგროვებას, რათა უფრო ზუსტად შეაფასდეს მუცლის ღრუს დეკომპრესიის როლი მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის კომპლექსურ მკურნალობაში.



### 1.6.3. მწვავე პანკრეატიტის ქირურგიული მკურნალობა

#### 1.6.3.1. ქირურგიული ჩარევები მწვავე პანკრეატიტის დროს

პანკრეონეკროზის ქირურგიული მკურნალობის შესახებ მითითებები ამჟამად უფრო შეზღუდულია, ვიდრე 20-30 წლის წინ, ხოლო ინტერვენციების შესრულების ტექნიკური მეთოდები წლიდან წლამდე უფრო მრავალფეროვანი ხდება. პანკრეონეკროზის ქირურგიული ჩარევის ერთადერთი ჩვენება იყო მისი ინფექციური გართულებები, ინფიცირებული პანკრეასის ნეკროზისა და პანკრეასის აბსცესის სახით [9, 27, 33, 79, 80, 177]. ლიტერატურაში დომინირებდა მტკიცება, რომ ამ ჯგუფის პაციენტთა კონსერვატიული მკურნალობა გარდაუვლად იწვევს სიკვდილს, რასაც მიუთითებდნენ მრავალრიცხოვანი მკვლევარები [68, 79, 95]. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების კვლევები საშუალებას იძლევა ახლებურად შევხედოთ მწვავე პანკრეატიტის გართულებების ქირურგიული მკურნალობის პრობლემას. ათასწლეულის დასასრულს გაჩნდა კვლევები დადასტურებული პანკრეასის ინფექციის წარმატებული კონსერვატიული მკურნალობის შესახებ, მაგრამ მცირე რაოდენობის დაკვირვებებით [4, 57, 46, 17]. ანუ გამოჩნდა მოსაზრება, რომ ინფექციით გართულებულ მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის კონსერვატიულ მკურნალობას აქვს არსებობის უფლება. მაგრამ ის უნდა იქნას გამოყენებული ექსკლუზიურად, მკაცრი ჩვენებით. პაციენტთა ვიწრო კატეგორიაში, პანკრეასის ნეკროზის მცირე მოცულობით, რომელთაც არ აქვთ ორგანოთა უკმარისობა და შესაბამისად აქვთ კონსერვატიული თერაპიით სწრაფი დადებითი კლინიკური მონაცემები.

პანკრეონეკროზის ინფექციური გართულებების არსებობის შემთხვევაში, თუ წყდებოდა ქირურგიის აუცილებლობის საკითხი, მაშინ სტერილური ნეკროზის შემთხვევაში ქირურგიული ჩარევის ჩვენებები კვლავაც იწვევდა ინტენსიურ მსჯელობას. მე-XX საუკუნის დასაბოლოებამდე, ანგიო-კტ-ს და წვრილნემსიანი პუნქციის კლინიკურ პრაქტიკაში ფართოდ გავრცელების შემდეგ, შესაძლებელი გახდა პანკრეასის და რეტროპერიტონული სივრცის ნეკროზული უბნების, ბაქტერიოლოგიური სტატუსის დიაგნოზის დადგენა. იმ პერიოდში, ქირურგთა უმრავლესობა ქირურგიულ ჩარევას მიზანშეწონილად მიიჩნევდა სტერილური

პანკრეონეკროზის დროს, როდესაც ნეკროზი პანკრეასის პარენქიმის 50% -ზე მეტს იკავებდა, ან თან ახლდა პოლიორგანული უკმარისობა, რომლის 3 დღიანი ინტენსიური მკურნალობა არ იძლეოდა დადებით შედეგს. ოპერაციის სხვა, შედარებით იშვიათი მიზეზები იყო პარაპანკრეასული ინფილტრატი, რომელმაც გამოიწვია ტკივილი, კვების უუნარობა და საერთო სანაღვლე გზების, თორმეტგოჯა ნაწლავის ან მსხვილი ნაწლავის სტენოზი. [33, 38, 51, 63, 176, 193, 210]. არაკუპირებული პოლიორგანული უკმარისობის დროს ამგვარი ადრეული ჩარევის მიზანი იყო მუცლის ღრუსა და რეტროპერიტონული სივრციდან ნეკროზული ქსოვილების და სითხის ევაკუაცია, რომლებიც შეიცავდნენ დიდი რაოდენობით ვაზოაქტიურ და ტოქსიურ ნივთიერებებს. ამ ევაკუაციით ფერხდებოდა ტოქსიური ნივთიერებების გადასვლა სისტემურ სისხლმომოქცევაში და ამით აღმოიფხვრებოდა ან შემსუბუქდებოდა ორგანოების და სისტემების ფუნქციური უკმარისობა [210]. სხვა მკლევარებთა აზრით, პანკრეასის ნეკროზის დიდი მოცულობა, საშიში იყო ადრეული ინფექციის განვითარების თვალსაზრისით, ამიტომ ადრეული ოპერაცია "პრევენციული" ხასიათის იქნებოდა [5, 41, 135]. ზოგიერთი მკლევარის აზრით ქირურგიული ტრავმა და სრული ნეკრექტომიის შეუძლებლობა ადრეული ოპერაციების დროს, მხოლოდ ამძიმებს პოლიორგანულ უკმარისობას [17, 107, 210].

ამჟამად თანდათანობით მტკიცდება მძიმე პანკრეონეკროზის მკურნალობისას შემდეგი კონცეფცია: სტერილური ნეკროზის და ქირურგიული ჩარევის ჩვენების არარსებობისას, პაციენტებს ესაჭიროებათ ინტენსიური კონსერვატიული მკურნალობა და ბაქტერიოლოგიური სტატუსის ფრთხილი მონიტორინგი. ამ მიდგომის ერთ-ერთი მომხრე E.L Brady აღნიშნავს, რომ სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეული ნეკროზული უბნების არსებობა ორგანოებში არ საჭიროებენ ქირურგიულ ჩარევას. მაგალითად, ინფარქტით განპირობებული გულის, ტვინის ან ფილტვების ნეკროზული უბნები კონსერვატიული მკურნალობის ფონზე ჩანაცვლდება ფიბროზული ქსოვილით, იგივე ვითარდება პანკრეონეკროზის ევოლუციის პროცესში [68]. იგი მოგვიანებით იმედოვნებდა, რომ "სტერილური პანკრეონეკროზის ქირურგიული მკურნალობა გამონაკლისი გახდება და არა წესი ..." [70]. კიდევ უფრო კატეგორიული იყო ქირურგიის ისეთი კორიფე, როგორცაა

R.C.G. Russel, მან აღნიშნა: "არც გავრცელებული სტერილური პანკრეონეკროზი და არც ინტენსიური თერაპიის ხანგრძლივობა არ არის ქირურგიული მკურნალობის ჩვენება. სტერილური ნეკროზის დროს ქირურგიული მკურნალობის ჩვენება არ არის" [181].

დღეს ყველაზე მიღებული მიდგომაა პაციენტების სტერილური პანკრეონეკროზით კონსერვატიული მკურნალობის ხანგრძლივობის მაქსიმალური გაზრდა, თუნდაც გახანგრძლივებული პოლიორგანული უკმარისობის დროს, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ოპერაციის ოპტიმალურ პერიოდად ითვლება მეორე-მესამე, და უფრო ხშირად-დაავადების მეოთხე კვირა, რადგან სწორედ ამ პერიოდში ხდება ნეკროზული მასების სეკვესტრაცია, რაც საშუალებას იძლევა სეკვესტრექტომია შესრულდეს შედარებით უსაფრთხო პირობებში და სისხლის ნაკლები დანაკარგით [11, 142, 186, 188, 216]. B.M.Rau და H.G. Beger ასკვნის, რომ ზოგადი ემპირიული რეკომენდაცია, რომელსაც ქირურგიული უმრავლესობა ემორჩილება, არის ოპერაციის გადადება მინიმუმ 2 კვირის განმავლობაში პანკრეატიტის დაწყებიდან [142, 177]. აქვე, მოვიხსენიებთ C. Bassi-ის (ერთერთი ყველაზე ცნობილი პანკრეატოლოგის) გამონათქვამს: "რაც უფრო მეტ ხანს დაელოდებით, ან რაც დიდხანს შეგიძლიათ დაელოდოთ (იგულისხმება პანკრეონეკროზი), მით ნაკლები იქნება ტექნიკური სირთულეები და ინტრაოპერაციული გართულებები" [58]. კიდევ ერთი, ცნობილი ავტორიტეტი, P.Pederzoli, შემდეგ განმარტებას იძლევა: "საათების, დღეების ან უფრო უკეთესი კვირების გასვლის შემდეგ (დაავადების დაწყებიდან), ნეკროზული უბნები იზოლირებულია, სეკვესტრირებულია, რაც ქირურგს საშუალებას აძლევს უარი თქვას ადრეულ ნეკრექტომიაზე, რაც ასოცირდება სისხლდენის რისკთან და პანკრეასის ფისტულის განვითარებასთან, გვიანი და უსაფრთხო სეკვესტრექტომიის სასარგებლოდ, დიგიტოკლაზის მეთოდით" [166].

ქირურგიული ჩარევის შესახებ ინდიკატორების საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ნებისმიერი მწვავე ქირურგიული დაავადების, ასევე მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის დროს ოპერაციული ჩარევის ჩვენებაა ქირურგიული გართულებების განვითარება, როგორცაა აროზიული ინტრაპერიტონული სისხლდენა,

დრუ ორგანოს ნეკროზი ან/და პერფორაცია, ნაწლავის მწვავე ობსტრუქცია. ამ პირობებში, პანკრეონეკროზის ხანგრძლივობა, პოლიორგანული უკმარისობის სიმძიმე არ შეიძლება განიხილებოდეს პაციენტის სიცოცხლის დაუყოვნებლივ გადარჩენაზე უარის თქმის მიზეზად [94]. ამავე დროს, ეგრეთ წოდებული მწვავე "ქოლეცისტოპანკრეატიტი", რომელიც, ზოგიერთი რუსი ქირურგის აზრით, არის გადაუდებელი ქოლეცისტექტომიის ან ქოლეცისტოსტომიის ჩვენება [20, 34] უცხოურ ლიტერატურაში არ იძებნება. დღეს არ განიხილება პანკრეასის ფართო რეზექციები, პანკრეასის აბდომინოზაცია, ომენოპანკრეატოპექსია და ა.შ., რადგან მათ მხოლოდ ისტორიული ინტერესი აქვთ. რაც შეეხება ნეკრექსეკვესტრექტომიას მწვავე დესტრუქციული პანკრეონეკროზის დროს, მისი მნიშვნელობა პირველად შეაფასა H.Beger-მა 1990-იანი წლების შუა პერიოდში [59]. მას შემდეგ, ამ ტექნიკამ თანდათანობით მოიპოვა მხარდამჭერთა დიდი რიცხვი და უკვე (იშვიათი გამონაკლისის გარდა) პანკრეონეკროზის დროს არჩევით ოპერაციად ითვლება.

თანამედროვე ლიტერატურაში არსებობს უამრავი შრომა, რომელიც ეძღვნება პანკრეონეკროზის ქირურგიულ მკურნალობას, მაგრამ კონკრეტული საკითხები, ქირურგიული დახმარების ზუსტი მოცულობა და მისი განხორციელების ტექნიკის შესახებ, იშვიათ ნაშრომებში განიხილება. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადაჭრა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ოპერაციის დროს ნაპოვნი პათომორფოლოგიური ცვლილებები, როგორც პანკრეასში, ასევე რეტროპერიტონულ ქსოვილში, ძალზე მრავალფეროვანია და მოითხოვს სხვადასხვა, ზოგჯერ არაორდინალურ ტაქტიკურ და ტექნიკურ გადაწყვეტას, რაზეც დამოკიდებული იქნება პაციენტის მკურნალობის შედეგი. დასმული კითხვის ადეკვატური გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა პარამეტრის ერთობლივი გათვალისწინებით, როგორცაა პანკრეასის და რეტროპერიტონული ნეკროზის ლოკალიზაცია, სიდიდე და სიღრმე, სეკვესტრების მოცულობა, დაავადების ხანგრძლივობა, ასევე ბილიარული პანკრეატიტის ფონზე, კალკულოზური ქოლეცისტიტისა და ქოლედოქოლითიაზის არსებობა. J. Rodrigues რეკომენდაციას უწევს ქოლეცისტექტომიას ნეკრექტომიის დროს ყველა შემთხვევაში, როდესაც აღინიშნება მწვავე კალკულოზური ქოლეცისტიტი [179].

პანკრეონეკროზის ქირურგიული მკურნალობისას კიდევ ერთი მნიშვნელოვან და გადაუჭრელ პრობლემად რჩება ნეკრექსეკვესტრექტომიის შემდეგ ქირურგიული ჩარევის დასრულების მეთოდის არჩევის საკითხი. მსოფლიო პრაქტიკაში 3 ძირეულად განსხვავებული მეთოდი გამოიყენება: 1) ჭრილობის დახურვა ნეკროზული კერების პასიური დრენაჟით (closed packing). 2) ჭრილობის დახურვა, ზადექონის აბგის ოპერაციის შემდგომი პროლონგირებული ლავაჟით. 3) ღია მეთოდით (open packing) ეტაპური ნეკრექტომია. B.C.Савельев-მა კლასიფიცირება გაუკეთა ამ მეთოდებს, როგორც "დახურული", "ნახევრად ღია" და "ღია" [33].

1963 წელს შემოთავაზებული ქირურგიული "ნახევრად ღია" მეთოდმა, რომელიც მოიცავდა ოპერაციის დასკვნით ეტაპზე რამდენიმე დრენაჟის და/ან პენროუზის დრენაჟის დაყენებას, რომელსაც თან ახლდა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი 30-60%, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, იმის გამო, რომ დრენაჟების უმეტესი ნაწილი იჭედებიდა დეტრიტიტით და არ იძლეოდა ადეკვატურ დრენირებას, რაც იწვევდა აბსცესების ჩამოყალიბებას და შესაბამისად, "მოთხოვნილ" რელაპაროტომიებს ცუდი შედეგებით. ავტორთა უმრავლესობამ აღნიშნული მეთოდი ნეგატიურად შეაფასა [25, 33, 39, 120].

გაითვალისწინა რა ერთეტაპიანი-დახურული ნეკრექტომიების არასახარბიელო შედეგები E.L. Bradley-იმ 1976 წელს დაამუშავა ე.წ. ღია დრენირების ტექნიკა ინფიცირებული პანკრეონეკროზის დროს, რომელსაც უწოდა «open packing». გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში, ბევრმა სხვა ქირურგმა მხარი დაუჭირა ეტაპური ნეკრექტომიის კონცეფციას მძიმე ინფიცირებული პანკრეონეკროზის დროს. ტექნიკური დეტალების გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, ზოგადი პრინციპი დარჩა, განმეორებითი რევიზიები, რეტროპერიტონული სივრცის სანაციები, ნეკროზული კერების სრულ მოცილებამდე [15, 101, 136, 215, 220, 229]. ღია დრენირების კონცეფციის გამოყენებამ ამ მეთოდის მომხრეებს საშუალება მისცა შეემცირებინათ ქირურგიული გართულებების რაოდენობა 10%-მდე, ხოლო ინფიცირებული პანკრეასის ნეკროზის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 11% -მდე. მკურნალობის ღია მეთოდი «open packing» იძენს მხარდამჭერთა

გარკვეულ რაოდენობას, რაც დასტურდება ამ თემაზე გამოქვეყნებული შრომების მზარდი რაოდენობით [7, 8,11, 31,33, 34], მიუხედავად ამისა, ყველა ავტორი ხაზს უსვამს, რომ დაგეგმილი ნეკრექტომია უნდა იქნას გამოყენებული პაციენტების ყველაზე მძიმე კატეგორიაში, როდესაც ოპერაციის სხვა ნაკლებად აგრესიული მეთოდები წინასწარ განწირულია წარუმატებლობისთვის [13, 34].

მძიმე მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის ქირურგიული მკურნალობის არც თუ დამაკმაყოფილებელი შედეგები აიძულებდა ქირურგებს ეძებნათ უფრო სრულყოფილი მეთოდები. 1991 წელს Sarr et al.-ის მიერ შემოთავაზებული იყო «open packing» მსგავსი ტექნიკა [102, 205]. რაც გულისხმობდა ნეკრექტომიის შემდეგ, მუცლის ღრუს დახურვას „ელვა-შესაკრავით“. „ელვა-შესაკრავი“ უფრო ადრე გამოყენებული იყო დიფუზური პერიტონიტის მკურნალობაში [6]. ამ მეთოდმა პანკრეონეკროზის მკურნალობაში ორი ადრე ცნობილი ტექნიკა გააერთიანა. თითოეულისგან საუკეთესო მახასიათებლების აღებით. პირველ მეთოდში, გამოყენებული იყო აგრესიული მრავალსაფეხურიანი ნეკრექსეკვესტრექტომია, რის შედეგადაც აღინიშნებოდა ნარჩენი აბსცესების წარმოქმნის დაბალი სიხშირე, ხოლო მეორეში - მუცლის კედლის დახურვა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ნაწლავის ფისტულების და ვენტრალური თიაქრების წარმოქმნის ალბათობას [209]. მსგავსი ტექნიკური გადაწყვეტა პრაქტიკაში გამოიყენებული იყო სხვა მრავალი მკვლევარის მიერ [47]. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ტექნიკა უფრო მისაღებია, ვინაიდან ორივე მეთოდს მკაფიო თეორიული დასაბუთება აქვს, ხოლო მათი კომბინაცია, გაცილებით ნაკლებად ტრავმატულია, ვიდრე «open packing» სუფთა სახით. მეთოდი «open packing» სუფთა სახით, რეგულარულად არ გამოიყენება, მას იშვიათ შემთხვევებში იყენებენ მძიმე სისხლდენების დროს ჰემოსტაზის მიზნით [225]. ამიტომ ყველაზე მძიმე პაციენტებს, რომლებსაც ჩაუტარდათ მკურნალობა „ღია მუცლის“ მეთოდით და გეგმური-ეტაპური ნეკრექტომიები, თავიანთი სიმძიმეიდან გამომდინარე ექნებათ ყველაზე მეტი გართულებები და მაღალი ლეტალობის მაჩვენებლები [47].

ლიტერატურაში, პანკრეონეკროზის დროს შეიძლება ვიპოვოთ ქირურგიული ოპერაციების სხვა მეთოდებიც, მაგალითად ნეკრექტომიის ექსტრაპერიტონური მიდგომები [18], ლაპაროტომიის ერთობლიობა რეტროპერიტონურ ლუმბოტომიასთან ერთად ნეკროზის მხარეზე [17, 33], თუმცა მათ ფართო გავრცელება ვერ ვპოვებ.

როგორც აღნიშნავს თითქმის ყველა ქირურგი, რომელიც ჩართულია მწვავე პანკრეატიტის მკურნალობაში, ქირურგიული მკურნალობის სხვადასვა მეთოდების ერთმანეთთან შედარება და შეფასება, თუნდაც ერთი ლიტერატურული წყაროს მეშვეობით ძალიან რთულია და შეუძლებელიც.

### 1.6.3.2. მინიმალურ ინვაზიური ოპერაცია მწვავე პანკრეატიტის დროს

მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტებში პოსტოპერაციული სიკვდილიანობის მაღალმა მაჩვენებლებმა, განაპირობა მინიმალურ ინვაზიური მეთოდების დანერგვა: ტრანსკუტანური, ენდოსკოპიური მეთოდები და უშუალოდ მინიმალურ ინვაზიური ქირურგია [203]. მკურნალობის მინიმალურ ინვაზიური მეთოდების დანერგვა, ამცირებს პერი და პოსტოპერაციულ სტრესის სიმძიმეს იმ პაციენტებში, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ მონო- ან პოლიორგანული უკმარისობა. გარდა ამისა, ეს მკურნალობის მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დამხმარე მეთოდები, რათა გადაიდოს აუცილებელი ქირურგიული ჩარევა მოგვიანებით ანუ ნეკროზული მასების სეკვესტრაქციამდე.

კითხვა, თუ ქირურგიული მკურნალობის რომელ მეთოდს უნდა მიეცეს უპირატესობა, დღემდე გაურკვეველი რჩება. ეს სრულად ეხება ულტრაბგერითი და კტ-ს კონტროლის ქვეშ პერკუტანული ჩარევების როლისა და ადგილის განსაზღვრას, აგრეთვე სხვა მინიმალურ ინვაზიური პროცედურების ჩატარებას მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის და მისი გართულებების მკურნალობის შემთხვევაში [14, 19, 24, 36, 86]. ტრანსკუტანური მინიმალურ ინვაზიური ინტერვენციების სპექტრი, საკმაოდ ფართოა, წვრილნემსიანი პუნქციიდან და ასპირაციიდან, სხვადასხვა სადრენაჟე პროცედურებამდე.

ტრანსკუტანური მანიპულაციების შესაძლო გამოყენების ობიექტები მწვავე პანკრეონეკროზის შემთხვევებში, იყო სითხის დაგროვებაა და პანკრეასის აბსცესები. კოლექტიური გამოცდილების ანალიზმა აჩვენა პანკრეონეკროზის დროს სტერილური სითხური დაგროვებების რუტინული დრენირების მიზანშეუწონლობა, თუნდაც მინიმალურ ინვაზიური გზით შესრულების შემთხვევაში. ვინაიდან დასაშვებია სითხის მეორადი ინფიცირება და რაც მთავარია, ირგვლივ მდებარე ნეკროზული ქსოვილების ინფიცირება, რაც შემდგომში მოითხოვს მძიმე ქირურგიულ ჩარევებს და ამძიმებს პროგნოზს. პანკრეასის და პარაპანკრეასული აბსცეცი დღეს არსებული მონაცემებით ჩვენებაა პერკუტანური დრენირების, მისი ტრადიციული „ღია“ ქირურგიული ჩარევის შემთხვევები პრაქტიკულად გაქრა ლიტერატურიდან [99, 212].

გაცილებით რთულია ინფიცირებული პანკრეონეკროზის მინიმალურ ინვაზიური მკურნალობის პრობლემის მოგვარება, როდესაც ქსოვილოვანი კომპონენტი (სეკვესტრები) მნიშვნელოვნად ჭარბობს თხევად კომპონენტს. მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პუნქციით ასპირაცია ან დრენირება, ვერ გამოიწვევს პროცესის კუპირებას და პაციენტის გამოჯანმრთელებას, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, მხოლოდ ოდნავ შემცირდეს ინტოქსიკაცია და გახანგრძლივდეს ლოდინის დრო ქირურგიულ ნეკრექტომიამდე [13, 55]. ეს მოსაზრება იყო იმის გამო, რომ შედარებით დიდი კალიბრის სადრენაჟე მილებიც კი იხშობიან და ვერ ახერხებენ ნეკროზული ქსოვილების გრძელვადიანი ადეკვატური ევაკუაციის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ტრანსკუტანური მიდგომის ენთუზიასტებიც კი მიუთითებენ, რომ აშკარა უპირატესობებთან ერთად (მინიმალური ქირურგიული ტრავმა), ინტენსიური თერაპიის ხანგრძლივობის შემცირება და ოპერაციის შემდგომი გართულებების შემცირება, საკმაოდ რთულია. უფრო მეტიც, არსებობს პირდაპირი გაფრთხილებები, რომ პაციენტების მდგომარეობის დროებითმა გაუმჯობესებამ კანგავლითი დრენირების შემდეგ შეიძლება დროში გადაავადოს აუცილებელი ღია ნეკრექტომია და ამით გააუარესოს მკურნალობის შედეგები [111, 213]. მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის სტრატეგიის შესახებ, ავტორიტეტულ კვლევებში მითითებულია, რომ მინიმალურ ინვაზიური კანგავლითი დრენირება შეიძლება გამოყენებულ იქნას იძულებითი პროცედურის სახით, რაც ხელს



შეუწყობს პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაციას ოპერაციის დაწყებამდე [207]. ლოკალური დესტრუქციის შემთხვევაში, შემოსაზღვრული ბადექონის აბგაში შესაძლებელია და მიზანშეწონილია მინიმალურ ინვაზიური მეთოდების გამოყენება, მაშინ როდესაც ფართო ნეკროზული პროცესის განკურნება შესაძლებელია მხოლოდ ფართე, ტრავმული ღია ქირურგიული ოპერაციით.

პერკუტანული დრენირების გარდა, XX საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო ენდოსკოპური ტრანსგასტრალური პროცედურების დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში პანკრეონეკროზის გარკვეული ფორმის სამკურნალოდ. ამ მეთოდის მწვავე ფსევდოციტების მკურნალობის საკმაოდ ფართოდ გამოყენების ფონზე, პანკრეასის ნეკროზული ქსოვილების „სეკვესტრების“ შიდა დრენირების შესახებ მითითებები ბევრად უფრო თავშეკავებულად განიხილებოდა [106]. პირდაპირი ტრანსგასტრიული ნეკრექტომია ენდოსკოპის საშუალებით პირველად ჩატარდა 2000 წელს H.Seifert-მა. ენდოსკოპური ცისტოგასტროსტომის შექმნისა და მისი გაფართოების შემდეგ, ავტორმა და მისმა მიმდევრებმა ენდოსკოპი შეიყვანეს ნეკროზულ ღრუში და შეასრულეს ნეკრექსეკვესტრექტომია [189, 190 191]. მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის მინიმალურ ინვაზიური მკურნალობის კიდევ ერთი მეთოდია, ნეკრექტომია მუცლის ღრუში ან/და რეტროპერიტონურ სივრცეში ლაპაროსკოპის კონტროლის ქვეშ [50, 77, 105, 162]. მაგრამ, როგორც H.G. Beger და R.Isenmann აღნიშნეს, ამ კვლევების რაოდენობა ძალზე მცირეა ფუნდამენტური დასკვნების მისაღებად [60].

ჩვენი აზრით, მკურნალობის არსენალში არსებული ყველა მეთოდი, ტრადიციული ღია ქირურგია და მინიინვაზიური, არ უნდა განიხილებოდეს ერთმანეთის ალტერნატივად, არამედ მხოლოდ გონივრულ კომბინაციად. ცხადია, რომ მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის შემთხვევაში ნეკრექტომიის ერთი განცალკევებული მეთოდი არ არსებობს, ვინაიდან ნეკროზული პროცესის გამოვლინება მეტად მრავალფეროვანია [73, 186, 126].

შეჯამებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის, საბოლოოდ, შეიქმნა მწვავე პანკრეატიტის ერთიანი კლასიფიკაცია, რომელიც გარკვეული დათქმებით, მიიღეს

მეცნიერთა და პრაქტიკოს ქირურგთა უმრავლესობამ. ასევე, დიდი ნაბიჯი გადაიდგა პანკრეონეკროზის დიაგნოსტიკაში, მის ფორმებსა და მანიფესტაციებში. განსაზღვრულია კონსერვატიული მკურნალობის მეთოდები და მისი გართულებების პრევენცია, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების სრული ერთიანობა მაინც არ არსებობს. გარდა ამისა, მსოფლიო ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი პანკრეონეკროზის მკურნალობის ქირურგიულ ტაქტიკასთან დაკავშირებით, ასევე ქირურგიული ჩარევის ოპტიმალური პერიოდის არჩევასთან დაკავშირებით. ისინი აისახება ქირურგიული ჩარევების საპირისპირო ან ალტერნატიულ ვარიანტებში. ერთსულოვნება მხოლოდ ადექვატურ ნეკროსან სექვესტრექტომიაში მდგომარეობს. თუმცა მისი განხორციელების მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანია: მინიმალურ ინვაზიურიდან (პერკუტანული, ლაპარასკოპული, ტრანსგასტრიული) დაწყებული, ტრადიციულ ქირურგიულ ჩარევებამდე, რომელსაც ასრულებენ განსხვავებული მეთოდებით.


ამრიგად, მიმოხილვაში წარმოდგენილი მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას სრულად გავაანალიზოთ და შევაფასოთ მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების ეფექტურობა, რაც ჩვენი მუშაობის ამოსავალ წერტილად იქცა.

## **თავი 2. კლინიკური მასალა და კვლევის მეთოდები**



### **2.1. პაციენტების კლინიკური მახასიათებლები**

2016–2020 წლებში, თსსუ ქირურგიული №1 დეპარტამენტის ბაზაზე: რესპუბლიკურ ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა და მაღალი ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში და ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრში, დისერტანტის კლინიკებში ადგილმონაცვლეობით შესწავლილი იქნა 107 პაციენტი მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზით. ყველა შემთხვევაში დიაგნოზი დადასტურდა კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევებით.

პაციენტების უმეტესობა, იყო მამაკაცი (66%). მათი 34% იყო პროდუქტიული ასაკის. განვითარების მიზეზები და მათი განაწილება სქესის მიხედვით საკმაოდ ტრადიციული იყო. მთლიანობაში, ქოლელითიაზითა და ალკოჰოლის მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენდა დაკვირვებების (90%). პაციენტები მწვავე პანკრეატიტით განპირობებული ქოლედოქოლითიაზით იყო 48%, ალკოჰოლური დატვირთვით 42% და პაციენტთა მცირე ჯგუფი (10%) იყო იდიოპათიური პანკრეატიტი. მამაკაცებში ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის, ალკოჰოლის დატვირთვა აშკარად ჭარბობდა (ალკოჰოლური პანკრეატიტის ყველა შემთხვევის 91%), ხოლო ქალებისთვის ქოლელითიაზის არსებობა ყველაზე დამახასიათებელი იყო (მწვავე ბილიარული პანკრეატიტის ყველა შემთხვევის 51%) (დიაგრამა 1.1 და 1.2).



მწვავე პანკრეატიტის ხანგრძლივობა დაავადების დაწყებიდან სტაციონარში მოთავსებამდე იყო განსხვავებული, 2 საათიდან 5-10 დღემდე (დიაგრამა 2).




მწვავე პანკრეატიტის შეტევის დაწყებიდან 12 საათამდე, შემოვიდა 23 პაციენტი. მათი ჰოსპიტალიზაციის სიჩქარე აიხსნებოდა გამოხატული მუცლის მწვავე ტკივილის სინდრომით. ტკივილის დაწყებიდან პირველი 24 საათის განმავლობაში კლინიკას მომართა

43 პაციენტმა(40%). მოგვიანებით შემოსულ პაციენტთა რაოდენობა მცირდება დაავადების ხანგრძლივობის უკუპროპორციულად.

6 პაციენტს კალკულოზური ქოლეცისტიტით განუვითარდა მწვავე პანკრეატიტი, რომელთაც აღენიშნებოდა ქოლედოქის მწვავე ობსტრუქცია ნაღვლოვანი კონკრემენტებით. 5 პაციენტს ჩაუტარდა დროული პაპილოსფინქტეროტომია. 1 პაციენტთან იყოს ნაღვლის სადინრიდან თორმეტგოჯა ნაწლავში ქვის სპონტანური მიგრაცია.


მიუხედავად იმისა, რომ მწვავე პანკრეატიტით პაციენტთა მხოლოდ მეოთხედი იყო 60 წელზე უფროსი ასაკის, 107 პაციენტიდან 21 (20%) ჰქონდა ქრონიკული დაავადებები, რომლებიც ამძიმებდა მათ მდგომარეობას და ამძაფრებდა პროგნოზს (დიაგრამა 3).



გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს შორის, ჭარბობდა ჰიპერტონული დაავადება (4 პაციენტი), რომლის ფონზე 2 პაციენტს ადრე ჰქონდა გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, 2 მათგანს ჩაუტარდა სტენტირება. სასუნთქი სისტემის მხრივ 1 პაციენტში დიაგნოსტირებული იყო - ქრონიკული ბრონქიტი. 1 პაციენტს დადგენილი ჰქონდა შარდ-კენჭოვანი დაავადება. ღვიძლის დაავადებები (ალკოჰოლური ციროზი),

რომლებიც ართულებს მწვავე პანკრეატიტის მიმდინარეობას, გამოვლინდა 4 პაციენტში. 4 პაციენტს აღენიშნებოდა ნაღვლ-კენჭოვანი დაავადება, 6 პაციენტს შაქრიანი დიაბეტი.

მწვავე პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტთა სიმძიმე მოდიფიცირებული 2013წ ატლანტის კლასიფიკაციით, წარმოდგენილია (დიაგრამა 4).




## 2.2. კვლევის მეთოდები

მწვავე პანკრეატიტის ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის ალგორითმი მკურნალობის საწყის ეტაპზე შედგება მრავალი კვლევის მეთოდისგან. რომლებიც, ყოველთვის არ გამოიყენება ერთი და იგივე მოცულობით და თანმიმდევრობით. ჩვენ გამოვყოფთ შემდეგ ძირითად დიაგნოსტიკურ ამოცანებს:

- მწვავე პანკრეატიტის დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მუცლის ღრუს სხვა მწვავე ქირურგიული დაავადებებისაგან;
- ლაბორატორიული კვლევები: სისხლის კლინიკური ანალიზი, ელექტროლიტები, ლიპაზა /ამილაზა, ღვიძლის ფუნქციები, ჰემოსტაზი, C-რეაქტიული ცილა და პროკალციტონინი. •

- მწვავე პანკრეატიტის განვითარების და მორფოლოგიური ფორმის გამომწვევი მიზეზების დადგენა (პანკრეასის შეშუპება ან ნეკროზი);
- პანკრეასის ნეკროზის დროს - პანკრეასის ქსოვილში და რეტროპერიტონულ ქსოვილში დესტრუქციული ცვლილებების ბუნების, მოცულობის, ლოკალიზაციის, ხოლო სითხის დაგროვებისას - მათი რაოდენობის, ზომის და ლოკალიზაციის დადგენა;
- მწვავე ბილიარული პანკრეატიტის შემთხვევაში - ნალვლის ბუმტის, სანალვლე სადინრების და თორმეტგოჯას დიდი დვრილის მდგომარეობის შეფასება;
- პანკრეასის მიმდებარე ორგანოების მდგომარეობა: კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის, ელენტის მდგომარეობის შეფასება;
- ინფექციური გართულებების გამოვლენა;
- პაციენტთა ლეტალობის რისკი qSOFA-ს სკალით;



სამუშაოს შესრულების მიზნით, ჩვენ ვიყენებთ სხივური დიაგნოსტიკის მეთოდების კომპლექსს: ულტრაბგერა, რენტგენოსკოპია, კომპიუტერული ტომოგრაფია(კტ), მაგნიტურ

რეზონანსული ტომოგრაფია(მრტ), კანგავლითი პუნქცია კტ ან ექოსკოპიის კონტროლით.  
ენდოსკოპიურ: ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, რეტროგრადული  
ქოლანგიოპანკრეატოგრაფია და მიკრობიოლოგიურ კვლევებს (დიაგრამა 5).

**ულტრაბგერითი კვლევა** მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში ითვლება სავალდებულო მეთოდად და გამოიყენება დიაგნოსტიკური პროგრამის დასაწყისში. მწვავე პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტებში ულტრაბგერითი კვლევით ვლინდება ჰოპოექოგენური და ზომაში მომატებული პანკრეასი. პირველადი ულტრაბგერის ამოცანად ითვლება მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკა, სითხის არსებობის დადგენა ბადექონის აბგაში და მუცლის ღრუში. ამავდროულად, საკმაოდ რთულია პანკრეასის შეშუპების სანდო დიფერენცირება ნეკროზისგან პანკრეასის ქსოვილის და რეტროპერიტონული ცხიმოვანი ქსოვილის დესტრუქციის მოცულობის დადგენა, მხოლოდ ულტრაბგერითი კვლევის საფუძველზე. მაგრამ, თავის მხრივ, ვიზუალიზაციის ამ მეთოდის გამოყენება იძლევა თითქმის ყოვლისმომცველ ინფორმაციას ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის სადინარების მდგომარეობის შესახებ. რაც, მნიშვნელოვანია მწვავე პანკრეატიტის ბილიარული გენეზის დადგენისათვის. ულტრაბგერითი კვლევა საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ დაავადების დინამიკას დაავადების მკურნალობის პროცესში. ულტრაბგერითი კვლევა ტარდებოდა პაციენტის საწოლთან, ასევე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. კვლევა ტარდებოდა Siemens Versa plus, General Electric Medical Systems Logiq-700MR მოწყობილობებზე.

პაციენტს უტარდებოდა პანკრეატობილიარული ზონისა და მუცლის ღრუს ორგანოების სკანირება. ფასდებოდა ღვიძლის ზომები და სტრუქტურა. ისაზღვრებოდა ნაღვლის ბუშტის მდგომარეობა - მისი ზომა, კედლის სისქე, შიგთავსი. კონკრემენტების არსებობის შემთხვევაში მათი ზომა და რაოდენობა; ისაზღვრებოდა ღვიძლშიდა და ღვიძლგარეთა სადინარების მდგომარეობა: დიამეტრი, მათში დამატებითი სტრუქტურების არსებობა და ლოკალიზაცია, აკუსტიკური ჩრდილის ხასიათი; შემდეგ ფასდებოდა



პანკრეასის ზომები, მისი კონტურები. ისაზღვრებოდა ორგანოს პარენქიმის ექოგენობა: ნორმალური, გაზრდილი ან დაკლებული. კეთდებოდა დასკვნა ორგანოს ლოკალური თუ დიფუზური დაზიანების შესახებ. ვირზუნგის სადინრის ვიზუალიზაციის შემთხვევაში, ისაზღვრებოდა მისი დიამეტრი. კვლევის დროს ყურადღება მახვილდებოდა პანკრეასის ქსოვილში სითხის არსებობაზე. მათი იდენტიფიცირების შემთხვევაში ფასდებოდა მათი ლოკალიზაცია, ზომა, ფორმა, ხასიათი, კედლის სისქე და სიმკვრივე; რეტროპერიტონული ქსოვილის მდგომარეობა ფასდებოდა ლოკალიზაციის მიხედვით: ბადექონის აზგა, მარჯვენა და მარცხენა პარაკოლური და პარანეფრული სივრცეები. ცვლილებების შემთხვევაში, ისაზღვრებოდა მათი სიგრძე, სისქე, ერთგვაროვნება და ექოგენობა, აგრეთვე დამატებითი ჩანართების არსებობა. ულტრაბგერითი კვლევით პერიპანკრეასული სითხე არაექოგენურია. შეუძლებელია პანკრეატიტის ექსტრაპანკრეასული გავრცელების მკაფიო საზღვრების დადგენა და პანკრეასის ნეკროზული უბნების იდენტიფიცირება. ისწავლებოდა სისხლძარღვები: აორტა, ქვემო ღრუ ვენა, კარის ვენა, ელენთის ვენა. ყურადღებას ვაქცევდით კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის და წვრილი ნაწლავის დიამეტრის ზომებს. ვემბდით, მუცლის ღრუში თავისუფალი სითხის არსებობას, ხოლო აღმოჩენის შემთხვევაში, ისაზღვრებოდა მისი ლოკალიზაცია და სავარაუდო მოცულობა.


პირველადი ულტრაბგერითი კვლევა ჩაუტარდა მწვავე პანკრეატიტით დაავადებულ 99(41%) პაციენტს ჰოსპიტალიზაციის მომენტიდან 24 საათში. კვლევა არ ჩაუტარდა 8 პაციენტს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო დაუყოვნებლივ ჩაუტარდა კტ.

მწვავე პანკრეატიტის მქონე პაციენტთა უმრავლესობაში ულტრაბგერითი კვლევა ჩატარდა ერთზე მეტჯერ. განმეორებითი კვლევები ჩატარდა პანკრეასში მიმდინარე პროცესის დინამიკის, მწვავე ხასიათის სითხის წარმოქმნის და კისტების ევოლუციის შესაფასებლად.

**კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ)** ამჟამად განიხილება ოქროს სტანდარტად მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკის და მისი გართულებების დროს. კტ-ს ამოცანაა მწვავე პანკრეატიტის არსებობის დადგენა, პანკრეასის ნეკროზის და შეშუპების ერთმანეთისგან

დიფერენცირება. პანკრეონეკროზის დროს - პანკრეასის და რეტროპერიტონული ქსოვილის დაზიანების მოცულობისა და ლოკალიზაციის დადგენა. აგრეთვე, პანკრეასის გარშემო სითხის კოლექციის არსებობისას კტ საშუალებას იძლევა შეფასდეს მათი ლოკალიზაცია, მოცულობა და სტრუქტურა (სურათი 1). პანკრეასსა და პარაპანკრეასულ ქსოვილებში განვითარებული დესტრუქციული ცვლილებების მიხედვით ისაზღვრებოდა მსუბუქი, საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტი (სურათი 2,3,4). ნეკროზის ზონებში აირის ბუშტების გამოვლენა, საიმედოთ მიუთითებდა ინფიცირებული პანკრეონეკროზის არსებობაზე (სურათი 5).


სურათი 1. პერიპანკრეასური სითხის მწვავე დაგროვება




სურათი 2. მსუბუქი მწვავე პანკრეატიტი




სურათი 3. საშუალო სიმძიმის მწვავე პანკრეატიტი



სურათი 4. მძიმე პანკრეატიტი (დესტრუქციით)



სურათი 5. ინფიცირებული პანკრეონეკროზი-აირი ნეკროზის უბანში



კლინიკურ პრაქტიკაში, პანკრეონეკროზის დროს, პანკრეასის მდგომარეობის ობიექტური შეფასება შესაძლებელი გახდა კომპიუტერული ტომოგრაფიის დანერგვით, ბოლუსური ინტრავენური კონტრასტირების გაძლიერებით. ამ მიმართულების პიონერებმა, ბალთაზარმა თავის მიმდევრებთან ერთად შეიმუშავეს პანკრეასის დაზიანების ხარისხის, გავრცელების და პროგნოზის შესაფასებლად, მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის კლასიფიკაცია კტ–ს მიერ გამოვლენილი ცვლილებების საფუძველზე [53], მწვავე ანთებითი პროცესი შეფასდა: სტადია A: 0 ქულა - უცვლელი პარენქიმა; სტადია B: 1 ქულა - პანკრეასის ფოკალური ან დიფუზური გაფართოება; სტადია C: 2 ქულა - პანკრეასის და პერიპანკრეასული ცხიმოვანი ქსოვილის ანთებითი ცვლილებები; სტადია D: 3 ქულა - ერთეული შემოსაზღვრული პერიპანკრეასული სითხის დაგროვება; სტადია E: 4 ქულა - ორი ან მეტი შემოსაზღვრული სითხის დაგროვება. სხვა კრიტერიუმებთან ერთად (ანთებითი გამოვლინებები, სითხის დაგროვება) კტ მონაცემების საფუძველზე ავტორებმა შეაფასეს პანკრეასში დესტრუქციული ცვლილებები: 0 ქულა - პანკრეასის ნეკროზი არ არის (პარენქიმის ერთგვაროვანი კონტრასტული გაძლიერება). 2 ქულა - პარენქიმის კეროვანი ნეკროზი  $\leq 30\%$ . 4 ქულა - პარენქიმის გავრცელებული ნეკროზი  $> 30-50\%$ . 6 ქულა - პარენქიმის სუბტოტალური/ტოტალური ნეკროზი  $> 50\%$ . ქულების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 10. პანკრეატიტის სიმძიმის სტადიები: მსუბუქი პანკრეატიტი (ინტერსტიციული პანკრეატიტი), ბალთაზარის მიხედვით B ან C, პანკრეასის ნეკროზისა და პერიპანკრეასული ქსოვილის ნეკროზის გარეშე; საშუალო სიმძიმის პანკრეატიტი: D ან E ბალთაზარის მიხედვით, პანკრეასის ნეკროზის გარეშე, პერიპანკრეასული სითხის დაგროვება ნეკროზის გამო. მძიმე პანკრეატიტი (პანკრეონეკროზი): პანკრეასის ნეკროზი (პანკრეასის ქსოვილი, რომელიც არ აგროვებს კონტრასტს ბოლუსით კონტრასტის შეყვანისას).

კტ ტარდებოდა „General Electric-ის, TOSHIBA და SIMENNS აპარატზე. კუჭში, წყალში ხსნადი 1:10 განზავებული 1000 მლ კონტრასტული ნივთიერების შეყვანის შემდეგ (ზონდში ან per os) ტარდებოდა ნატიური კვლევა. შემდგომ ინტრავენურად სპეციალური ელექტრონული ინჟექტორით, ბოლუსით შეგვყავდა 100 მლ პრეპარატი იოდშემცველი

საკონტრასტო ნივთიერება, კონცენტრაციით 350 ან 370 mg/ml სიჩქარით 3,2-3,8 მლ/წმ. პარალელურად ტარდებოდა განმეორებითი სკანირება, კონტრასტის განაწილების არტერიული, ვენური და პარენქიმული ფაზების დასადგენად. თუ ნატიური სკანირების დროს გამოვლინდა პანკრეასის დესტრუქციის ნიშნები, ინტრავენური გაძლიერება სავალდებულო იყო.

ღვიძლის მდგომარეობა ფასდებოდა ორგანოს ზომით, სტრუქტურით, დენსიტომეტრული სიმკვრივით და კონტრასტის დაგროვების უნარით. ფასდებოდა ინტრა- და ექსტრაჰეპატური სანაღვლე გზების გაფართოების ხარისხი. ზოგიერთ შემთხვევაში, ნაღვლის ბუშტში ისახებოდა რენტგენოკონტრასტული კონკრემენტები.

პანკრეასში ცვლილებები ფასდებოდა მისი ზომებით და კონტურების სიმკვეთრით. შემდგომ ისაზღვრებოდა ორგანოს პარენქიმის მდგომარეობა: ერთგვაროვანი ან არაერთგვაროვანი. ზონებში, რომლებშიც არ გროვდებოდა კონტრასტული ნივთიერება, მიუთითებდა ჯირკვლში ნეკროზის არსებობაზე. ისწავლებოდა ნეკროზული კერების ზომები, კონფიგურაცია, ლოკალიზაცია და მათი კავშირი შეუცვლელ პანკრეასის ქსოვილთან. სითხის კოლექციის შემთხვევაში, ისაზღვრებოდა მათი ტოპოგრაფია, კონფიგურაცია და მოცულობა, კედლის არსებობა და მისი მდგომარეობა. სითხურ კოლექციაში აირის ბუშტების გამოვლენისას დიაგნოსტირდებოდა პარანკრეასის აბსცესის არსებობა. ხოლო აირის არსებობა პანკრეასის დესტრუქციის ადგილებში, მიგვითითებდა ინფიცირებული პანკრეონეკროზის არსებობაზე (სურთი 5).

ყურადღებით ისწავლებოდა რეტროპერიტონული ცხიმოვანი ქსოვილის მდგომარეობა, მისი მონაწილეობა დესტრუქციულ პროცესში, ტოპოგრაფიული ანატომიის გათვალისწინებით: ბადექონის აბგა, განივი კოლინჯის და წვრილი ნაწლავის ჯორჯალი, მარჯვენა და მარცხენა პარაკოლური და პარანეფრული სივრცეები, პარააორტული და რეტროდუოდენური ზონები, აგრეთვე მუცლის გვერდითი კედლების პრეპერიტონული ქსოვილი. როგორც ულტრაბგერითი კვლევით, ასევე კტ-თი ფასდებოდა მუცლის და პლევრის ღრუში თავისუფალი სითხის რაოდენობის არსებობა.

კომპიუტერული ტომოგრაფია ჩაუტარდა მწვავე პანკრეატიტით დაავადებულ 71 პაციენტს, რაც შეადგენდა 66%-ს. აქედან მძიმე (19) და საშუალო სიმძიმის(37) პანკრეატიტით დაავადებულ ყველა პაციენტს ჩაუტარდა კომპიუტერული ტომოგრაფია, ხოლო მსუბუქი პანკრეატიტით დაავადებულ 51 პაციენტიდან კტ ჩაუტარდა 15 პაციენტს, დანარჩენ 42 პაციენტთან შემოვიფარგლეთ ულტრასონოგრაფიული კვლევით.


### **მაგნიტურ-რეზონანსული კომპიუტერული ტომოგრაფია (მრტ)**

მრტ საჭიროება განიხილება მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკის და მისი გართულებების დროს. მრტ მონაცემები საშუალებას იძლევა, მიიღონ ღირებული ინფორმაცია ანთებითი და ნეკროზული პროცესის არსებობისა და გავრცელების შესახებ. მრტ შეუძლია პანკრეასის ზომების დადგენა. პანკრეონეკროზის დროს, პანკრეასის და რეტროპერიტონული ქსოვილის დაზიანების მოცულობისა და ლოკალიზაციის დადგენა. აგრეთვე, პერიპანკრეასული სითხის კოლექციის არსებობისას, მრტ საშუალებას იძლევა შეაფასდეს მათი ტომოგრაფია, კონფიგურაცია, მოცულობა და სტრუქტურა (სურათი 6, 7). მრტ-ს ამოცანაა, როგორც უკონტრასტო ქოლანგიოგრაფიის, მწვავე პანკრეატიტის გამომწვევი მიზეზის დადგენა, განსაკუთრებით ბილიარული გენეზის პანკრეატიტის დროს. მრტ დროს შესაძლებელია უკეთ აღიწეროს ნაღვლის სადინრები და მწვავე პანკრეატიტის გართულებები. მაგნიტურ რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია(MRCP) მეტად ინფორმატიულია ქოლედოქოლითიაზის დადგენაში, ვიდრე ენდოსკოპური რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია(ERCP). მრტ-ს უპირატესობაა, რომ არ აქვს რენტგენოლოგიური დატვირთვა და ახასიათებს ნეფროტოქსიურობის დაბალი რისკი. მიუხედავად ამისა, აქვს უარყოფითი მხარეც, საჭიროებს კვლევის მეტ დროს ვიდრე კტ, რაც არახელსაყრელია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისთვის (კლაუსტროფობია). მრტ კვლევა ტარდებოდა „General Electric Medical Systems“ და Toshiba-ს აპარატზე.


მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (მრტ) მონაცემები, თანხვედრაშია კტ მონაცემებთან. ამავე დროს, აღინიშნება, რომ მრტ პანკრეასის ნეკროზული ცვლილებების ადრეული გამოვლენისთვის აუცილებელია პარამაგნიტური

კონტრასტული ნივთიერების ინტრავენური შეყვანა. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ასეთი კონტრასტის გამოყენება, მათი დაბალი ტოქსიკურობის გამო, დასაშვებია თირკმელების მწვავე უკმარისობის მქონე პაციენტებშიც, როდესაც კტ-სთვის საჭირო კონტრასტის შეყვანა დაუშვებელია. მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში რეზერვირებული უნდა იქნეს იმ პაციენტებისათვის, რომელთა დიაგნოზი გაურკვეველია და/ან რომელთა კლინიკური გაუმჯობესება არ აღინიშნება ჰოსპიტალიზაციიდან 48-72 საათში ან/და პანკრეატიტს გართულების შესაფასებლად.

სურათი 6. ბილიარული შეშუპებითი პანკრეატიტი პერიპანკრეასული სითხის კოლექციით



სურათი 7. ფსევდოცისტა შეშუპებითი პანკრეატიტის დროს



12 პაციენტს ქოლედოქოლითიაზით განპირობებული მწვავე პანკრეატიტიტის შემთხვევაში, რაც შეადგენდა 5%-ს, ჩაუტარდა მაგნიტურ-რეზონანსული კომპიუტერული ტომოგრაფია. აქედან 6 პაციენტს ბილიარული გენეზის პანკრეატიტი არ დაუდასტურდა. 6 პაციენტს აღენიშნებოდა ქოლედოქის მწვავე ობსტრუქცია ნაღვლოვანი კონკრემენტებით. მრტ-ს შემდეგ 5 პაციენტს ჩაუტარდა ენდოსკოპური რეტროგრადული პაპილოტომია, კონკრემენტების ექსტრაქციით. 1 პაციენტთან იყო ნაღვლის სადინრიდან თორმეტგოჯა ნაწლავში ქვის სპონტანური მიგრაცია.

**ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია**, მწვავე პანკრეატიტიტის დროს, არ იძლევა უშუალო ინფორმაციას პანკრეასის მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მიზნად ისახავს სხვა დიაგნოსტიკური და თერაპიული პრობლემის გადაჭრას:

- დიფერენციულ დიაგნოზს მწვავე პანკრეატიტსა და პერფორირებულ გასტროდუოდენურ წყლულს შორის (მუცლის ღრუში თავისუფალი აირის არარსებობის პირობებში, რენტგენოგრამაზე);
- ენდოსკოპური რეტროგრადული ქოლანგიო-ვირსუნგოგრაფიის ჩატარებამდე კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის და თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის დათვალიერებას, სავარაუდოდ ფატერის დვრილში ჩაჭედილი კონკრემენტის არსებობაზე.
- კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენის შემთხვევაში, რამაც შეიძლება გაართულოს მწვავე პანკრეატიტიტის მიმდინარეობა, გასტროსკოპიის პროცესში დგინდებოდა სისხლდენის წყარო და საჭიროების შემთხვევაში უტარდებოდა ჰემოსტაზი;
- ნაზოგიუნალური ზონდის ჩაყენებას ენტერალური კვებისთვის.

კვლევა ტარდებოდა Olympus-ის ფირმის აპარატებზე. ენდოსკოპური კვლევის დროს აღიწერებოდა საყლაპავის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსის მდგომარეობა (ფერი, ნაკეცები, ეროზიების ან წყლულების არსებობა), საყლაპავის ქვედა სფინქტერის უკმარისობის არსებობა ან არარსებობა, დიაფრაგმის საყლაპავის ხრელის თიაქარი. ვიზუალურად ისაზღვრებოდა კუჭის ზომები, მის კედლებზე გარედან ზეწოლა (პანკრეასის მომატებული ზომებით ან პარაპანკრეასული სითხური კოლექციებით). კვლევის




დროს ვლინდებოდა საყლაპავის ვარიკოზული ვენების გაგანიერება, გასტროდუოდენიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსის ეროზიები და მწვავე წყლულები, აგრეთვე ფასდებოდა ფატერის დვრილის მდგომარეობა. კუჭის გასავლის შევიწროება პარაპანკრეასული ინფილტრატით.

გასტროსკოპია ჩატარდა 25 პაციენტს (10%). 18 პაციენტში ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია გამოყენებული იქნა ნაზო-ეიუნალური ზონდის ჩასაყენებლად, აქედან საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით 5 პაციენტთან, მძიმე პანკრეატიტით 13 პაციენტთან. 7 შემთხვევაში ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია ჩატარდა კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გამოსარიცხად.

**ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია** (სურათი 8), მნიშვნელოვანია არა იმდენად მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკაში, არამედ ბილიარული ტრაქტისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის მდგომარეობის შეფასებაში. იმ პაციენტებში, რომლებშიც პანკრეატიტი გამოწვეული იყო ნაღვლკენჭოვანი დაავადებით. ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოგრაფიის გამოყენება გამართლებულია 2 შემთხვევაში: 1) თუ არსებობს ეჭვი თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის მწვავე ობსტრუქციის (ბლოკი) ნაღვლოვანი კონკრემენტით - ამ შემთხვევაში, მანიპულაცია არის გადაუდებელი. 2) ქოლედოქოლითიაზის ან ფატერის დვრილის სტენოზის დიაგნოზისათვის, გეგმური წესით პანკრეატიტის კუპირების შემდეგ. ორივე შემთხვევაში, პათოლოგიური სუბსტრატის (ქვა სადინარში, პაპილოსტენოზი) გამოვლენისთანავე, დიაგნოსტიკური პროცედურა დაუყოვნებლივ გადადის სამკურნალოში - ენდოსკოპურ პაპილოსფინქტეროტომიაში დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორის აღმოსაფხვრელად. თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის მწვავე ბლოკის დროული მოხსნა საშუალებას იძლევა პაციენტებში მნიშვნელოვნად შემცირდეს პანკრეასში დესტრუქციული პროცესი. ხოლო გეგმური რეტროგრადული პაპილოსფინქტეროტომია საშუალებას იძლევა პანკრეატიტის რეციდივის თავიდან აცილების. ენდოსკოპიური რეტროგრადული პაპილოსფინქტეროტომია თავისთავად ინვაზიური პროცედურაა, განსაკუთრებით პანკრეატიტის მწვავე ფაზაში და

შეიძლება დაამძიმოს პაციენტის მდგომარეობა. შესაბამისად, მის ჩასატარებლად ჩვენებები მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული. ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოგრაფია ჩატარდა Olympus-ის აპარატების გამოყენებით: ვიდეო დუოდენოსკოპია გვერდითი ოპტიკით.

**სურათი 8.** ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოვირსუნგოგრაფია



კვლევა ტარდება ცარიელ კუჭზე, პაციენტის მარცხენა გვერდზე და მუცელზე წოლისას. დუოდენოსკოპიის ეტაპზე, თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის და პრეპაპილარული რეგიონის დათვალიერებისას, ფასდებოდა ფატერის დვრილის ლორწოვანი (ჰიპერემია, შეშუპება, ლორწოვანი გარსის ფერი, ნახეთქები, პოლიპები), დივერტიკულის არსებობა და მის ურთიერთობა ფატერის დვრილთან.

ქოლანგიოგრაფია ტარდებოდა 50-10 მლ, 60% წყალში ხსნადი რენტგენოპოზიტიური ნივთიერების ინექციის საშუალებით. შესწავლის პროცესში ფასდებოდა ნაღვლის სადინრების მდგომარეობა - მისი დიამეტრი, კონტურები, სანათური, არაპომოგენურობა და/ან კონკრემენტის ჩრდილების არსებობა, აგრეთვე ნაღვლის ბუშტის მდგომარეობა მისი კონტრასტირებისას და კონტრასტის ევაკუაცია სანაღვლე გზებიდან. 7 მმ-იანი დიამეტრის ნაღვლის სადინარი ითვლება ნორმად.

ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოგრაფიის ჩვენება დაუდგინდა მწვავე

ბილიარული პანკრეატიტით დაავადებულ 6 პაციენტს (3%). ხუთ პაციენტს კვლევა ჩაუტარდა სასწრაფო წესით თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის კონკრემენტით ბლოკის გამო. ყველას ჩაუტარდა პაპილოსფინქტეროტომია, კონკრემენტების ევაკუაციით (სურათი 9). ერთ პაციენტთან იყო ნაღვლის სადინრიდან თორმეტგოჯა ნაწლავში ქვის სპონტანური მიგრაცია.

**სურათი 9.** რეტროგრადული ქოლანგიოგრაფია.  
კონკრემენტი ქოლედოქის დისტალურ მონაკვეთში.



ინტრააბდომინური ჰიპერტენზიისა და აბდომინური კომპარტმენტ სინდრომის დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია, ვინაიდან პანკრეონეკროზის გართულებების განვითარების ძირითადი რისკ-ფაქტორებია: პანკრეასის ნეკროზის მოცულობა, ფერმენტული ენდოტოქსიკოზის სიმძიმე, ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის ხარისხი, ნაწლავებიდან მიკრობების ტრანსლოკაცია ნაწლავის უკმარისობის სინდრომის დროს პორტულ და ლიმფურ სისტემაში.

მწვავე პანკრეატიტის მქონე პაციენტებში პოლიორგანული უკმარისობის განვითარების ერთერთი მიზეზია ინტრააბდომინური ჰიპერტენზია (Intra-abdominal hypertension-IAH). მუცლშიდა ჰიპერტენზია და მუცლის ღრუს კომპარტმენტ სინდრომი (Abdominal Compartment Syndrome-ACS) სხვადასხვა კლინიკური ერთეულებია და არ უნდა იქნას განხილული ურთიერთშემცვლელად. მუცლის ღრუს ჰიპერტენზია განიხილება ცალკე კომპარტმენტ სინდრომისგან, რადგან ინტრააბდომინური ჰიპერტენზია ყოველთვის არ

იწვევს კომპარტმენტ სინდრომის განვითარებას. აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი არის ორგანოების დისფუნქცია, რომელიც გამოწვეულია ინტრააბდომინური ჰიპერტენზიით. პანკრეონეკროზი აბდომინური კომპარტმენტ სინდრომის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

აბდომინური კომპარტმენტ სინდრომის(აკს-ACS) ეტიოლოგიური კლასიფიკაცია: პირველადი აკს არის მდგომარეობა დაკავშირებული მუცლის ღრუს ორგანოების დაზიანებასთან ან დაავადებასთან, რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო/გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას. მეორადი აკს პათოლოგიური მდგომარეობაა, რომლებიც წარმოიქმნება ექსტრააბდომინური პრობლემებით. შებრუნებული აკს ვითარდება კონსერვატული ან ქირურგიული მკურნალობის პირველადი ან მეორადი აკს-ის შემდეგ [1, 100].

ინტრააბდომინური წნევა (Intra-abdominal pressure-IAP) - არის მუცლის ღრუში სტაბილური წნევა. ინტრააბდომინური ჰიპერტენზია (Intra-abdominal hypertension-IAH) - არის, მუდმივი ან წყვეტილი (მაგრამ არა ხანმოკლე) რეგისტრირებული პათოლოგიური ინტრააბდომინური წნევის მატება (იაწ-IAP)  $\geq 12$  მმ. Hg, რომელსაც თან ახლავს ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევების საწყისი მოვლენები. აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი არის, ორგანოების დისფუნქცია გამოწვეული ინტრააბდომინური ჰიპერტენზიით. აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი არის ინტრააბდომინური წნევის მყარი მატება 20mm.Hg-ზე მეტად, რაც დაკავშირებულია ორგანოების უკმარისობასთან/დისფუნქციასთან [139].

ინტრააბდომინური წნევა (იაწ-IAP) ფასდება შემდეგნაირად: I ხარისხი = IAP 12-დან 15 mm.Hg-მდე; II ხარისხი = IAP 16-დან 20mm.Hg; III ხარისხი = IAP 21-დან 25mm.Hg; IV ხარისხი = IAP > 25mm.Hg. ინტრააბდომინური წნევა (IAP) - უნდა გამოიხატოს mm.Hg. (1 მმ. წყლის სვეტი = 0.735 mm.Hg).

პაციენტში ინტრააბდომინური წნევა (იაწ-IAP) იზომება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ზურგზე წოლისას, ამოსუნთქვის ბოლოს, მუცლის წინა კედლის

კუნთების რელაქსაციის პირობებში, სენსორი უნდა იყოს განულებული შუა აქსილარული ხაზის დონეზე. ყურადღება უნდა მიექცეს პაციენტის პოზიციონირებას. პაციენტი უნდა იყოს მწოლიარე მდგომარეობაში, რადგან საწოლის თავის დაწევა ( $>20^\circ$ ), რომელიც ხშირად გამოიყენება პნევმონიის რისკის შესამცირებლად, ზრდის ინტრააბდომინურ წნევას და ასევე მოქმედებს მის გაზომვაზე. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისთვის ინტრააბდომინური წნევა (IAP) ნორმად ითვლება 5-დან 7mm.Hg– მდე [183, 184].

ინტრააბდომინური წნევის გაზომვისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფიზიოლოგიური ხსნარის მოცულობა, შეყვანის სიჩქარე, ტემპერატურა. ცივი ხსნარის სწრაფმა შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს შარდის ბუშტის რეფლექსური შეკუმშვა და შარდის ბუშტის და შესაბამისად ინტრააბდომინური წნევის დონის მატება. შარდის ბუშტში შესაყვანი სითხის მოცულობად მიჩნეულია 20–25 მლ თბილი, სტერილური ფიზიოლოგიური ხსნარი. ინტრააბდომინური წნევის გაზომვისას საჭიროა ტკივილის ადეკვატური კუპირება, რაც მუცლის წინა კედლის კუნთების მოდუნების გამო, საშუალებას იძლევა მივიღოთ წნევის ზუსტი მნიშვნელობები.

შარდის ბუშტის ინტრააბდომინური წნევის გასაზომად გამოყენება წინააღმდეგ ნაჩვენებია, მისი დაზიანების ან მასზე ჰემატომის ან სიმსივნით ზეწოლისას. ასეთ შემთხვევაში ინტრააბდომინური წნევა(IAP) ფასდება ინტრაგასტრალური წნევის გაზომვით. იშვიათად, ინტრააბდომინური წნევა ფასდება ქვემო ღრუ ვენაში წნევის გაზომვით. ჩვენ უკნასკნელი ორი მეთოდი არ გამოგვიყენებია.

ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის და კომპარტმენტ სინდრომის მენეჯმენტი მოიცავს დამხმარე თერაპიას და, საჭიროების შემთხვევაში, მუცლის დეკომპრესიას, რაც მკურნალობის ერთ-ერთ მეთოდად ითვლება. დეკომპრესიის სხვადასხვა მეთოდია: პერკუტანული მუცლის დეკომპრესია, ფასციოტომია, მუცლის ღია დეკომპრესია. ფასციოტომია ეფექტური და ნაკლებად ინვაზიური მეთოდია ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის და კომპარტმენტ სინდრომის სამკურნალოდ.

ჩვენ საშუალო და მძიმე პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტებში ინტრააბდომინურ წნევას ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ვზომავდით დინამიკაში და გადაწყვეტილებას ვიღებდით კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემებთან შეჯერების შემდგომ.


**ულტრაბგერის და კტ კონტროლით სადიაგნოსტიკო პერკუტანული პუნქცია/დრენირება** მოიცავს, მწვავე პანკრეატიტის დროს კუჭუკანა აბგაში და/ან რეტროპერიტონულ სივრცეში განვითარებულ სითხური კოლექციის პუნქციას, ასპირაციას ან/და დრენირებას. პუნქციური ასპირაცია საშუალებას იძლევა მივიღოთ მასალა მიკრობიოლოგიური კვლევისთვის და დავადგინოთ პუნქტატის სტერილობა თუ ინფიცირება, რაც გადაწყვეტ გავლენას ახდენს პაციენტის მკურნალობის ტაქტიკაზე.

ტრანსკუტანული პუნქცია დამოკიდებულია კონკრეტულ ანატომიურ პირობებზე: სითხის ან/და ნეკროზის ზონის და მიმდებარე ორგანოების ტოპოგრაფიაზე. უსაფრთხოდ ითვლება მიდგომა, როდესაც პუნქციის გზაზე არ არის ღრუ ორგანოები (კუჭი, მსხვილი და წვრილი ნაწლავი), ელენთა, პლევრის სინუსები, მაგისტრალური სისხლძარღვები. ზოგიერთ შემთხვევაში, ალტერნატივის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია პუნქცია კუჭის სანათურის გავლით (ჩვენ ტრანსგასტრალური პუნქცია არ ჩაგვიტარებია).

ინტერვენციების უმეტესი ნაწილი ხორციელდება ადგილობრივი ინფილტრაციული ანესთეზიით 0.5% ნოვოკაინის, ან 0.5% ლიდოკაინის ხსნარით. თუ პაციენტი იმყოფება ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე, მაშინ მანიპულაცია ხორციელდება ზოგადი ანესთეზიით. პუნქციისთვის გამოიყენება ორი სახის ნემსი: სქელი ნემსი 15G დიამეტრით [სურათი 10.(ა)] დამატებითი გვერდითი ხვრელით სითხის მნიშვნელოვანი რაოდენობის ევაკუირებისათვის და მცირე ზომის Chiba-ს 18G დიამეტრის ნემსი [სურათი 10.(ბ)]. ამაზე მცირე დიამეტრის, ნემსების გამოყენება არა ეფექტურია ასპირაციის მისაღწევად. პარაპანკრეასულ სივრცეში მისადგომად გამოიყენება ეპიგასტრიუმი. ნემსის თხევად სტრუქტურაში მოხვედრის შემდეგ, ამოღებული იქნება მანდრენი და მაქსიმალურად კეთდება სითხის ევაკუაცია. ნემსის პოზიცია მუდმივად კონტროლდება ულტრაბგერით ან

კტ-თი (სურათი 11,12). ნემსის ამოღების შემდეგ, ედება ასპტიკური ნახვევი. ევაკუირებული სითხე იგზავნება მიკრობიოლოგიური კვლევისთვის. პუნქციური ასპირაცია ასევე გამოიყენება ინფიცირებული სითხური კოლექციების დაგროვებისას, იმ შემთხვევებში, როდესაც ბაქტერიული დაბინძურების ხარისხი დაბალია, და პროცედურა იწვევს პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ სტერილური სითხური კოლექციების გარე დრენირების წინააღმდეგები ვართ, განსაკუთრებით დაავადების ადრეულ სტადიაზე, რადგან ამ შემთხვევაში, ნეკროზული ქსოვილების ინფიცირების დიდი რისკი არსებობს, რაც გამოიწვევს პაციენტის მდგომარეობის დამძიმებას და შესაძლო ქირურგიული ჩარევის საჭიროებას.


**სურათი 10.** ტრანსკუტანული პუნქციის ნემსები.



**სურათი 11.** ტრანსკუტანული პუნქცია ექოსკოპიის კონტროლით



## სურათი 12. ტრანსკუტანული პუნქცია კტ კონტროლით



კუჭუკანა აზგაში და რეტროპერიტონულ სივრცეში ინფიცირებული კერების სანაციისა და დრენირებისათვის ვიყენებთ სადრენაჟე მილების რამდენიმე ტიპს:

- პირდაპირი დრენაჟები 9 და 12 Fr (სურათი 13.ა)
- დრენაჟები საფიქსაციო მოწყობილობით (სურათი 13. ბ,ვ):
- pig-tail-ის ტიპის დრენაჟი 9 და 12 Fr დიამეტრით

## სურათი 13. ტრანსკუტანული დრენაჟები





**სურათი 14.** კუჭუკანა აბგაში და რეტროპერიტონულ სივრცეში ინფიცირებული კერების სანაცია და დრენირება



დიაგნოსტიკის მიზნით, ულტრაბგერის და კტ-ს კონტროლით პუნქცია (სურათი 11,12) ჩატარდა 5 პაციენტთან, ხოლო დრენირება 8 პაციენტთან (სურათი 14). მსუბუქი პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტებში ტრანსკუტანური პუნქცია არ გაკეთებულა. საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით 37 პაციენტიდან, 15 ჩატარდა კონსერვატული მკურნალობა. 5 პაციენტთან კონსერვატულ მკურნალობას დაემატა ტრანსკუტანური პუნქცია. 7 პაციენტში საჭირო გახდა კონსერვატულ მკურნალობას დამატებოდა დრენირება. 7 პაციენტში მკურნალობა გაგრძელდა ღია მუცლის მეთოდით.

მძიმე პანკრეატიტით დაავადებულ 19 პაციენტიდან, ტრანსკუტანური პუნქცია და დრენირება საჭიროა გახდა 1 პაციენტთან. დანარჩენ პაციენტებთან კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების გათვალისწინებით, კონსერვატულ მკურნალობასთან ერთად დამატებით საჭირო გახდა ფასციოტომიის და შემდგომ ქირურგიული მკურნალობის გაგრძელება ღია მუცლის მეთოდით.

**მიკრობიოლოგიური კვლევა** დიაგნოსტიკის ერთ-ერთი მეთოდია სტერილური და ინფიცირებული ნეკროზის დიფერენცირებისთვის. კომპიუტერულ ტომოგრაფიასაც ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლია ინფექციის საიმედო ნიშნის გამოვლენა, ნეკროზის ზონებში აირის ბუშტების სახით. დღესდღეობით მიკრობიოლოგიური კვლევა, ეს ინვაზიური პროცედურა ხშირად ნაცვლდება პროკალციტონინის დონის შეფასებით. ყველა სხვა კლინიკურ და ლაბორატორიულ პარამეტრს აქვს დიაგნოზის დაბალი სიზუსტე ინფექციური პროცესის არსებობასთან ან არარსებობასთან დაკავშირებით. მიკრობიოლოგიური

კვლევისათვის მასალის მიღება შესაძლებელია სითხური ან ნეკროზული ზონების პერკუტანული პუნქციით, ულტრაბგერის ან კტ-ს კონტროლით, ან ქირურგიული ოპერაციის დროს. გარდა ამისა, მიკრობიოლოგიური კვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანტიბიოტიკოთერაპიის რეჟიმების არჩევაში. მიკრობიოლოგიური კვლევა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ პირველადი დასკვნა, სტერილურობის ან ინფექციის შესახებ, მიწოდებული მასალის აღებიდან 24 სთ-ის განმავლობაში. დიაგნოსტიკური მიზნით, ულტრაბგერის ან კტ კონტროლის ქვეშ ჩატარებული პუნქციის დროს მიღებული მასალის მიკრობიოლოგიური კვლევა, დიაგნოზის დასასმელად და მკურნალობის ტაქტიკის პრობლემის გადასაჭრელად ჩატარდა პანკრეონეკროზით დაავადებულ 8 პაციენტში.

### **ინფუზური თერაპია „აგრესიული ჰიდრატაცია“**

მწვავე პანკრეატიტის დროს, დიდი რაოდენობით სითხე იკარგება სისხლძარღვებიდან ინტერსტიციულ ქსოვილში, რაც იწვევს მძიმე ჰიპოვოლემიას. ეს უკანასკნელი განპირობებულია მრავალი ფაქტორით: ღებინება, სითხეების მესამე სივრცეში გადანაცვლება, გაზრდილი რესპირაციული დანაკარგი, ორალურად საკვების მიღების შემცირება, ოფლიანობა [222, 226].

ვინაიდან მწვავე პანკრეატიტის კონკრეტული, ეფექტური სამკურნალო საშუალება არ იქნა ნაჩი, ამიტომ, პაციენტის შემოსვლიდან პირველ 24 საათში, განსაკუთრებით საშუალო და მძიმე პანკრეატიტის კონსერვატულ მკურნალობას, ვიწყებდით ადრეული აგრესიული ჰიდრატაციით. ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო სითხის დანაკარგის "აგრესიული" შევსება ქსოვილის პერფუზიის გასაუმჯობესებლად, რაც ახდენდა ჰემოდინამიკის ნორმალიზებას, აუმჯობესებდა ჟანგბადის ტრანსპორტირებას პანკრეასის ჩათვლით და ხელს უშლიდა მასში ნეკროზის პროგრესირებას.

ჩვენ პაციენტის შემოსვლიდან პირველ 24 საათში ვუზრუნველყოფთ აგრესიულ ჰიდრატაციას სიჩქარით 5-დან 10 მლ/სთ-ში იზოტონური კრისტალოიდის ხსნარით (ფიზიოლოგიური ან ლაქტატ-რინგერის ხსნარით). პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ

მოცულობის ძლიერი შემცირება, რომელიც მანიფესტირდებოდა ჰიპოტენზიით და ტაქიკარდიით, ვუზრუნველყოფდით უფრო სწრაფ გადასხმით თერაპიას (20მლ/კგ-ზე სიჩქარით ინტრავენურად ნაკადი ენიშნებათ 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ 3მლ/კგ-ზე სიჩქარით 8-12სთ-ის განმავლობაში). ჰიპერკალციემიით განპირობებული პანკრეატიტით დაავადებულებში უკუნაჩვენებია ლაქტატ-რინგერის ინფუზია, რადგან შეიცავს 3 მექვ/ლ კალციუმს. ასეთ პაციენტებში მოცულობის შევსება უნდა მოხდეს ფიზიოლოგიური ხსნარით. მასიური ტრანსფუზიის დროს გარკვეული კატეგორიის პაციენტებში (გულის, ფილტვის, თირკმლის უკმარობა და სხვა) ვითვალისწინებით სითხით გადატვირთვას არ გაუარესებინა პაციენტთა ზოგადი მდგომარეობა. შემანარჩუნებელი თერაპიის (ელექტროლიტური, მჟავა-ტუტოვანო ბალანსის კორექცია) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ჟანგბადის სათანადო მხარდაჭერა ქსოვილების ჰიპოქსიის სიმძიმის შესამცირებლად. ვინარჩუნებდით SpO<sub>2</sub> მონაცემებს 97-98% ფარგლებში.

**ნაზო-ეიუნალური მილით კვება ხორციელდება:** ნაზო დუოდენური ზონდით, ბოლოზე ბუნიკით, რომლის საშუალებით კუჭის პერისტალტიკას ზონდი გადააქვს თორმეტგოჯა და მლივ ნაწლავში (სურათი 15). ენდოსკოპის კონტროლით ნაზო-ეიუნალური მილის ჩადგმა ხდება ტრეიცის იოგის ქვემოთ. ნაზო-ეიუნალური მილის ჩადგმა შესაძლებელია ინტრაოპერაციულადაც (სურათი 13). მისი ჩადგმის შემდეგ, ვიწყებთ ნაწლავში ფიზიოლოგიური ან რინგერის ხსნარის შეყვანას 500 მლ მოცულობით, იმ პაციენტებშიც, რომლებსაც აქვთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მსუბუქი პარეზის სურათი. მეორე დღეს საკვების ათვისების შემთხვევაში ზონდში შეგვყავს 500მლ ბალანსირებული კვების ნარევი (ნუტრიზონი ან სხვა) 12 საათის განმავლობაში 1 კვალ 1 მლ-ში. მომდევნო დღეებში ხსნარის მოცულობას ვზრდით 1,5-2 ლიტრამდე, შემდეგ კი 2.5-3 ლიტრამდე, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის ყოველდღიურ ენერჯის საჭიროებას 2000-3000 კვალ. ინტრავენური კვების ხანგრძლივობა ინდივიდუალურია. დადებითი დინამიკის შემთხვევაში, კვება გრძელდება per os ანუ ბუნებრივი გზით. მძიმე პაციენტებში, რომლებიც

დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან ხელოვნური სუნთქვის აპარატზე, ნაზოენტერული კვება გრძელდება პოლიორგანული უკმარობის ლიკვიდაციამდე.

### სურათი 15.

ნაზოდუოდენური ზონდი ბუნიკით

ნაზო-ეიუნალური მილი გატარებული

ტრეიცის იოგის დისტალურად



### ორგანოთა უკმარისობის შეფასება (SOFA- Sequential Organ Failure Assessment) ქულებით

SOFA-ს ქულებით ორგანოთა უკმარისობის შეფასება, პროგნოზირებს პაციენტთა სიკვდილიანობის რისკს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, ლაბორატორიული და კლინიკური მონაცემების საფუძველზე.

SOFA შეიმუშავა ინტენსიური თერაპიის ევროპული საზოგადოების სამუშაო ჯგუფმა-working group of the European Society of Intensive Care Medicine [218] და დაადგინა, რომ SOFA ქულებს აქვს კარგი კორელაცია ორგანოს დისფუნქციასთან კრიტიკულ პაციენტებში [199]. SOFA განსაზღვრავს ლეტალობის სავარაუდო რისკებს, რომელიც ეყრდნობა 6 ორგანოს სისტემის დისფუნქციის ხარისხს. SOFA ქულა მოითხოვს მრავალ ლაბორატორიულ ტესტირებას და შეიძლება დროულად არ იყოს ხელმისაწვდომი. ამიტომ 2016 წლის

თებერვალში Sepsis-3 სამუშაო ჯგუფის მიერ დაინერგა qSOFA (სწრაფი SOFA), როგორც სწრაფი კლინიკური შეფასება პაციენტის საწოლთან, რომლებზეც ეჭვია ინფექციაზე და პროგნოზულად ცუდი შედეგის რისკის ქვეშ არიან [3, 137].

qSOFA მნიშვნელოვნად ამარტივებს SOFA-ს და განისაზღვრება მხოლოდ 3 კლინიკურ კრიტერიუმით, რომელთაგან თითოეული ადვილად შესაფასებელია. QuickSOFA-ში გამოიყენება სამი კრიტერიუმი, თითო ქულის მინიჭებით: დაბალი წნევა ( $SBP \leq 100$  mmHg), სუნთქვის სიხშირე ( $R \geq 22$  სუნთქვა წუთში) და შეცვლილი მენტალობა (გლაზგოს კომის ქულა  $< 15$ ). შეფასება 0-დან 3 ქულამდე მერყეობს. 2 ან მეტი qSOFA ქულა მიუთითებს ინფექციის არსებობაზე და დაკავშირებულია სიკვდილობის რისკის ზრდასთან. მწვავე ორგანოების დისფუნქციის გარეშე qSOFA (ცხრილი 1) შეადგენს 0 ქულას. qSOFA-ს "დადებითი" ქულა ( $\geq 2$ ) მიგვითითებს ცუდი შედეგების მაღალ რისკზე პაციენტებში ექვმიტანილი ინფექციით. მაშინაც კი, თუ პაციენტის qSOFA ქულა თავდაპირველად არის "უარყოფითი" ( $< 2$ ), ის შეიძლება განმეორდეს, თუკი ცვლილება მოხდა პაციენტის კლინიკურ მდგომარეობაში. ქულა გამოითვლება პაციენტის მიღებისას და შემდგომ ყოველ 24 საათში, პაციენტის გაწერამდე და იზომება ყველაზე უარესი პარამეტრების მიხედვით.

დიაგნოზის სპეციფიკის გასაზრდელად, მიზანშეწონილია სისხლში C-რეაქტიული ცილის ან პროკალციტონინის დონის განსაზღვრა, თუ qSOFA-ს მინიმუმ 1 ქულა არსებობს. მაშინაც კი, თუ პაციენტის qSOFA ქულა თავდაპირველად არის "უარყოფითი" ( $< 2$ ), ის უნდა განმეორდეს, თუკი ცვლილება მოხდა პაციენტის კლინიკურ მდგომარეობაში. ამიტომ qSOFA ქულა გამოითვლება პაციენტის საწოლთან ყოველ დღე დაავადების დინამიკის გათვალისწინებით.

პაციენტებს, რომელთა მიღებისას ქულების რაოდენობა არ აღემატებოდა "ერთს", ჰქონდათ დადებითი პროგნოზი - გამოჯანმრთელება მოხდა ყველა პაციენტში. იმ პაციენტების პროგნოზი, რომელთა ქულა იყო ( $\geq 2$ ) ანუ მძიმე პანკრეატიტის მქონე პაციენტების ჯგუფი, ლეტალური გამოსავალი დაფიქსირდა 7 პაციენტთან.

## ცხრილი 1

## qSOFA და SIRS კრიტერიუმები

SIRS კრიტერიუმი (ორი ან მეტი)	qSofa კრიტერიუმი (ორი ან მეტი)
36< ტემპერატურა >38	სისტოლური წნევა <100 mmHg
სუნთქვის სიხშირე>22/წუთში	სუნთქვის სიხშირე>20/წთ
პულსი > 90/წთ	გლაზგოს სკალა≤14
4000<ლეიკოციტი>12.000	

### ქირურგიული ოპერაცია

ღია ნეკრექტომიის მეთოდს აქვს ერთი საბოლოო მიზანი - ნეკროზული ქსოვილის სრული მოცილება. ექვგარეშეა, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეირჩეს მკურნალობის საუკეთესო მეთოდი.

ნეკრექტომიის ტექნიკა მოიცავს პირველად ორგანოშემნახველ ადგილობრივ ნეკრექტომიას, შემდგომში საჭიროებისამებრ დარჩენილი ინფიცირებული ნეკროზული ქსოვილების და პერიპანკრეასული ეგზოკრინული სეკრეტის მოცილებას.

შუა ხაზის ვერტიკალური განაკვეთი საშუალებას იძლევა შეაფასდეს მთელი მუცლის ღრუ და ჩატარდეს მისი რევიზია და სანაცია. ბადექონის აბგაში შესვლა ხორციელდება ჩლუნგად, კუჭის დიდ სიმრუდესთან, კუჭ-ბადექონის სისხლძარღვების ქვეშ ითიშება ღვიძლ-თორმეტგოჯას და კუჭ-კოლინჯის იოგები. ეს მიდგომა იცავს კოლინჯის სისხლძარღვებს და განივ კოლინჯს დაზიანებისგან და აადვილებს პანკრეასთან მოდგომას. ნეკროზულ კერებს აქვთ უფრო მუქი ფერი და მკვრივი სტრუქტურა, ვიდრე სიცოცხლისუნარიან ქსოვილებს. ნეკროზი, როგორც წესი, შემოიფარგლება პანკრეასით (სურათი16), მაგრამ ასევე შეიძლება გავრცელდეს პერიპანკრეასულ და რეტროპანკრეასულ ქსოვილებზე. პანკრეასის პარენქიმის ნეკროზი, ხშირად არის ლოკალური და ზედაპირული, ხოლო პანკრეასის ღრმა ქსოვილები დაცულია, აქ პერფუზია და ქსოვილები

სიცოცხლისუნარიანია. კომპიუტერული ტომოგრაფიის მონაცემების გათვალისწინებით, სითხის ყველა დაგროვება უნდა გაიხსნას და ევაკუირებულ იქნას.

### სურათი 16. სუბტოტალური პანკრეონექროზი



პანკრეასის და პერიანკრეასური ნეკროზული ქსოვილების მოცილება ხორციელდება ბლაგვი დისექციით თითის საშუალებით (დიგიტოკლაზია) ან ფრთხილად ინსტრუმენტული დისექციით. ბასრ დისექციას უნდა ვერიდოთ უკონტროლო სისხლდენის თავიდან ასაცილებლად. ნეკროზული ქსოვილები თანმიმდევრულად იდენტიფიცირდება განივი, აღმავალი და დაღმავალი კოლინჯის უკან მდებარე რეტროპერიტონულ სივრცეში. ნეკროზული ქსოვილების მოცილება ხდება ბლაგვი დისექციით. ნეკროზული ქსოვილი და სითხე იგზავნება ბაქტერიული კვლევისთვის. ნეკრექტომიის შემდეგ, პანკრეასი და რეტროპერიტონული სივრცე უხვად ირეცხება საირიგაციო ხსნარით ნეკროზული ქსოვილის, ანთებითი ექსუდატის და ბაქტერიების მოსაცილებლად. ფრთხილი ბლაგვი დისექციის ტექნიკა აშორებს ნეკროზულ ქსოვილებს და ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიან პანკრეასის პარენქიმას (სურათი 17). პანკრეასიდან სისხლდენა ჩერდება ამოკერვით, გაუწოვადი ძაფით. ბოლოს იდგმება ოთხი დრენაჟი (ორი-ორი თითოეული მხრიდან) მიმართულია პერიპანკრეასული სივრცისკენ საპირისპიროდ, პანკრეასის თავისა და კუდის

მიმართულებით, აღმავალი და დაღმავალი კოლინჯის უკან. შუა ხაზის ან ორფერდქვეშა განაკვეთი (სურათი 18), იძლევა კარგი ექსპოზიციის და დრენაჟების ოპტიმალური განთავსების შესძლებლობას. ნეკრექტომიის და სანაციის დასრულების შემდეგ, მუცლის ღრუ იხურება კვანძოვანი ნაკერებით.

სურათი 17. ნეკრექტომიის შემდგომ

სეკვესტრები



სურათი 18. ორფერდქვეშა განაკვეთი



პანკრეონეკროზის დროს ნებისმიერი ქირურგიული ჩარევის ამოცანაა, ნეკროზული ქსოვილების მოცილება და ეგზოკრინული სეკრეტის დაგროვების მინიმუმამდე შემცირება. ამ სიტუაციაში, განმეორებითი ოპერაციების ჩატარება რთულია და იწვევს გართულებების მატებას. ამიტომ, ნეკრექტომიის მიზანია ერთი ოპერაციით ნეკროზული და ინფიცირებული ქსოვილის სრული მოცილება და განმეორებითი ოპერაციის ან დრენირების მინიმუმამდე შემცირება.




დაგეგმილი გეგმური ნეკრექტომიის შემთხვევაში, ოპერაცია იწყება პანკრეასის, ორივე რეტროკოლური სივრცის, წვრილი და მსხვილი ნალავის ჯორჯლის ვიზუალური და მანუალური რევიზიით. კტ კვლევა იძლევა ორიენტაციას ნეკროზული ქსოვილების ლოკალიზაციაზე.

ბადექონის აბგაში შესვლა ხორციელდება კუჭ-კოლინჯის იოგიდან, რადგან ის საუკეთესოა პანკრეასთან მისადგომად. ნეკრექტომია ხორციელდება ხელით, ბლაგვი დისექციით (დიგიტოკლაზია). ნეკროზული მასების ფრთხილი ევაკუაცია, უმეტეს შემთხვევაში წარმატებით ხორციელდება. ბასრი წესით ნეკრექტომია (მაკრატლით ან სკალპელით) არ არის რეკომენდებული, განსაკუთრებით ელენთის, ზემო მეზენტერულ და კოლინჯის შუა ვენებთან ახლოს. ყველა ნეკროზული ქსოვილი, რომელიც ექვემდებარება დიგიტოკლაზიით მოცილებას, უნდა იყოს მოცილებული.

რეტროპერიტონული ქსოვილების დათვალიერებისათვის, საჭიროა ლატერალური არხების პერიტონეუმის კვეთა, თუ კტ-ს მონაცემები მიუთითებს ამ ადგილებში ანთებითი პროცესის არსებობაზე. პერიპანკრეასულ სივრცეში დესტრუქციული პროცესის არსებობისას, უბრალო პალპაცია ნაკლებად ინფორმატიულია განსაკუთრებით ქარბცხიმიან პაციენტებში, ეს სივრცეები კტ-ს მონაცემებზე დაყრდნობით აუცილებელად უნდა გახსნას და დრენირებული იქნას (სურათი 19).

**სურათი 19.** ნეკროზული კერის დრენირება; **სურათი 20.** ელვა-შესაკრავი „zipper”



**სურათი 21.** პაციენტი მძიმე პანკრეონეკროზით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. მკურნალობა: ენტერული ზონდი, „ელვა-შესაკრავი zipper“.



თუ დარჩენილი იქნება ადგილები, ნეკროზული ქსოვილებით, პაციენტს ვაბრუნებთ საოპერაციოში 2-3 დღეში, განმეორებითი ქირურგიული რევიზიისათვის, ნეკრექტომიისათვის, ზოგადი გაუტკივარების ქვეშ. თუ დაგეგმილი იქნება გეგმური რევიზია, ამ შემთხვევაში ვაფორმებთ ლაპაროსტომას ან მუცლს ვხურავთ „ელვა-შესაკრავით-zipper“ (სურათი 20,21). ეს არა მარტო აჩქარებს მუცლის ღრუს გახსნას ან დახურვას ნებისმიერი დაგეგმილი ქირურგიული ჩარევისას ან/და სანაციისას, არამედ იცავს მუცლის ღრუს ამ პროცედურებს შორის და ხელს უწყობს ჭრილობის პირველად შეხორცებას. განმეორებითი რევიზია იგეგმება ლაპაროტომიიდან 48-72 საათში. იხსნება „ელვა-შესაკრავი-zipper“ და ხდება მთელი მუცლის ღრუს რევიზია. საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი ბლაგვი დისექცია, ნეკრექტომია და სანაცია. გეგმური რელაპაროტომიები გრძელდება ნეკროზული კერების სრულ ლიკვიდაციამდე (სურათი 22).

**სურათი 22.** პანკრეასი განმეორებითი სეკვესტრექტომიის შემდგომ



როდესაც ყველა ნეკროზული კერა იქნება ლიკვიდირებული, მუცლის ღრუ იხურება დრენაჟებზე. უმჯობესია სილიკონის რბილი დრენაჟები (ქსოვილებზე ზეწოლით ნაწოლების პრევენციის მიზნით) აქტიური ასპირაციისთვის. დრენაჟები განლაგდება მსხვილი სისხლძარღვების და ნაწლავების მახლობლად მათთან უშუალო კონტაქტის გარეშე. მიზანშეწონილია დრენაჟები განლაგდეს ყველა ანატომიურ სივრცეში, სადაც იყო ნეკროზული კერები. დრენაჟები განლაგდება მარჯვნიდან ღვიძლის ქვეშ და კოლინჯის ღვიძლის კუთხის უკან. მარცხნიდან კოლინჯის ელენთის კუთხის უკან და ელენთის ქვეშ. ბოლო სანაცის შემდეგ „ელვა-შესაკრავი-zipper“ ამოღებული იქნება და მუცლის ღრუ იხურება ნაკერების დადებით. თუ შესაძლებელია პირველი ოპერაციის დროს სრული ნეკრექტომია, რომელიც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია, მაშინ მუცლის ღრუს იხურება დაგეგმილი რელაპაროტომიების გარეშე.

პაციენტებს, რომელთაც დასჭირდათ რამოდენიმე გეგმური რელაპაროტომია, გამოჯანმრთელების შემდეგ, პოსტოპერაციულ პერიოდში შეიძლება ჩამოუყალიბდეთ პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქარი. რომლის ლიკვიდაცია კეთდება მუცლის წინა კედლის რეკონსტრუქციით.

### **ფასციოტომია**

ფასციოტომიის ტექნიკა: ზოგადი გაუტკივარებით, მუცლის წინა კედლზე შუა ხაზის გასწვრივ, ვატარებთ სამ განივ განაკვეთს 4 სმ-ის სიგრძის. მახვილისებრი მორჩიდან 10 სმ-ით ქვემოთ, ჭიპის ზემოთ და ქვემოთ 5-5სმ-ის დაცილებით, თეთრი ხაზის აპონევროზამდე. ბასრი წესით კეთდება კან-ცხიმოვან ნაფლეთსა და აპონევროზს შორის ტუნელიზაცია (კანქვეშა გვირაბის შექმნა) წინასწარ გატარებული ყველა განაკვეთიდან ზემოთ და ქვემოთ (სურათი23). შემდეგ, კანის და კანქვეშა ქსოვილის კიდეების კავებით აწევით, სკალპელით და/ან მაკრატლით იკვეთება აპონევროზი მთელ სიგრძეზე, მკაცრად თეთრ ხაზზე, მახვილისებრი მორჩიდან ბოქვენის სიმფიზამდე. მკაცრად ვიცავთ პერიტონეუმის მთლიანობას დაზიანებისაგან (სურათი 24). ფასციოტომიის შემდეგ ვღებულობთ 10-12 სმ-ის

სიგანის დიასტაზს. კეთდება რევიზია ჭრილობიდან სისხლქონვადობაზე და კანი იკვრება კვანძოვანი ნაკვრებით. ვადებთ ასეპტიურ ნახვევს.

ფასციოტომიის შემდეგ, ინტრააბდომინური წნევა მცირდება 4-5mm.Hg. ერთეულით. ერთ პაციენტში კლინიკური გაუმჯობესების შემდეგ, მუცლის თეთრი ხაზის აპონევროზი გაიკერა ვენტრალური თიაქრის განვითარების პრევენციის მიზნით. რეაბილიტაციის შემდეგ, 2 პაციენტმა გაიკეთა თიაქარპლასტიკა ვენტრალური თიაქრის გამო. 1 პაციენტს ვენტრალური თიაქრით, ჩვენთვის არ მოუმართავს. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ კანზე განივი განაკვეთების გატარებას, ვერტიკალურ განაკვეთებთან შედარებით. ვინაიდან განივი განაკვეთებიდან კანქვეშა გვირაბის გაკეთება უფრო ადვილია და განივი განაკვეთების გატარების შემთხვევაში, ჭრილობის დეფექტი არ ჩნდება. ხოლო ვერტიკალურ განაკვეთებზე დადებული ნაკვრების ჩაჭრის ან დაინფიცირების შემთხვევაში, ჩნდება ჭრილობის ფართო დეფექტი, რომელიც პოსტოპერაციულ პერიოდში საჭიროებს ხშირ შეხვევებს.

**სურათი 23.** განივი განაკვეთები

**სურათი 24.** ფასციოტომია, პერიტონეუმის

მთლიანობა დაცულია



### თავი 3 კვლევის შედეგები

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ატლანტას კლასიფიკაცია მოდიფიცირებული იყო 2013 წელს და წარმოადგენს განახლებულ 1992 წლის ატლანტას კლასიფიკაციას, მწვავე პანკრეატიტის სტანდარტიზებული კლინიკური და რადიოლოგიური ნომენკლატურისა და მათთან დაკავშირებული გართულებების შესახებ.

მოდიფიცირებული ატლანტის 2013წ კლასიფიკაცია, დამყარებულია ლოკალურ და სისტემურ კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მწვავე პანკრეატიტის სიმძიმეს. დაავადების ლოკალური კრიტერიუმებია: (პერი)პანკრეასის ნეკროზი - სტერილური ან ინფიცირებული. სისტემური კრიტერიუმებია: პოლიორგანული უკმარისობა გარდამავალი ან გაგრძელებადი. მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის კრიტერიუმებია: მსუბუქი, საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტი. მსუბუქი მწვავე პანკრეატიტია, როდესაც არ არის ორგანული უკმარისობის, ლოკალური და სისტემური გართულებების ნიშნები. საშუალო სიმძიმის პანკრეატიტისათვის დამახასიათებელია ორგანული უკმარისობის ნიშნები, რომელიც კუპირდება 48 საათში (გარდამავალი ორგანული უკმარისობა) ან/და ლოკალური და სისტემური გართულებები გარდამავალი ორგანული უკმარისობის გარეშე. მძიმე პანკრეატიტია, ორგანული უკმარისობა 48 საათზე მეტი, გაგრძელებადი ორგანული უკმარისობისას ინფიცირებული ნეკროზის განვითარებით, რაც დაკავშირებულია ლეტალობის მაღალ მაჩვენებლებთან.

მწვავე პანკრეატიტის კლინიკური ფაზებია: ადრეული (1-2 კვირა), რომლის სიმძიმე განისაზღვრება არსებული ან არარსებული ლოკალური გართულებებით ან გაგრძელებადი პოლიორგანული უკმარისობით. გვიანი (2 კვირაზე მეტი) რომელის სიმძიმე განისაზღვრება არსებული ლოკალური გართულებებით ან გაგრძელებადი პოლიორგანული უკმარისობით.

მწვავე პანკრეატიტის მორფოლოგიური ფორმებია: ინტერსტიციულ-შემუპვებითი პანკრეატიტი (IEP-interstitial edematous pancreatitis), პანკრეასის პარენქიმის და

პარიპანკრეასული ქსოვილების ანთება, ქსოვილოვანი ნეკროზის ვიზუალიზაციის გარეშე და ნეკროზული პანკრეატიტი (NP-necrotizing pancreatitis) - ნეკროზული პროცესი, რომელიც ირთავს პანკრეასს და/ან პერიპანკრეასულ ქსოვილებს ანუ იყოფა, პანკრეასის პარენქიმულ ნეკროზად და პარიპანკრეასულ ნეკროზად. პარენქიმული პანკრეონეკროზი და პერიპანკრეასული ნეკროზი ხშირად კომბინაციაში არიან ერთმანეთთან. ყველა პანკრეონეკროზი შეიძლება იყოს სტერილური და ინფიცირებული. ვიზუალური მეთოდების დროს აირის არსებობა ინფიცირების მთავარი ნიშანია. პანკრეონეკროზი წარმოადგენს მწვავე პანკრეატიტის შემთხვევების 5-10%-ს. განახლებულმა კლასიფიკაციამ შეცვალა დამაბნეველი და ზოგჯერ არასწორი ტერმინოლოგია. ამრიგად, ტერმინები მწვავე ფსევდოციტა და პანკრეასის აბსცესის გამოყენება არ არის რეკომენდებული. მათ ნაცვლად, კოლექციის შემდეგი ოთხი სხვადასხვა ქვეტიპი იდენტიფიცირდება პანკრეასის ნეკროზის არსებობისა და პანკრეატიტის დაწყებიდან გასული დროის საფუძველზე.

პანკრეატიტის კლასიფიკაციის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფმა (APCWG-Acute Pankreatitis Classification Working Group) შემოგვთავაზა მწვავე პანკრეატიტის ადგილობრივი გართულებების ოთხ ტიპად დაყოფა: პერიპანკრეასური სითხის მწვავე დაგროვება (APFC-Acute peripancreatic fluid collections), მწვავე ნეკროზული დაგროვება (ANC-Acute necrotic collections), პანკრეასის ფსევდოციტა (PC), შემოფარგლული ნეკროზი (WON - walled-off necrosis). პერიპანკრეასური სითხის მწვავე დაგროვება (APFC) და ფსევდოციტები გვხვდება ინტერსტიციული შეშუპებით პანკრეატიტში (IEP) და შეიცავენ მხოლოდ სითხეს. მწვავე ნეკროზული კოლექცია (ANC) და შემოსაზღვრული ნეკროზი (WON) გვხვდება მხოლოდ ნეკროზული პანკრეატიტის მქონე პაციენტებში და შეიცავენ სხვადასხვა რაოდენობით სითხეს და ნეკროზულ მასებს. პერიპანკრეასური სითხის მწვავე დაგროვება (APFC) და მწვავე ნეკროზული კოლექცია (ANC) ვლინდება დაავადების დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში. ამ დროის გასვლის შემდეგ, APFC ან ANC შეიძლება გაიწოვოს ან დარჩეს, განვითარდეს გრანულაციური კედელი და შესაბამისად გახდეს, ფსევდოციტა ან შემოსაზღვრული ნეკროზი (WON). კოლექციის ნებისმიერი ქვეტიპი შეიძლება დაინფიცირდეს, გამოჩნდეს აირის ბუშტუკები - გაზი, ყველაზე ხშირად ეს გვხვდება ნეკროზულ კოლექციებში.

წარმოდგენილმა კლასიფიკაციამ ხელი შეუწყო მის დანერგვას რენტგენოლოგიურ პრაქტიკაში. ის აადვილებს კომუნიკაციას კლინიცისტებს და რადიოლოგებს შორის და რადიოლოგი ხდება მულტიდისციპლინური გუნდის ერთ ერთი ძირითადი წევრი, მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში [73].

ზემოთ აღნიშნული მწვავე პანკრეატიტის ატლანტას განახლებული კლინიკური და რადიოლოგიური კლასიფიკაციის გათვალისწინებით დავიწყეთ ჩვენი კლინიკური მასალის დამუშავება (ცხრილი 2) და მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით მასალა დავყავით: მსუბუქ მწვავე პანკრეატიტად (51 პაციენტი), საშუალო სიმძიმის პანკრეატიტად (37 პაციენტი) და მძიმე პანკრეატიტად (19 პაციენტი).

**ცხრილი 2. მწვავე პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტთა განაწილება 2012წ ატლანტის სიმძიმის კრიტერიუმებით და მათი მკურნალობა**

2012წ ატლანტის კრიტერიუმები	პაციენტი N	მკურნალობა
მსუბუქი პანკრეატიტი Mild acute pancreatitis	51 (48%)	51- კონსერვატული მკურნალობა(კმ), აქედან 5-პაპილოსფინქტეროტომია
საშუალო სიმძიმის პანკრეატიტი Moderately severe acute pancreatitis	37 (34%)	15 -კონსერვატული მკურნალობა (კმ); 5 - კმ+ტრანსკუტანური პუნქცია(ტპ); 7 - კმ+დრენირება; 3 - კმ+ფასციოტომია; 7-კმ+ფასციოტომია+ ლაპაროტომია;
მძიმე პანკრეატიტი Severe acute pankreatitis	19 (18%)	5 - კონსერვატული მკურნალობა(კმ); 2 - კმ+ ფასციოტომია; 1 - კმ +დრენირება; 5 - კმ+ფასციოტომია+ ლაპაროსტომია; აქედან 2 mors 6 -კმ+ ლაპაროსტომია; აქედან 3 mors

### 3.1. მსუბუქი მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა.

#### ცხრილი 3.

2012წ ატლანტის კრიტერიუმები	პაციენტი N (%)	მკურნალობა
მსუბუქი პანკრეატიტი Mild acute pancreatitis	51 (48%)	51- კონსერვატული მკურნალობა, აქედან 5- პაპილოსფინქტეროტომია

შესწავლილია ჩვენს მიერ, მსუბუქი მწვავე პანკრეატიტით დაავადებული 51 პაციენტი (ცხრილი 3), რომელთაც არ აღინიშნებოდა ორგანოთა უკმარისობა, ადგილობრივი ან სისტემური გართულებები. პაციენტების ქირურგიულ განყოფილებაში ან ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში (ICU) მოთავსების გადაწყვეტილების მიღებისას ვხელმძღვანელობდით პაციენტის მდგომარეობის, კლინიკურ-ლაბორატორიული მაჩვენებლების და თანმხლები დაავადებების გათვალისწინებით. კონსერვატული თერაპიის დონეს განვსაზღვრავდით დაავადების სიმძიმის შესაბამისად, რაც თავის მხრივ დამოკიდებული იყო პანკრეასის და რეტროპერიტონული ქსოვილის ანთებითი პროცესის ზომაზე, აგრეთვე პაციენტის სომატურ სტატუსზე.

მსუბუქი პანკრეატიტით დაავადებული 51 პაციენტი ჰოსპიტალიზირებული იყო მწვავე პანკრეატიტის პირველ ფაზაში, ძირითადად დაავადების დაწყებიდან პირველი 3 დღის განმავლობაში. ვინაიდან მწვავე პანკრეატიტის მკურნალობაში თერაპია ექსკლუზიურად დამხმარე როლს თამაშობს, პანკრეატიტის სპეციფიური თერაპიის არარსებობიდან გამომდინარე, მისი ინტენსიური მკურნალობის პრინციპები ემყარებოდა შემდეგ “სვეტებს”: სასიცოცხლო ორგანოების ჰომეოსტაზის და ფუნქციების შენარჩუნებას სათანადო დონეზე, გართულებების მონიტორინგს და მათ დროულ კორექტირებას, მეორადი ინფექციის პროფილაქტიკას.



გამომდინარე იქიდან, რომ მწვავე პანკრეატიტის დროს, დიდი რაოდენობით სითხე იკარგება სისხლძარღვებიდან ინტერსტიციულ ქსოვილში, რაც იწვევს მძიმე ჰიპოვოლემიას, ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო სითხის დანაკარგის "აგრესიული" შევსება ქსოვილის პერფუზიის გასაუმჯობესებლად, რაც ახდენდა ჰემოდინამიკის ნორმალიზებას. ჩვენ ვუზრუნველყოფთ აგრესიულ ჰიდრატაციას სიჩქარით 5-დან 10 მლ/სთ-ში ლაქტატ-რინგერის ხსნარით. პაციენტებს, რომლთაც აღნიშნებოდათ მკვეთრი ჰიპოვოლემია, რომელიც მანიფესტირდებოდა ჰიპოტენზიითა და ტაქიკარდიით, ვუზრუნველყოფთ უფრო აგრესიულ ჰიდრატაციას (20მლ/კგ-ზე სიჩქარით ინტრავენური ნაკადი ენიშნებათ 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ 3მლ/კგ-ზე სიჩქარით 8-12სთ). ვითვალისწინებთ გარკვეული კატეგორიის პაციენტებში (კარდიო-რესპირაციული სისტემების უკმაროზა და სხვა) სითხის გადატვირთვას არ გაუარესებინა პაციენტთა ზოგადი მდგომარეობა. შემანარჩუნებელი თერაპიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ჟანგბადის სათანადო მხარდაჭერა ქსოვილების ჰიპოქსიის სიმძიმის შესამცირებლად. ვინარჩუნებდით SpO<sub>2</sub> მონაცემებს 96-98% ფარგლებში.

კონსერვატული მკურნალობის ფონზე, რომელიც შედგებოდა კრისტოლოიდური ხსნარების ინტრავენური ინფუზიისგან, ანტისპაზმური, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების პარენტერალური გზით შეყვანიდან, ადრეული ბუნებრივი გზით კვების დაწყებიდან (მე 2-3 დღიდან), პაციენტები აღნიშნავდნენ ტკივილის შემცირებას და ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ანტიბაქტერიული თერაპია ჩაუტარდა 22 პაციენტს (კვლევის დასაწყისში, ძველი სტერეოტიპიდან გამომდინარე), ხოლო 29 პაციენტში კონსერვატული თერაპია დასრულდა ანტიბაქტერიული თერაპიის გარეშე. ჩვენი მონაცემებით, მკურნალობის კომპლექსში ანტიბიოტიკების ან მის გარეშე ჩართულობისას, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემებში ან სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობაში არ აღინიშნებოდა.

მწვავე პანკრეატიტი 6 პაციენტში, განპირობებული იყო ქოლედოქოლითიაზით და თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის ბლოკით. მოულოდნელად განვითარებულ მწვავე

ტკივილს თან ახლდა ობსტრუქციული სიყვითლის საწყისი ნიშნები (მუქი შარდი, იქტერული სკლერები), qSOFA-ს სკალის მიხედვით მათ აღენიშნებოდათ 0-1 ქულა, ულტრაბგერითი მონაცემებით: პანკრეასში ანთებითი ცვლილებების არსებობა და ექსტრაჰეპატური სანაღვლე გზების გაფართოება. კლინიკური და ულტრაბგერითი ნიშნების შეჯერებით დროულად დავსვით მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზი, გამოწვეული თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის მწვავე ოკლუზიით. ქოლელითიაზით გამოწვეული მწვავე პანკრეატიტის მიმდინარეობაზე ზემოქმედების ერთ-ერთი გზაა თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის გამავლობის აღდგენა. ჩვენ ჩავატარეთ მოკლევადიანი კონსერვატიული - ანტისპაზმური თერაპია, რომლის შედეგი 1 პაციენტთან იყო ნაღვლის სადინრიდან თორმეტგოჯა ნაწლავში ქვის სპონტანური მიგრაცია, რასაც თან დაერთო ტკივილის მნიშვნელოვანი შემცირება და სწრაფი კლინიკური გაუმჯობესება. დანარჩენ 5 შემთხვევაში, საჭიროა გახდა გადაუდებელი რეტროგრადული ქოლანგიოგრაფია და პაპილოსფინქტეროტომია, კონკრემენტების ევაკუაციით. აღდგენილი იქნა სანაღვლე გზების გამავლობა. მოხერხდა SIRS კუპირება, არ აღინიშნებოდა სასიცოცხლო ორგანოებისა და სისტემების, ასევე ჰომეოსტაზის ინდიკატორების მნიშვნელოვანი დარღვევა. პაპილოტომიის შემდგომ გართულებები არ ყოფილა. გაგრძელებული სათანადო კონსერვატიული თერაპიის ფონზე მოხდა მწვავე პანკრეატიტის კუპირება.

პაციენტები პირველი 1-2 დღის განმავლობაში სვამდნენ ტუტე ხსნარებს, შემდეგ კი თანდათანობით დაიწყეს საკვების მიღება ბუნებრივი გზით. არ იყო საჭიროება ენტერალური ზონდით კვებისა. მკურნალობის შემდგომი კურსი ინდივიდუალურად განისაზღვრა, მაგრამ ზოგადად იგი შემცირდა წამლების ეტაპობრივი გაუქმებამდე. კეთდებოდა პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობის კონტროლი, სხივური დიაგნოსტიკის მეთოდების გამოყენებით (პირველ რიგში განმეორებითი ულტრაბგერითი კვლევის სახით). თუკი ინფექციაზე იყო საეჭვო კლინიკური და ლაბორატორიული პარამეტრების დამახასიათებელი ცვლილებები (ლეიკოციტოზი, ფორმულის მარცხნივ გადახრა, პროკალციტონინის მატება და ა.შ.), ვაკეთებდით კომპიუტერულ ტომოგრაფიას ანგიოგრაფიულ რეჟიმში. ჩვენ კლინიკურ მასალაზე ინტერსტიციული პანკრეატიტის

შემთხვევაში ინფიცირების არცერთი მონაცემი არ დაფიქსირდა. კტ მონაცემებით ვლინდებოდა: პანკრეასის დიფუზური (იშვიათად-ლოკალური) ზომით მატება, ერთგვაროვანი საშუალო ინტენსივობის ჰომოგენური კონტრასტის დაგროვებით (სურათი 1).

სტაციონარში დაყოვნების დრო 47 პაციენტში არ აღემატებოდა 10-14 დღეს. 4 პაციენტში ინტენსიური მკურნალობა გახანგრძლივდა სამ კვირამდე თანმხლები დაავადებიდან გამომდინარე: არაკორეგირებული შაქრიანი დიაბეტი (1 პაციენტი), თირკმლების ქრონიკული უკმარობა (1 პაციენტი), კარდიალური პრობლემები (2 პაციენტი). მსუბუქი პანკრეატიტით დაავადებულ 51 პაციენტში ლეტალური შედეგი არ დაფიქსირებულა. ბაზისური კონსერვატიული მკურნალობის საშუალებით შესაძლებელი გახდა პანკრეატიტის ადრეული (1 ფაზის) კუპირება და პაციენტების უსაფრთხოდ გაწერა ინვაზიური ტექნიკის გამოყენების გარეშე.

მსუბუქი მწვავე პანკრეატიტით დაავადებულ 51 პაციენტთან, ადრეულ ფაზაში (1-2 კვირა) ჩატარებული კონსერვატიული მკურნალობა (ჰიდრატაცია, ადრეული კვება ბუნებრივი გზით, ტკივილგამაყუჩებლები, ჰომეოსტაზის პარამეტრების კორეგირება, პაპილოსფინქტეროტომია და ა.შ) დასრულდა დადებითი შედეგით, ლეტალური გამოსავლის გარეშე. ინტერსტიციული შეშუპებითი პანკრეატიტის კონსერვატიული მკურნალობის მიზანი იყოფა ორ მთავარ ნაწილად. პირველ რიგში, საჭიროა აღმოიფხვრას სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის (SIRS) უარყოფითი გავლენა პაციენტზე. მეორეც, მალზე მნიშვნელოვანია ინფექციური გართულებების პრევენცია.

მწვავე პანკრეატიტით, მსუბუქი პანკრეატიტის დაავადების ადრეულ ფაზაში, არცერთ პაციენტში, ინფიცირების კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები არ დაფიქსირდა. ასევე მკურნალობის კომპლექსში ანტიბიოტიკების ან მის გარეშე ჩართულობისას, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემებში და სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობაში არ აღინიშნებოდა. ამიტომ, ინტერსტიციული შეშუპებითი პანკრეატიტის დროს, ანტიბაქტერიული თერაპიის გამოყენების აუცილებლობა არ

არსებობდა. ვინაიდან ინტრააბდომინური წნევა მერყეობდა 9-12mm.Hg. ფარგლებში, არც მუცლის ღრუს დეკომპრესიის საჭიროება იყო.

ინტერსტიციული-შემუპებითი სტერილური პანკრეატიტის დროს კონსერვატული მკურნალობის კომპლექსში შედიოდა აგრესიული ჰიდრატაცია, ჰომეოსტაზის და სასიცოცხლო პარამეტრების კორექცია, ორგანოთა უკმარისობის შეფასების qSOFA ქულების და რადიოლოგიური კვლევების მონიტორინგი. ხანგრძლივი შიმშილის და ანტიბაქტერიული თერაპიის გამოყენების აუცილებლობა არ იყო. ჩვენ ვართ მსუბუქი მწვავე პანკრეატიტის კონსერვატიული მკურნალობის მომხრე მის ადრეულ, სტერილურ ეტაპზე, სხვა ქირურგიული გართულებების არარსებობის შემთხვევაში.

### 3.2. საშუალო სიმძიმის პანკრეატიტის მკურნალობა .

#### ცხრილი 4.

2012წ ატლანტის კრიტერიუმები	პაციენტი N; (%)	მკურნალობა
საშუალო სიმძიმის პანკრეატიტი  Moderately severe acute pancreatitis	37 (34%)	15 - კონსერვატული მკურნალობა (კმ); 5კმ+ტრანსკუტანური პუნქცია(ტპ); 7-კმ+დრენირება; 3-კმ+ფასციოტომია; 7-კმ+ფასციოტომია+ლაპაროტომია;

საშუალო სიმძიმის პანკრეატიტი გამოყოფილია მოდიფიცირებული ატლანტა 2012 კლასიფიკაციაში. საშუალო სიმძიმის პანკრეატიტისათვის დამახასიათებელია ორგანოს უკმარისობის ნიშნები, 48 საათის განმავლობაში და/ან ადგილობრივი ან სისტემური გართულებები ორგანოთა უკმარისობის გაგრძელების გარეშე. მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტი გადის 2 ფაზას. ადრეული, რომელსაც ახასიათებს SIRS და ზოგ შემთხვევაში პოლიორგანული უკმარისობა პანკრეონეკროზის ასეპტიურ ეტაპზე. გვიანი ფაზა წარმოდგენილია დაავადების ინფექციური გართულებებით.

ჩვენ, საშუალო სიმძიმის პანკრეატიტის (ცხრილი 4) ადრეულ-სტერულ ფაზაში ვატარებდით კონსერვატიულ მკურნალობას, მწვავე ქირურგიული გართულებების არარსებობის შემთხვევაში. გვიან ფაზაშიც, ძალზე მნიშვნელოვანია ინფექციური გართულებების თავიდან აცილება, მისი მაქსიმალური, ყოვლისმომცველი პრევენციის გზით. ინფიცირებული პანკრეონეკროზი გარკვეულად წარმოადგენს ქირურგიული მკურნალობის (მინიმალურად ინვაზიური ან ღია ქირურგიული) ჩვენებას, კონსერვატიული მკურნალობის უეფექტობის შემთხვევაში. ამ საკითხს მკაცრად განვიხილავდით, რათა დროულად ჩამოგვეყალიბებინა ქირურგიული ჩარევის ჩვენება. ვინაიდან ადრეულ და გვიან ფაზაში პანკრეონეკროზის მკურნალობის ტაქტიკა არსებითად განსხვავებულია.

დესტრუქციული პანკრეატიტის დროს პაციენტის პირველად ჰოსპიტალიზაციას ICU-ში ვახდენდით პოლიორგანული უკმარობის ნიშნების გამოჩენისას [სისტოლური არტერიული წნევა  $<90\text{mm.Hg}$ ; რესპირაციული უკმარისობა ( $\text{PaO}_2 < 60\text{ mm.Hg}$ ), თირკმლის დისფუნქცია (კრეატინინი  $>177\text{ მმოლ/ლ}$  რეჰიდრატაციის შემდეგ)] და როდესაც qSOFA კრიტერიუმებით (სისტოლური წნევა  $<100\text{mmHg}$ ; სუნთქვის სიხშირე  $>20/\text{წთ}$ ; გლაზგოს სკალა  $\leq 14$ ) ორგანოთა უკმარობის ნიშნებია ( $\geq 2$  ქულა). ინსტრუმენტული დიაგნოსტიკური მეთოდების (უპირველეს ყოვლისა კტ) შედეგების გათვალისწინების გარეშე, საკმაოდ რთულია კლინიკურად განვასხვავოთ შეშუპებითი და დესტრუქციული პანკრეატიტი. ასევე, პანკრეასის ნეკროზის მასშტაბის დადგენა რთულია, განსაკუთრებით დაავადების ადრეულ ეტაპებზე. ცხადია, რომ სრულფასოვანი ინტენსიური თერაპიის დაწყების შეფერხება პანკრეასის ნეკროზის დიდი მოცულობის შემთხვევაში ხშირად შეიძლება ფატალურად დასრულდეს.

მწვავე პანკრეატიტის დროს განვითარებულ ჰიპოვოლემიაზე დაკვირვებით, რაც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით (ღებინება, ორალურად საკვების მიღების შემცირება, სითხეების მესამე სივრცეში გადანაცვლება, გაზრდილი რესპირაციული დანაკარგი, ოფლიანობა), განსაკუთრებით საშუალო და მძიმე პანკრეატიტის კონსერვატიულ მკურნალობას ადრეული აგრესიული ჰიდრატაციით ვიწყებდით. ჩვენ ვუზრუნველყოფთ

ჰიდრატაციას სიჩქარით 5-დან 10 მლ/სთ-ში ლაქტატ-რინგერის ხსნარით. პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებოდათ მკვეთრი ჰიპოვოლემია, რომელიც მანიფესტირდებოდა ჰიპოტენზიითა და ტაქიკარდიით, ვუზრუნველყოფთ უფრო აგრესიულ ჰიდრატაციას (20მლ/კგ-ზე სიჩქარით ინტრავენური ნაკადი ენიშნებათ 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ 3მლ/კგ-ზე სიჩქარით 8-12სთ).

ჩვენ, პირველი 24-სთ-ში აგრესიული ინტრავენური ჰიდრატაციისას, მკაცრ მონიტორინგს ვახდენდით, რათა დროულად ამოგვეცნო, გამოიწვევდა თუ არა ადრეული ჰიდრატაცია გართულებებს: ჰიპერჰიდრატაციას, ფილტვის შეშუპებას, აბდომინურ კომპარტმენტ სინდრომს, ავადმყოფთა ისეთ კატეგორიებში, როგორცაა ხანშიშესული, კარდიოლოგიური და/ან თირკმლის დაავადების მქონე პაციენტები და ა.შ. ამ შემთხვევებში ჩვენ ვთვლით, რომ ცენტრალური ვენური წნევის მონიტორინგი ცენტრალური ვენური კათეტერით მნიშვნელოვანია. პაციენტში, რომელნიც არ პასუხობენ ინტრავენურ ჰიდრატაციას (6-12 სთ-ის განმავლობაში), მიზანშეწონილად არ ვთლიდით აგრესიული ჰიდრატაციის გაგრძელებას.

ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი, საშუალო სიმძიმის 37 პაციენტს დიაგნოზი დაუდგინდა კლინიკო-ლაბორატორიული, ინსტრუმენტული კვლევებით და qSOFA ორგანოთა უკმარისობის შეფასების სკალის მონაცემებით. საშუალო სიმძიმის მწვავე პანკრეატიტით დაავადებული 37 პაციენტის მკურნალობის შედეგები, დავყავით 5 ჯგუფად.

**1) ჯგუფი.** 15 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა (კმ).

ამ ჯგუფის 15 პაციენტს ჰქონდა qSOFA სკალით 2 ქულა, ლეიკოციტოზი, ფორმულის უმნიშვნელო მარცხნივ გადახრა, ლიპაზის და ამილაზის მაღალი მაჩვენებლები (2-3 ჯერ მეტი ნორმასთან შედარებით), CRP მაჩვენებლის მატება. მათ დაეწყოთ კონსერვატული მკურნალობა სტანდარტულად (აგრესიული ინტრავენური ჰიდრატაცია 6-12-24 სთ-ის განმავლობაში, მჟავა- ტუტოვანი მონაცემების კორექცია, კვების დაწყება ბუნებრივი გზით დაავადების მე-2-3 დღიდან). ერთ კვირაში, დინამიკაში კლინიკო-ლაბორატორიული

მონაცემები გაუმჯობესდა. ინტრააბდომინური წნევა იყო 15-16 mm.Hg და კორეგირებას არ საჭიროებდა. ზემოთ აღნიშნულ 15 პაციენტს კტ-ს მონაცემებით ჰქონდათ პანკრეასის მცირე მოცულობის (20%-მდე) კეროვანი ნეკროზი. მიგვაჩნია, რომ პანკრეასის ნეკროზის მცირე მოცულობამ, პანკრეატიტის კლინიკურ ადრეულ-პირველ ფაზაში არ გამოიწვია ინფექციური გართულებები და ადრეულ კვებასთან ერთად, ხელი შეუწყო დაავადების დადებით მიმდინარეობას. პაციენტები გაეწერენ კლინიკიდან სტაციონარში მოთავსებიდან მე 2-3 კვირას.

**2) ჯგუფი.** 5 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა+ტრანსკუტანური პუნქცია.

5 პაციენტს კონსერვატული მკურნალობის ფონზე ერთი კვირის განმავლობაში არ აღნიშნა კლინიკო-ლაბორატორიული პარამეტრების გაუმჯობესება. პირიქით, იმატა ლეიკოციტოზმა (15-18.10<sup>9</sup>/L), გამოჩნდა ფორმულის მარცხნივ გადახრა და CRP (48,9-49,6 nm/L) მატება, აღნიშნა ტემპერატურული რეაქცია 38°C-ის ფარგლებში, თუმცა პროკალციტონინის მონაცემების მატება არ აღინიშნებოდა. კტ-ს მონაცემებით აღინიშნებოდა პანკრეასის მცირე მოცულობის (25-30%-მდე) კეროვანი ნეკროზი. ინტრააბდომინური წნევა მერყეობდა 15-16mm.Hg ფარგლებში. ამიტომ კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემების გათვალისწინებით, სტერილური პანკრეონეკროზის ინფიცირებულში გადასვლის დასადგენად, 2 შემთხვევაში ექოსკოპიის და 3 შემთხვევაში კტ კონტროლით ჩატარდა ტრანსკუტანური პუნქცია, პუნქტატის ასპირაციით. ვინაიდან მიკრობიოლოგიური მონაცემებით მიკრობების ზრდა არ აღინიშნა. შემდგომ გაგრძელებულ იქნა კონსერვატული მკურნალობა, ბუნებრივი გზით კვებას დამატებული ანტიბაქტერიული თერაპია, შესაძლო ინფიცირების პროფილაქტიკის მიზნით, ვინაიდან წვრილნემსიან ტრანსკუტანურ პუნქციას, სტერილური პანკრეონეკროზი შეეძლო გაერთულებინა ინფიცირებით. ჩატარებული მკურნალობა დასრულდა პაციენტის გამოჯანმრთელებით, პანკრეატიტის ადრეულ-პირველ ფაზაში, რაც დადასტურდა აგრეთვე კტ მონაცემებით. სტაციონარში მათი დაყოვნება არ აღემატებოდა 2-3 კვირას. ამ პერიოდში მიმდინარეობდა პაციენტის ბუნებრივი გზით კვება და ინტრააბდომინური წნევის მონიტორინგი.

ჩვენი დაკვირვებით, მარტო კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემებზე დაყრდნობით, ტრანსკუტანური პუნქციის ჩატარება მიკრობიოლოგიური ანალიზის მისაღებად უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი. ვინაიდან პუნქციას და ასპირაციას შეუძლია გამოიწვიოს სტერილური ნეკროზის დაინფიცირება. კლინიკო-ლაბორატორიული (პროკალციტონინი), ინსტრუმენტული კვლევების მონაცემებით ინფიცირების შემთხვევაში დასაშვებია ტრანსკუტანური პუნქცია და ასპირაცია, რათა განისაზღვროს ანტიბაქტერიული თერაპია, პანკრეასში პენეტრირებადი ანტიბიოტიკების ჩართვით.

### **3) ჯგუფი. 7 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა + ტრანსკუტანური დრენირება.**

7 პაციენტს კონსერვატული მკურნალობის ფონზე 7-18 დღის განმავლობაში არ აღენიშნა კლინიკო-ლაბორატორიული პარამეტრების გაუმჯობესება. იმატა ლეიკოციტოზმა (18-20.  $10^9/L$ ), გამოჩნდა ფორმულის მარცხნივ გადახრა, CRP მატება (47,8-49,4 nm/L), აღენიშნა ტემპერატურული რეაქცია ( $38-38,5^{\circ}C$ ), შემცივნება, იმატა პროკალციტონინის მონაცემებმაც (1,5ng/ml). აღინიშნა ინტრააბდომინური წნევის მატება 15-17mm.Hg. 5 პაციენტთან, კტ ინტრავენური კონტრასტირებისას პანკრეასში და პერიპანკრეასულ ქსოვილებში გამოჩნდა შემოსაზღვრული კერები კონტრასტის გაძლიერების გარეშე ანუ პერფუზიის დარღვევის არეები (სურათი 2). გაჩნდა სეროზული ექვები სტერილური პანკრეონეკროზის ინფიცირებულში გადასვლის თაობაზე. 7 პაციენტთან, 3 შემთხვევაში ექოსკოპიის და 4 შემთხვევაში კტ კონტროლით ჩატარდა ტრანსკუტანური პუნქცია და შემოსაზღვრული კერის დრენირება. 5 შემთხვევაში, რომელთა დრენირება ჩატარდა 15-18 დღეს დაავადების დაწყებიდან, მიკრობიოლოგიური კვლევით აღინიშნა მიკრობთა ზრდა (*Escherichia coli*, *Pseudomonas*, *Enterococcus*). ამიტომ გაგრძელდა არამარტო დრენირება, არამედ ამ კერის სანაცია. ინტრააბდომინური დრენირების შემდგომ ინტრააბდომინური წნევის მაჩვენებლები შემცირდა 2-3 mm.Hg-ით. დრენირებიდან მე-7-9 დღეს კტ კონტროლით დადასტურდა დრენირების დადებითი ეფექტი და შემოსაზღვრული კერის საზღვრების შემცირება, რის შემდგომ დრენაჟები ამოღებული იქნა და გაგრძელდა კონსერვატული და ანტიბაქტერიული მკურნალობა (კარბაპენემი-მერონემი, ცეფეპიმი კომბინაციაში მეტრონიდაზოლთან). 2



პაციენტთან რომელთანაც, კტ-ს მონაცემებით: იყო პერიპანკრეასული სითხის მწვავე დაგროვება კედლების გარეშე (სურათი 1), ჩატარდა სითხური დაგროვების დრენირება, დაავადების დაწყებიდან მე-7-8 დღეს (ჩვენი კვლევის ადრეულ ეტაპზე). პუნქციის-დრენირების შემდგომ პუნქტატში მიკრობების ზრდა არ აღინიშნა, ამიტომ მიკრობიოლოგიური პასუხის მიღების შემდგომ დრენირება შეწყვეტილი იქნა. თუმცა ამ პაციენტებთანაც გაგრძელდა ანტიბაქტერიული თერაპია. შემდგომში ჩვენ პერიპანკრეასულ სითხურ დაგროვებას კედლების გარეშე არ ვადრენირებდით, ვინაიდან ლიტერატურის მონაცემებით, ასეთი სითხური დაგროვება შეიძლება ფორმირებული იქნას 48 საათში პროცესის დაწყებიდან და შემდგომ შესაძლებელია თავისით გაიწოვოს ერთ თვეში.

შვიდივე პაციენტში ჩატარდა ინტენსიური კონსერვატული მკურნალობა, საკვების მიღება ბუნებრივი გზით და ანტიბაქტერიული თერაპია, საბოლოოდ პაციენტთა მკურნალობა დასრულდა დადებითი შედეგით მწვავე პანკრეატიტის გვიან-მეორე ფაზაში. 2 პაციენტი, რომელთაც პუნქციის შემდგომ არ აღენიშნა მიკრობთა ზრდა, სტაციონარიდან გაეწერა 3 კვირაში. დანარჩენმა 5 პაციენტმა კლინიკა დატოვა ერთი თვის თავზე.

ამ ჯგუფშიც (7 პაციენტი) ძირითადად მიმდინარეობდა საშუალო სიმძიმის მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა კონსერვატული ღონისძიებებით. თუმცა გამოყენებული იქნა მინიინვაზიური ჩარევები (ტრანსკუტანური პუნქცია, დრენირება, სანაცია) როდესაც ინტრააბდომინური წნევა იყო 15-17mm.Hg ფარგლებში. ინტრააბდომინური წნევის შემცირების შემდგომ უფრო აგრესიული ჩარევის საჭიროება (ფასციოტომის, ლაპაროტომია) არ გამხდარა. ამ ჯგუფში პრიორიტეტული იყო კონსერვატული მკურნალობის მთელი კომპლექსი, რომელიც მიმდინარეობდა ერთი თვის მანძილზე ანუ მწვავე პანკრეატიტის ორივე ფაზაში. რამაც საბოლოო ჯამში დადებითი შედეგი მოგვცა.

#### **4) ჯგუფი. 3 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა+ფასციოტომია.**

3 პაციენტთან კონსერვატული მკურნალობის ფონზე ერთი კვირის განმავლობაში არ აღენიშნა კლინიკო-ლაბორატორიული პარამეტრების გაუმჯობესება. პირიქით იმატა ლეიკოციტოზმა (15-18.10<sup>9</sup>/L), გამოჩნდა ფორმულის მარცხნივ გადახრა და CRP (49-49,6 nm/L)

მატება, პროკალციტონინის მონაცემების მატება არ აღინიშნებოდა. კტ-ს მონაცემებით იყო პანკრეასის მცირე მოცულობის (25-30%-მდე) კეროვანი ნეკროზი. რაც მთავარია იმატა ნაწლავთა პარეზის მოვლენებმა და დინამიკაში აღინიშნა ინტრააბდომინური წნევის მატება.

როდესაც ნაწლავის მკვეთრი პარეზით, მუცლის კრიტიკული მოცულობა მიიღწევა, მუცლის მოცულობის შემდგომი ზრდა ამ კრიტიკულ დონეზე მაღლა იწვევს ინტრააბდომინური წნევის და კომპარტმენტ სინდრომის განვითარების რისკს. ინტრააბდომინური წნევის შემცირების მართვა ნაზოგასტრული და სწორი ნაწლავის მილით, მარტივი და დროებითი საშუალებაა. ამიტომ საჭირო გახდა მუცლის ღრუს დეკომპრესის უფრო ეფექტური მეთოდის გამოყენება. ამავდროულად, ყურადღებას ვაქცევდით იმ ფაქტს, რომ ინტრააბდომინური წნევის მონაცემები უნდა შეფასებულიყო კლინიკურ და ლაბორატორიულ პარამეტრებთან ერთად, დეკომპრესიის ჩვენების ჩამოსაყალიბლებლად.

ჩვენს კლინიკურ პრაქტიკაში პირველად გამოვიყენეთ კანქვეშა ფასციოტომიის მეთოდი საშუალო სიმძიმის პანკრეონეკროზიან 3 პაციენტში, აბდომინური კომპარტმენტ სინდრომის სამკურნალოდ. ყველა პაციენტს ჰქონდათ მტკივნეული, დაჭიმული და შებერილი მუცელი. ინტრააბდომინური წნევის დიაპაზონი იყო 18-დან 20mm.Hg-მდე. ფასციოტომიის შემდეგ, მუცლის შიდა წნევა ყველა პაციენტში შემცირდა 14-დან 16 mm.Hg-მდე, დინამიკაში შემდგომი კლებით და ნორმის მაჩვენებლებთან მიახლოებით. ჩატარებული ფასციოტომიის შემდეგ, გაგრძელებული იქნა კონსერვატული მკურნალობა ანტიბაქტერიული თერაპიის გარეშე, საბოლოოდ დადებითი შედეგით. ამ ჯგუფის პაციენტებიც კლინიკადან გაეწერენ საშუალოდ ერთი თვის განმავლობაში. ერთ პაციენტს კლინიკური გაუმჯობესების შემდეგ, გაუკეთდა მუცლის თეთრი ხაზის აპონევროზის პლასტიკა, რითაც თავიდან იქნა აცილებული ვენტრალური თიაქარის განვითარება.

ამ ჯგუფშიც (3 პაციენტი), საშუალო სიმძიმის მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა ძირითადად მიმდინარეობდა კონსერვატული ღონისძიებებით. ორი პაციენტი მკურნალობის ბოლომდე იკვებებოდა ბუნებრივი გზით. ერთ პაციენტთან, გასტროსტაზიდან გამომდინარე, ბუნებრივი გზით კვება შეუწყდა და ენტერული კვება გაგრძელდა ნაზოდუოდენური

ზონდის ჩადგმით. ფასციოტომია გამოყენებული იყო ინტრაბდომინური წნევისას 18-დან 20mm.Hg. ფარგლებში, კომპარტმენტ სინდრომის განვითარების პროფილაქტიკის მიზნით. მაგრამ პრიორიტეტული მაინც, იყო კონსერვატული მკურნალობა მთელი კომპლექსით, რომელიც მიმდინარეობდა ერთი თვის მანძილზე ანუ მწვავე პანკრეატიტის ორივე კლინიკურ ადრეულ და გვიან ფაზებში. ანტიბაქტერიული თერაპია ამ ჯგუფში არ ჩავრთეთ გამიზნულად, ვინაიდან ფასციოტომიის დროს, მუცლის ღრუ არ იხსნებოდა, ანუ სტერილური პანკრეონეკროზი ფასციოტომიის შემდეგ არ ინფიცირდება. რამაც საბოლოო ჯამში დადებითი ეფექტი მოგვცა.

**5) ჯგუფი. 7 პაციენტი: კმ+ფასციოტომია+ ლაპაროტომია.**

7 პაციენტს საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით, რომელნიც qSOFA-ს სკალით შეფასებული იყო 2 ქულით, დასაწყისში კონსერვატული მკურნალობა დაწყებული იყო ადრეული აგრესიული ჰიდრატაციით და ლაბორატორიული მონაცემების კორეგირებით. დაწყებული კონსერვატული თერაპიის ფონზე მკურნალობის დაწყებიდან მე-8-11 და დაავადების დაწყებიდან მე-10-14 დღეს, დინამიკაში გაუარესდა კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები: იმატა ლეიკოციტოზმა ( $28-2910^9/L$ ), გამოჩნდა ფორმულის მკვეთრი მარცხნივ გადახრა (ჩხირბირთვიაწები 18%), იმატა CRP მაჩვენებლებმა ( $49,2-49,6$  nm/L), ინტრაბდომინური წნევა გახდა 18-20mm.Hg. მოსალოდნელი კომპარტმენტ სინდრომის განვითარების პრევენციის მიზნით დაავადების მე-18-20 დღეს გაკეთდა ფასციოტომია, რომლის შემდგომ ინტრაბდომინური წნევა შემცირდა 15-16mm.Hg-მდე. მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა, კვლავ აღინიშნა ყველა პარამეტრის გაუარესება, გამოჩნდა ინფიცირების კლინიკა, იმატა პროკალციტონინის მაჩვენებლებმა ( $2,2ng/ml$ ), ინტრაბდომინური წნევა გაიზარდა 21-25mm.Hg ფარგლებში, qSOFA სკალით იყო 2 ქულა. განმეორებითი კტ მონაცემებით: პანკრეასის თავში გამოჩნდა უბნები პერფუზიის დაზიანებით ანუ კონტრასტის ჩართვის გარეშე, რაც მის ნეკროზზე მიუთითებდა. ნეკროზული კერის მოცულობა იყო 35-40%. ამიტომ შემდგომი მკურნალობა გაგრძელდა ლაპაროტომიით და სეკვესტრექტომიით, დაავადების 22-25-ე დღეს დიგიტოკლაზით მოცილებული იყო რამოდენიმე თავისუფლად მდებარე სეკვესტრი და მუცლის ღრუ

დაიხურა დრენაჟებზე. ლაპაროტომიის დროს ინტრაოპერაციულად ჩაყენებული იქნა ნაზოვიუნალური მილი (მეთოდის ადწერილია მე-2 თავში) და ზონდით კვება გაგრძელდა პაციენტის ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ყოფნის პერიოდში.

ამ ჯგუფში ქირურგიული ჩარევა მოხდა დაავადების გვიან-მეორე ფაზაში, როდესაც ნეკროზული სეკვესტრები თავისუფლად მდებარეობდნენ და სეკვესტრექტომია ჩატარდა გართულების გარეშე. ზემოთ აღნიშნული მრავალკომპონენტური კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობა დასრულდა დადებითი შედეგით, ლეტალური გამოსავლის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის პაციენტებში ჩატარებული ინტენსიური თერაპიის ფონზე კუპირებული იქნა პოლიორგანული უკმარისობა, რამაც იმოქმედა მკურნალობის საბოლოო დადებით შედეგზე. პაციენტების სტაციონარში დაყოვნება შეადგენდა თვენახევარს. შემდგომ ისინი იმყოფებოდნენ ამბულატორიული მეთვალყურეობის ქვეშ. გაწერიდან 3 თვეში ყველას ჩაუტარდა საკონტროლო ექოსკოპია. სამს კომპიუტერული ტომოგრაფია. შემდგომ 2 პაციენტს ჩამოუყალიბდა პანკრეასის სხადასხვა ზომის კისტები.

ამ ჯგუფში (7 პაციენტი) საშუალო სიმძიმის მწვავე პანკრეატიტის მკურნალობა ძირითადად მიმდინარეობდა კონსერვატიული ღონისძიებებით. შემდგომ დამატებული იქნა ფასციოტომია, ინტაბდომინურ წნევაზე 18-20mm.Hg. და ქირურგიული მკურნალობა (ლაპაროტომია, სეკვესტრექტომია) ინტაბდომინურ წნევაზე 21-25mm.Hg. ადრეულ ფაზაში მიმდინარეობდა კონსერვატიული მკურნალობა მთელი კომპლექსით, ხოლო როდესაც გამოჩნდა კონსერვატიული მკურნალობის და მინიმალურ ინვაზიური მკურნალობის უეფექტობა, გვიან-მეორე კლინიკურ ფაზაში (მე-3 კვირა) დაემატა ქირურგიული მკურნალობა, როდესაც ნეკროზული კერები უკვე იყო სეკვესტრირებული. ანუ ადრეულ-პირველ ფაზაში ჩატარებულმა კონსერვატიულმა მკურნალობამ და მეორე-გვიან ფაზაში დროულად ჩატარებულმა ერთჯერადმა ლაპაროტომიამ და სეკვესტრექტომიამ დიგიტოკლაზის მეთოდით გამოიღო დადებითი შედეგი. ჩვენ საშუალო სიმძიმის პანკრეატიტის მკურნალობისას ლეტალური გამოსავალი არ გვქონია.

ამ ჯგუფში მკურნალობა მიმდინარეობდა ერთ თვეზე მეტ პერიოდში ანუ მწვავე პანკრეატიტის ორივე კლინიკურ ადრეულ და გვიან ფაზებში. სწორად დაგეგმილმა მკურნალობამ, კონსერვატული და ქირურგიული მეთოდების რაციონალურად გამოყენებამ საბოლოო ჯამში დადებითი ეფექტი მოგვცა.

საშუალო სიმძიმის პანკრეატიტის მკურნალობა, ძირითადად მიმდინარეობდა მიზანმიმართული კონსერვატული ღონისძიებებით: ადრეული ჰიდრატაცია, ენტერული კვება ბუნებრივი გზით, დაავადების მე 3-5 დღიდან. ერთ შემთხვევაში გასტროსტაზის გამო დაგვჭირდა ნაზო დუოდენური ზონდის ჩადგმა ენტერული კვების გასაგრძელებლად.

პაციენტებში საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით, კლინიკური და რადიოლოგიური მონაცემებით, პანკრეასის მცირე მოცულობის (20%-მდე) კეროვანი ნეკროზის დროს ინფიცირების რისკი მინიმალურია (1,2,3,4 ჯგუფი), ხოლო ნეკროზული კერის მოცულობის მატებისას 35-40% ინფიცირების რისკი მატულობს ( 5 ჯგუფი).

შეშუპებითი პანკრეატიტის ადრეულ და გვიან ფაზებში სტერილური პანკრეატიტის ინფიცირებულში გადასვლის დასადგენად, კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების გათვალისწინებით, ვაკეთებდით მინიინვაზიურ ჩარევას, ტრანსკუტანურ პუნქციას, ასპირატის მიკრობიოლოგიური კვლევის მიზნით. ტრანსკუტანური პუნქცია კეთებოდა 15-17mm.Hg ინტრააბდომინურ წნევაზე. ინფიცირების დადგენის შემდგომ ვახდენდით ამ კერის დრენირებას და სანაციას. ამ დროს ხდებოდა ასევე ინტრააბდომინური წნევის შემცირებაც 2-3 mm.Hg-ით. ფასციოტომიას ვაკეთებდით, როდესაც ინტრააბდომინური წნევა მერყეობდა 18-20mm.Hg. ფარგლებში. ხოლო ფასციოტომიის უეფექტობის შემთხვევაში და მზარდი ინტრააბდომინური წნევისას 21-25mm.Hg. ფარგლებში გადავდიოდით ქირურგიულ მკურნალობაზე (ლაპაროტომია, სეკვესტრექტომია).

თუ მსუბუქი პანკრეატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა სრულდებოდა პანკრეატიტის კლინიკის ადრეულ ფაზაში. მაშინ საშუალო სიმძიმის პანკრეატიტის მკურნალობა მიმდინარეობდა ორივე ფაზის განმავლობაში, მკურნალობის დადებითი შედეგით.

**3.3. მძიმე პანკრეატიტის მკურნალობა.**

**ცხრილი 5.**

2012წ ატლანტის კრიტერიუმები	პაციენტი N (%)	მკურნალობა
მძიმე პანკრეატიტი Severe acute pankreatitis	19 (18%)	5-კონსერვატული მკურნალობა(კმ) 2-კმ+ ფასციოტომია. 1-კმ +დრენირება. 5-კმ+ფასციოტომია+ ლაპაროსტომია. აქედან 2 mors. 6-კმ+ლაპაროსტომია. აქედან 3 mors.

მძიმე პანკრეატიტიანი (ცხრილი 5) ყველა (19) პაციენტის პირველად

ჰოსპიტალიზაციას ვახდენდით ICU–ში, ვინაიდან მძიმე პანკრეატიტის დროს აღინიშნება ორგანოთა უკმარობა 48 საათზე მეტ ხანს. მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტი გადის 2 ფაზას. პირველი-ადრეული, რომელსაც ახასიათებს SIRS და ზოგ შემთხვევაში პოლიორგანული უკმარისობა პანკრეონეკროზის ასეპტიურ ეტაპზე. მეორე-გვიანი ფაზა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაავადების ინფექციური გართულებები. ვინაიდან მწვავე პანკრეატიტის კონკრეტული, ეფექტური სამკურნალო საშუალება არ არის ნანახი, ამიტომ მძიმე პანკრეატიტის მკურნალობას ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ვიწყებდით: ბაზისური კონსერვატული თერაპიით, ჰიპოვოლემიის კორექციით, დიდი მოცულობის სითხის ინტრავენური გადასხმით, ტკივილის შემსუბუქებით, მათ შორის გახანგრძლივებული ეპიდურული ანესთეზიით, პარენტერალური კვებით შემდგომ ენტერალურზე გადასვლით. ინფიცირების შემთხვევაში ანტიბაქტერიული თერაპიით - პანკრეატოტროპული ანტიბიოტიკებით. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის წყლულის და თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკით, თანმხლები დაავადებების კორექციით და ა.შ.

მძიმე პანკრეატიტით დაავადებულ 19 პაციენტს პანკრეონეკროზი ჰქონდა სხვადასხვა მოცულობით 40-65%, კომბინაციაში პანკრეასის, ბადექონის აბგის, რეტროპერიტონული, პარაკოლური სივრცის ქსოვილის ნეკროზით. პანკრეონეკროზის ინფექციური

გართულებების სიხშირე მკურნალობის მეთოდის მიუხედავად, იზრდებოდა დესტრუქციული ცვლილებების მასშტაბის ზრდის პროპორციულად.

მძიმე პანკრეატიტის დიაგნოზი 19 პაციენტს დაუდგინდა კლინიკო-ლაბორატორიული, ინსტრუმენტული კვლევებით და qSOFA ორგანოთა უკმარისობის შეფასების სკალის მონაცემებით. აღენიშნებოდათ აგრეთვე თანმლეები დაავადებები: ალკოჰოლური ციროზი, C ჰეპატიტი.

მძიმე მწვავე პანკრეატიტით დაავადებული 19 პაციენტის მკურნალობის შედეგები, დაყვავით 5 ჯგუფად.

**1) ჯგუფი. 5 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა(კმ).**

მძიმე პანკრეატიტის დიაგნოზი, 5 პაციენტს დაუდგინდა კლინიკო-ლაბორატორიული, ინსტრუმენტული მონაცემებით. ხუთივე პაციენტს qSOFA სკალით ჰქონდა 2 ქულა, მაღალი ლეიკოციტოზი, ფორმულის მარცხნივ გადახრა, ლიპაზის მაღალი მაჩვენებლებით (ნორმასთან შედარებით 3-4 ჯერ მეტი), CRP მაჩვენებლების მატება. მათ დაეწყოთ კონსერვატული მკურნალობა სტანდარტულად (აგრესიული ინტრავენური ჰიდრატაცია, მჟავა-ტუტოვანი მონაცემების კორეგირება და ა.შ). დინამიკაში, დაავადების დაწყებიდან მე 8-9 დღეს (პირველ-ადრეულ ფაზაში) კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები და სასიცოცხლო პარამეტრები გაუარესდა: ფილტვებში რენტგენოლოგიურად პნევმონია, შემცირდა სატურაციის მაჩვენებლები (94-95%), მოიმატა ინტაბდომინურმა წნევამ (15-16mm.Hg), გაჩნდა ჰექტიური ცხელება 38-38.5°C ფარგლებში, პროკალციტონინის მაჩვენებლებმა ნორმასთან შედარებით მოიმატა (2,7ng/ml), კტ მონაცემებით პანკრეასის თავის პროექციაზე გამოჩნდა 25%-30% უბანი, რომელიც არ ირთავდა კონტრასტს, მის გარშემო სითხური კოლექციით, აირის გარეშე. კლინიკო-ლაბორატორიული, რადიოლოგიური მონაცემებით გამოჩნდა სტერილური პანკრეონეკროზის დაინფიცირების ნიშნები. დაწყებული იქნა ანტიბაქტერიული თერაპია კარბაპენემით. დაგეგმილი გვქონდა ტრანსკუტანური პუნქციის და დრენირების გაკეთება, მაგრამ დაავადების დაწყებიდან

მე 14-17 დღეს (მეორე-გვიან ფაზაში) კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები გაუმჯობესდა. პაციენტები იკვებებოდნენ ბუნებრივი გზით. გაგრძელდა კონსერვატული მკურნალობა დადებითი შედეგით. დაავადების დაწყებინ მე- 15-18 დღეს გადავიდნენ განყოფილებაში და ერთი თვის თავზე მოხერხდა პაციენტის გაწერა ამბულატორიულ მკურნალობაზე.

მძიმე პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტთა ამ ჯგუფში, სადაც პანკრეონეკროზის მოცულობა იყო 25-30% ჩატარდა ძირითადად კომპლექსური კონსერვატული თერაპია, ბუნებრივი გზით კვებასთან და ანტიბაქტერიულ თარაპიასთან ერთად. მწვავე პანკრეატიტის პირველ ფაზაში გამოჩნდა კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემებით ინფიცირებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგრამ კომპლექსური კონსერვატული თერაპიის და ანტიბაქტერიული თერაპიის ფონზე მწვავე პანკრეატიტის მეორე ფაზაში შედეგი იყო დადებითი.

## **2) ჯგუფი. 2 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა+ ფასციოტომია.**

მძიმე პანკრეატიტის დიაგნოზით, 2 პაციენტთან კონსერვატული მკურნალობის ფონზე 6 დღის განმავლობაში არ აღენიშნებოდა კლინიკო-ლაბორატორიული პარამეტრების გაუმჯობესება. მკვეთრად იმატა ლეიკოციტოზმა  $19-20.10^9/L$ , გამოჩნდა ფორმულის მკვეთრი მარცხნივ გადახრა, CRP( $50,5nm/L$ ) მატება, აღინიშნა ჰიპოტონია  $90/50-100/60mm.Hg$ . (პაციენტების წნევა  $140/80-150/80mm.Hg$ ), შემცირდა სატურაციის მაჩვენებლები  $90-92\%$ -მდე, გამოჩნდა გულ-ფილტვის უკმარობის ნიშნები, კტ-ს მონაცემებით პანკრეასში ნეკროზული ქსოვილის მოცულობა იყო  $20-25\%$ . პროკალციტონინის მონაცემების მატება არ აღინიშნებოდა. იმატა ნაწლავთა პარეზის მოვლენებმა და დინამიკაში აღინიშნა ინტრააბდომინური წნევის მატება ( $18-19mm.Hg$ ). ორივე პაციენტი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში კომპარტმენტ სინდრომის განვითარების პოტენციური რისკიდან გამომდინარე, იმყოფებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ. კეთდებოდა ინტრააბდომინური წნევის კონტროლი, დინამიკაში 5-6 საათში გადაზომვით. ამავდროულად, ინტრააბდომინური წნევის მონაცემებს ვანაალიზებდით კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებთან ერთად.



როდესაც მუცლის კრიტიკული მოცულობა მიიღწევა, მისი შემდგომი ზრდა ამ კრიტიკულ დონეზე მაღლა იწვევს ინტრააბდომინური წნევის და კომპარტმენტ სინდრომის განვითარებას. ამიტომ, სტერილური პანკრეონეკროზიან დაავადებულ ორივე პაციენტთან, დაავადების პირველ კლინიკურ ფაზაში, დაავადების დაწყებიდან მე-9-11 დღეს, ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის სამკურნალოდ და კომპარტმენტ სინდრომის შესაძლო განვითარების პროფილაქტიკის მიზნით, გამოვიყენეთ კანქვეშა ფასციოტომიის მეთოდი.

ფასციოტომიის შემდეგ, მუცლის შიდა წნევა ყველა პაციენტში შემცირდა 13-14mm.Hg-მდე, დინამიკაში შემდგომი კლებით და ნორმის მაჩვენებლებთან მიახლოებით. ჩატარებული ფასციოტომიის შემდეგ, სტერილური პანკრეონეკროზის ინფიცირებულში გადასვლის არცერთი მონაცემი არ იყო. ვინაიდან ფასციოტომიით და ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის შემცირებით მოხდა შესაძლო მიკრობული ტრანსლოკაციის პრევენცია. ამიტომ, გაგრძელებული იქნა კონსერვატული მკურნალობა ანტიბაქტერიული თერაპიის გარეშე. პაციენტები იკვებებოდნენ ბუნებრივი გზით. მზადყოფნაში ვიყავით ინფიცირების ნიშნების გაჩენისას, მკურნალობის კომპლექსში ანტიბაქტერიული თერაპიის ჩართვაზე. გაუმჯობესდა სუბიექტური მონაცემები, ობიექტური მიუახლოვდა ნორმის მაჩვენებლებს. მწვავე პანკრეატიტის კლინიკური ორივე ფაზის გავლით, მკურნალობა დასრულდა დადებითი შედეგით 1 თვის თავზე. ორი პაციენტიდან, ერთს რომლის კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები კონსერვატული მკურნალობის ფონზე სწრაფად უმჯობესდებოდა, გაეწერა კლინიკიდან დადებითი შედეგით 6 დღით ადრე, მეორესთან შედარებით. ჩატარებული კომპლექსური მკურნალობის დადებით გამოსავალი კლინიკურ მეორე-გვიან ფაზაში უნდა აიხსნას არამარტო პანკრეონეკროზის სწორი მიზანმიმართული მკურნალობით, არამედ ინტენსიურ განყოფილებაში პოლიორგანული უკმარისობის სწორი მართვით და მისი კუპირებით.

ორივე პაციენტთან მათი სტაციონარიდან გაწერის შემდგომ, ფასციოტომიის შედეგად მუცლის წინა კედელზე ხელოვნურად შექმნილი დიასტაზი, გეგმური წესით ლიკვიდირებული იქნა, საკუთარი ქსოვილების პლასტიკით.

**3) ჯგუფი.** 1 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა + დრენირება. პაციენტთან კონსერვატული მკურნალობის ფონზე 7 დღის განმავლობაში აღინიშნებოდა უმნიშვნელო დადებითი დინამიკა. არ მატულობდა ლეიკოციტოზი, ფორმულის მარცხნივ გადახრა, CRP. შემდგომ თანდათანობით ყველა პარამეტრი გაუარესდა. მე-10-12 დღეს დაიწყო შემცივნება  $t-38,0-38,7^{\circ}\text{C}$ . იმატა ლეიკოციტოზმა ( $20-22.10^9/\text{L}$ ), CRP( $50-53,4\text{nm/l}$ ), პროკალციტონინის მონაცემებმა ( $2,7\text{ng/ml}$ ). სატურაცია იყო 93-94% ფარგლებში. აღინიშნა ტენდენცია ჰიპოტონიისაკენ. პაციენტს მრავალჯერადი ღებინებიდან და ბუნებრივი გზით საკვების მიუღებლობის გამო, ენდოსკოპური კონტროლით ჩაყენებული იქნა ნაზოენტერული მილი, ენტერული კვებისათვის. კომპიუტერული ტომოგრაფით: პანკრეასში და პერიპანკრეასულ ქსოვილებში გაჩნდა შემოსაზღვრული კერები კონტრასტის გამლიერების გარეშე ანუ გამოჩნდა პერფუზიის დარღვევის არეები (სურათი 3). გაჩნდა სეროზული ეჭვი სტერილური პანკრეონეკროზის ინფიცირებულში გადასვლის თაობაზე. გადაწყდა პაციენტის მძიმე და არასტაბილური ჰემოდინამიკის გათვალისწინებით პირველ ეტაპზე ჩატარებულიყო ინფიცირებული კერის დრენირება და მეორე ეტაპზე პაციენტის სტაბილიზაციის შემდეგ გადავსულიყავით ღია მუცლით მკურნალობის მეთოდზე. ამიტომ, დაავადების დაწყებიდან მე-14 დღეს, მეორე ფაზის დასაწყისში კტ-ს კონტროლით ჩატარდა ტრანსკუტანური პუნქცია და შემოსაზღვრული კერის დრენირება (სურათი 9). მიკრობიოლოგიური კვლევით აღინიშნა მიკრობთა ზრდა (*Escherichia coli*). გაგრძელდა არამართო დრენირება, არამედ ამ კერის სანაცია, საირიგაციო ხსნარებით. კომპლექსურ მკურნალობაში დამატებული იყო ანტიბაქტერიული თერაპია (ცეფეპიმი, მეტრონიდაზოლთან კომბინაციაში). პაციენტთან მე-19 დღეს კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით დადასტურდა დრენირების დადებითი ეფექტი, შემოსაზღვრული კერის საზღვრების შემცირებით. გაუმჯობესდა კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები, ნორმასთან მიახლოების ტენდენციით. ასპირატის განმეორებითი მიკრობიოლოგიური კვლევით ანტიბაქტერიული თერაპიის ფონზე მიკრობთა ზრდა არ აღინიშნა. რის შემდგომ დრენაჟები ამოღებული იქნა და გაგრძელდა შესაბამისი კონსერვატული მკურნალობა, ანტიბაქტერიულ თერაპიასთან ერთად. ჩატარებულმა ეფექტურმა კომპლექსურმა

მკურნალობამ, ღია მუცლის მეთოდის მკურნალობის გაგრძელების საჭიროება მოხსნა. სტაციონარში შემოსვლიდან 27-ე დღეს, მეორე-გვიან კლინიკურ ფაზაში პაციენტი გაეწერა ამბულატორიულ მკურნალობაზე.

მძიმე პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტთან, ინფიცირებული პანკრეონეკროზით, ძირითადად ჩატარდა კონსერვატული მკურნალობას დამატებული ანტიბაქტერიული თერაპია. ხოლო ინფიცირებული კერის დრენირებამ და სანაცამ აგრეთვე დადებითი შედეგი გამოიღო და წინაწარ დაგეგმილი ღია მუცლის მეთოდით მკურნალობის საჭიროება მოხსნა. ჩატარებული კომპლექსური მკურნალობის დადებით გამოსავალი კლინიკურ მეორე-გვიან ფაზაში უნდა აიხსნას არამარტო პანკრეონეკროზის სწორი მიზანმიმართული მკურნალობით, არამედ ინტენსიურ განყოფილებაში პოლიორგანული უკმარისობის სწორი მართვით და მისი კუპირებით.

#### **4) ჯგუფი. 5 პაციენტი: კმ+ფასციოტომია+ ლაპაროტომია. (mors 2 პაციენტი)**

მძიმე პანკრეატიტით 5 პაციენტს, რომელთაც qSOFA-ს სკალით შეფასებული იყო 2-3 ქულით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დაწყებული იქნა პანკრეონეკროზის და პოლიორგანული უკმარისობის სტანდარტული კონსერვატული მკურნალობა. პოლიორგანული უკმარისობის (თანმხლები დაავადებები: ალკოჰოლური ციროზი, C ჰეპატიტი, გულის უკმარისობა, დიაბეტი) კორეგირება მიმდინარეობდა რეანიმატოლოგების მიერ, ამიტომ ამ მიმართულებით ჩატარებულ სამკურნალო ღონესძიებებს ჩვენ აქ არ განვიხილავთ, ყურადღებას გავამახვილებთ პანკრეონეკროზის მართვაზე. პანკრეონეკროზის მკურნალობის მიზნით დაწყებული იყო ადრეული აგრესიული ჰიდრატაცია და ლაბორატორიული მონაცემების კორეგირება, სხვა თანმხლები დაავადების მკურნალობასთან კორელაციაში. დაწყებული კონსერვატული თერაპიის ფონზე მკურნალობის დაწყებიდან მე 8-10 და დაავადების დაწყებიდან მე 14-16 დღეს, დინამიკაში გაუარესდა კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები: იმატა ლეიკოციტოზმა ( $28-29.10^9/L$ ), გამოჩნდა ფორმულის მკვეთრი მარცხნივ გადახრა (ჩხირბირთვიანები 20-24%), იმატა CRP და პროკალციტონინის მაჩვენებლებმა. კტ-ს მონაცემებით: პანკრეასის კუდი არ აგროვებს

კონტრასტულ აგენტს, მათ მთლიანად ანაცვლებს ნეკროზი. ამ ჯგუფის პაციენტებში ნეკროზული კერის მოცულობა 35-40%. დინამიკაში იმატა ინრააბდომინურმა წნევამ 22-23mm.Hg ფარგლებში. საჭირო გახდა რესპირაციული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარამეტრების კორეგირება. მოსალოდნელი კომპარმენტ სინდრომის განვითარების პრევენციის მიზნით გაკეთდა ფასციოტომია, რომლის შემდგომ ინტრააბდომინური წნევა ჩამოვიდა 15-16mm.Hg. მიუხედავად დროებითი გაუმჯობესებისა, ერთი კვირის შემდგომ, კვლავ აღინიშნა ყველა პარამეტრის გაუარესება, რაც განპირობებული იყო ინტრააბდომინური ჰიპერტენზიით (19-21mm.Hg). განმეორებითი კტ მონაცემებით, პანკრეასის თავში სხეულზე გადასვლით გამოჩნდა უბანი პერფუზიის დაზიანებით ანუ კონტრასტის ჩართვის გარეშე (ნეკროზულ უბანში 39-42 ჰაუსფილდის ერთეული), რაც მის ნეკროზულ 40-45% დაზიანებაზე მიუთითებდა. შემდგომ პერიოდში დაავადების დაწყებიდან მესამე კვირას, მიუხედავად ინტენსიური კონსერვატული მაკორეგირებელი ღონისძიებების ჩატარებისა, დინამიკა გაუარესდა, მოიმატა კრეატინინმა, გამოიხატა თირკმლის უკმარობის ნიშნები. პაციენტები გადაყვანილი იქნენ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე. მესამე კვირის ბოლოს გადაწყდა მკურნალობის ღია მუცლის მეთოდზე (ლაპაროსტომა) გადასვლა. ინტრაოპერაციულად ჩაიდგა ნაზოენტერული საკვები ზონდი. ჩატარდა 2 და 3 ჯერადი რელაპაროტომია სეკვესტრექტომია, სანაცია, დრენირება. ჩატარებული კომპლექსური მკურნალობა 3 პაციენტთან დაავადების დაწყებიდან მე-5 კვირას დაიხურა მუცლის ღრუ და დასრულდა დადებითი შედეგით. 2 პაციენტთან ჩატარებული ნეკრექსეკვესტრექტომიებით ვიზუალური ან ნეკროზული კერები საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ პოლიორგანული უკმარისობის პროგრესირების ფონზე მე-4-5 კვირას დაფიქსირდა ლეტალური გამოსავალი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული 2 პაციენტიდან, ერთთან ნეკროზული კერების ბასრი წესით მოცილების შემდეგ, აღინიშნა სისხლდენა პანკრეასის ქსოვილიდან, რომელიც ლიკვიდირებული იყო სისხლმდენი უბნის ამოკერვით. ამის მიზეზი იყო ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სეკვესტრების არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ კლინიკურად იყო მეორე ფაზა. სეკვესტრების ორგანიზების და დემარკაციული ხაზით გამოყოფის შემთხვევაში სეკვესტრექტომია ბევრად გაადვილებული და უსაფრთხო

იქნებოდა. არაორგანიზებულ ნეკროზულ სეკვესტრში სისხლძაღვების სტრუქტურის გარჩევა რთულია და თითქმის შეუძლებელიც, ამიტომ ბასრი წესით ნეკრექტომის დროს შესაძლებელია ვიზუალურად შეცვლილი სისხლძარღვების დაზიანება და სისხლდენა, რომლის გაჩერება ამოკერვითაც ნეკროზულ ქსოვილებში რთულია. ამიტომ ჩვენ ნეკრექტომიის დროს პრიორიტეტს ვაძლევდით დიგიტოკლაზიას.

ამ ჯგუფის 5-ვე პაციენტი შეფასებული იყო, როგორც უმძიმესი კონტიგენტი. ინტრააბდომინური წნევა იყო კრიტიკული (III ხარისხის), რომლის დროს მიკრობთა ტრანსლოკაციის რისკი მაღალია. პანკრეასის კეროვანი დაზიანება 40-45%-ი (რაც ასევე ინფიცირების რისკს ზრდიდა), დამატებული ორგანოთა უკმარობა. 3 პაციენტში, რომელთაც არ აღენიშნებოდათ თანმხლები დაავადებები, გარდა ძირითადი დაავადებისა, ჩატარებული კომპლექსური კონსერვატული და ქირურგიული მკურნალობის ერთობლიობით, მოხერხდა ინფიცირებული პანკრეონეკროზის და ორგანული უკმარობის კუპირება. 2 პაციენტთან აღინიშნებოდა მძიმე თანმხლები დაავადებები (ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზი, დიაბეტი). ნეკრექტომიამ შეამცირა ნეკროზული კერების მოცულობა, მაგრამ ინფიცირებული პანკრეონეკროზის და პოლიორგანული უკმარობის კორეგირება და კუპირება ვერ მოხერხდა.

**5) ჯგუფი. 6 პაციენტი: კონსერვატული მკურნალობა+ ლაპაროტომია. (mors 3 პაციენტი)**

მძიმე პანკრეატიტით 6 პაციენტს, რომელთაც აღენიშნებოდათ თანმხლები დაავადებები (ალკოჰოლური ციროზი, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, დიაბეტი და მათი კომბინაციები) qSOFA -ს სკალით შეფასებული იყვნენ 2-3 ქულით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დაწყებული იქნა პოლიორგანული უკმარობის და პანკრეონეკროზის სტანდარტული კონსერვატული მკურნალობა. პოლიორგანული უკმარისობის კორეგირება მიმდინარეობდა რეანიმატოლოგების მიერ, ამიტომ ამ მიმართულებით ჩატარებულ სამკურნალო ღონისძიებებს ჩვენ აქ არ განვიხილავთ, და ყურადღებას გავამახვილებთ პანკრეონეკროზის მართვაზე, თუმცა თანმხლები დაავადებების სიმძიმემ დიდათ იმოქმედა ამ ჯგუფის პაციენტების მკურნალობის

გამოსავალზე. პანკრეონეკროზის მკურნალობის მიზნით დაწყებული იყო ადრეული აგრესიული ჰიდრატაცია და ლაბორატორიული მონაცემების კორექცია, სხვა თანმხლები დაავადების მკურნალობასთან კორელაციაში. აგრესიულ ჰიდრატაციას ვაკეთებით დიდი სიფრთხილით თანმხლები დაავადებებიდან გამომდინარე. ამიტომ აგრესიულ ჰიდრატაციას, რომელიც მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის ერთერთი განმსაზღვრელია, სრული მოცულობით ვერ ვატარებდით. დაწყებული კონსერვატული და ანტიბაქტერიული თერაპიის ფონზე მკურნალობის დაწყებიდან მე- 10-13 და დაავადების დაწყებიდან მე- 15-18 დღეს, დინამიკაში გაუარესდა კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები: იმატა ლეიკოციტოზმა (28-29.10<sup>9</sup>/L), გამოჩნდა ფორმულის მკვეთრი მარცხნივ გადახრა (ჩხირბირთვიანები-20-24%), იმატა CRP და პროკალციტონინის მაჩვენებლებმა. სატურაციის მაჩვენებლები შემცირდა 90-92% მდე. კომპიუტერული ტომოგრაფიის მონაცემებით: გამოჩნდა პანკრეასში ნეკროზული კერა 50-65% ფარგლებში(ნეკროზულ უბანში 35-40 ჰუნფილდის ერთეული), და ფორმირებული, კედლით შემოზღუდული არაერთგვაროვანი ჩანარები, რომლის შიგნით ვიზუალიზირდა აირის ბუშტები, ინფიცირებული ნეკროზის ნიშანი (სურათი 4). ამიტომ უარი ითქვა მინიინვაზიურ მეთოდებზე და მკურნალობა გაგრძელდა ღია მუცლის მეთოდით-ლაპაროსტომა. ჩატარდა 3 და 5 ჯერადი რელაპაროტომია, სეკვესტრექტომია დიგიტოკლაზიით, სანაცია, დრენირება. ჩატრებული კომპლექსურმა მკურნალობა 2 პაციენტთან, რომელთაც თანმხლები დაავადებები არ აღენიშნებოდა, დაავადების დაწყებიდან მე-6-7 კვირას დასრულდა დადებითი შედეგით. 3 პაციენტთან ჩატარებული დიგიტოკლაზიური ნეკრექსეკვესტრექტომიით ნეკროზული კერები ვიზუალურად შემცირდა, მაგრამ პოლიორგანული უკმარისობის პროგრესირების ფონზე (თანმხლები დაავადებები სხვადასხვა კომბინაციაში) მე-5-6 კვირას დაფიქსირდა ლეტალური გამოსავალი. 11 პაციენტთან მძიმე პანკრეატიტით ჩატარდა ღია მუცლით მკურნალობა, აქედან 5 პაციენტთან ლეტალური გამოსავლით. მიღებული ვიზუალური (ინტრაოპერაციული) და კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე ვფიქრობთ. როგორც სტერილური, ისე ინფიცირებული პანკრეონეკროზის მკურნალობის გამოსავალზე დიდ გავლენას ახდენს მძიმე თანმხლები დაავადებების

არსებობა, რომლებიც მძიმე პანკრეონეკროზის დროს ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიორგანული უკმარობის განვითარებაზე და შესამისად გამოსავალზეც. უდავოა რომ ინფიცირებული პანკრეონეკროზის დიდი კერა, (სუბტოტალური/ტოტალური დაზიანება), ასევე ცუდი პროგნოზის მაჩვენებელია.

მძიმე მწვავე პანკრეატიტის კატეგორიაში ვიყენებდით კარბაპენემებით მკურნალობას, თუმცა დაავადების საწყის პერიოდში ბევრად უფრო ხშირად გამოიყენებოდა მე-3-4 თაობის ცეფალოსპორინები კომბინაციაში მეტრონიდაზოლთან. ანტიბაქტერიული პრეპარატების კომბინაციები იცვალბოდა მათი ეფექტურობის, პანკრეატიტის ევოლუციის შესაბამისად.

მძიმე პანკრეატიტით 19 პაციენტიდან, 5 პაციენტს ინფიცირებული პანკრეონეკროზით (პანკრეასის ქსოვილის 30% მდე დაზიანებით) ჩატარებული კომპლექსური მაკორეგირებელი კონსერვატული და ანტიბაქტერიული თერაპიით, შემდგომში ინფიცირებული კერის დრენირებით და სანაციით მიღებული დადებითი გამოსავალი, კლინიკურ მეორე-გვიან ფაზაში, უნდა აიხსნას, არამარტო პანკრეონეკროზის სწორი მიზანმიმართული მკურნალობით, არამედ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში პოლიორგანული უკმარისობის სწორი მართვით და მისი კუპირებით.

პანკრეონეკროზის მეორე-გვიან ფაზაში, ბასრი წესით ნეკრექტომია მეტად საფრთხილო მანიპულაციაა. არაორგანიზებულ ნეკროზულ სეკვესტრში, როდესაც დემარკაციული ხაზი ჩამოუყალიბებელია, სისხლმადვების სტრუქტურის გარჩევა რთულია და თითქმის შეუძლებელიც, ამიტომ ბასრი წესით ნეკრექტომის დროს შესაძლებელია ვიზუალურად შეცვლილი სისხლმადვების დაზიანება და სისხლდენა, რომლის გაჩერება ამოკერვითაც ნეკროზულ ქსოვილებში რთულია. ამიტომ ჩვენ ნეკრექტომიის დროს პრიორიტეტს ვაძლევთ დიგიტოკლაზიას. ვინაიდან, სეკვესტრების ორგანიზების და დემარკაციული ხაზით გამოყოფის შემთხვევაში სეკვესტრექტომია ბევრად გადვილებული და უსაფრთხო იქნებოდა.

ოთხ პაციენტთან, რომელიც ჩვენ საერთო მასალის აღწერილობაში არ შეგვიყვანია (25-28 წლის წინ მომხდარი შემთხვევები), ვინაიდან მაშინ არ ვხელმძღვანელობდით

ატლანტა 1992-2012წ კლასიფიკაციით და არ ვატარებდით დღეს აღიარებულ პანკრეატიტის შესაბამის მკურნალობას. ორ პაციენტს მუცლის ღრუში შემავალი ცივი და ცეცხლანასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის გამო ჩაუტარდა ლაპაროტომია. ერთს აღმოაჩნდა განივი კოლინჯის და პანკრეასის დაზიანება (საფანტით მიყენებული ჭრილობა) დაედო კოლოსტომა (სურათი 18), მეორესთან (ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობა) დაზიანებული იყო კუჭი და პანკრეასი. ორ პაციენტს მწვავე მუცლის და მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზით ჩაუტარდა სასწრაფო-გადაუდებელი წესით ლაპაროტომია დაავადების დაწყებიდან 3-5 დღეს. მძიმე დაზიანებიდან გამომდინარე ოთხივე პაციენტს, შემდგომში გეგმური რელაპაროტომიების მიზნით მუცლის წინა კედელზე ჩაკერებული იქნა „ელვა-შესაკრავი“ (სურათი 17). ოთხივე პაციენტთან პოსტოპერაციული პერიოდი მიმდინარეობდა მძიმედ. პირველი ჯგუფის ორ პაციენტთან იყო ტრავმული პანკრეონექროზის სურათი. მეორე ჯგუფის ორ პაციენტთან შეშუპებითი პანკრეატიტი, შემდგომში ინფიცირებით. გეგმური რელაპაროტომიების დროს, ყველა პაციენტთან გავრცელებული პერიტონიტის დიაგნოზით, კეთდებოდა გეგმური სანაციები და პანკრეასის ნეკროზული ქსოვილების მოცილება. მე-5 და მე-6 რელაპაროტომიის და ნეკრექსკვესტრექტომიის შემდეგ, პანკრეასის ნეკროზული ქსოვილები მოცილებული იქნა და მუცელი დაიხურა დრენაჟებზე. პანკრეასის ტრავმული დაზიანებით 2 პაციენტი მკურნალობის მე-2 თვის ბოლოს გაეწერენ კლინიკიდან. მწვავე პანკრეატიტით ორი პაციენტიდან ერთის მკურნალობა დასრულდა გამოჯანმრთელებით, მეორე პაციენტი ინფიცირებული პანკრეონექროზის, პერიტონიტის და პოლიორგანული უკმარობის ფონზე მოკვდა.

### 3.4. სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულია კომპიუტერული პროგრამა SPSS-23. შესრულებულია:

აღწერილობითი სტატისტიკა - სკალარული სიდიდეებისათვის დავითვალეთ საშუალო სიდიდე (Mean), საშუალო სიდიდის ცდომილება (Std Error of Mean), საშუალო სტანდარტული გადახრა (Std. Deviation), მინიმალური და მაქსიმალური სიდიდეები. ორდინალური სიდიდეებისათვის (qSOFA) დავითვალეთ სიხშირეები (frequencies) და პროცენტები.




ანალიტიკური სტატისტიკა:- კვლევაში სკალარული სიდიდეების შედარებისას გამოყენებულია არაპარამეტრული ტესტები: Kruskal-Wallis Test, Mann-Whitney Test, ორდინალური სიდიდეების შედარებისას კი გამოვიყენეთ chi-square Test.

სტატისტიკური სარწმუნოების დონედ დადგენილია: სტატისტიკურად სარწმუნოა როცა  $P < 0.05$ , სტატისტიკურად ძლიერ სარწმუნოა როცა  $P < 0.01$  და სტატისტიკურად მაქსიმალურად სარწმუნოა როცა  $P < 0.001$ .

შედარებული ჯგუფები: მსუბუქი, საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტით პაციენტები სტატისტიკურად მაქსიმალურად სარწმუნოდ  $P < 0.001$  განსხვავდება ერთმანეთისაგან (დიაგრამა 6).


**დიაგრამა 6**




**კონსერვატიული მკურნალობა.** მონაცემები დაჯგუფებულია სიმძიმის (მსუბუქი, საშუალო სიმძიმის, მძიმე პანკრეატიტი) მიხედვით. შევამოწმეთ ცვლადების (ლეიკოციტი, ამილაზა, კრეატინი, CPR, პროკალციტონინი, ინტრააბდომინური წნევა, პანკრეონეკროზი, არტერიული წნევა, სუნთქვის სიშირე, ჰოსპიტალიზაციის პერიოდი) სიმძიმეზე დამოკიდებულება. ჩავატარეთ არაპარამეტრული Kruskal-Wallis ტესტი.

ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებში, სტატისტიკურად მაქსიმალურად სარწმუნოდ  $P < 0.001$  განსხვავდება ერთმანეთისაგან ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა ლეიკოციტოზი, ამილაზა, კრეატინი, CPR, ინტრააბდომინური წნევა, არტერიული წნევა, სუნთქვის სიხშირე, ჰოსპიტალიზაცია (დიაგრამა 6.1; 6.2; 6.3; 6.4; 6.5; 6.6.), ხოლო ისეთი მახასიათებლების განსხვავება როგორცაა პროკალციტონინი და პანკრეონეკროზი ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებში (დიაგრამა 6.7; 6.8.) არის  $P < 0.01$  (ძლიერ სარწმუნო). წარმოდგენილ ჯგუფებში აღინიშნება ყველა მახასიათებლის მატება სიმძიმის მატების შესაბამისად.


**დიაგრამა 6.1. ლეიკოციტოზი**




**დიაგრამა 6.2. ამილაზა**




**დიაგრამა 6.3. CRP**




**დიაგრამა 6.4. ინტრააბდომინური წნევა**




დიაგრამა 6.5. სუნთქვის სიხშირე




დიაგრამა 6.6. ჰოსპიტალიზაციის პერიოდი



დიაგრამა 6.7. პროკალციტონინი



დიაგრამა 6.8. პანკრეონეკროზი




**ფასციოტომიით მკურნალობა.** მონაცემები დაჯგუფებულია სიმძიმის (საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტი) მიხედვით. შევამოწმეთ ცვლადების (ლეიკოციტოზი, ამილაზა, კრეატინი, CPR, პროკალციტონინი, ინტრააბდომინური წნევა, პანკრეონეკროზი, არტერიული წნევა, სუნთქვის სიხშირე, ჰოსპიტალიზაციის პერიოდი) სიმძიმეზე დამოკიდებულება. ჩავატარეთ არაპარამეტრული Mann-Whitney ტესტი.


ჯგუფები: საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტი სტატისტიკურად სარწმუნოდ  $P < 0.05$  განსხვავდება ერთმანეთისაგან ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა

ლეიკოციტოზი, ამილაზა, კრეატინი, ინტრააბდომინური წნევა, პანკრეონეკროზი, სუნთქვის სიხშირე (დიაგრამა 7.1; 7.2; 7.3 ;7.4; 7.5; 7.6). ხოლო ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა CPR, პროკალციტონინი, არტერიული წნევა, ჰოსპიტალიზაციის პერიოდი განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არაა  $P > 0.05$  (დიაგრამა 7.7; 7.8). აღინიშნება ყველა მახასიათებლის მატება წარმოდგენილ ჯგუფებში პაციენტის სიმძიმის მატების შესაბამისად. გარდა CRP, პროკალციტონინის, არტერიული წნევის, ჰოსპიტალიზაციის პერიოდის, თუმცა ეს მონაცემები სტატისტიკურად სარწმუნო არაა  $P > 0.05$ .


**დიაგრამა 7.1. ლეიკოციტოზი**




**დიაგრამა 7.2 ამილაზა**




**დიაგრამა 7.3. კრეატინინი**




**დიაგრამა 7.4. ინტრააბდომინური წნევა**




დიაგრამა 7.5. პანკრეონეკროზი




დიაგრამა 7.6. სუნთქვის სიხშირე



დიაგრამა 7.7. CRP



დიაგრამა 7.8. პროკალციტონინი




**ღია მუცლით მკურნალობა.** მონაცემები დაჯგუფებულია სიმძიმის (საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტი) მიხედვით. შევამოწმეთ ცვლადების (ლეიკოციტი, ამილაზა, კრეატინი, CPR, პროკალციტონინი, ინტრააბდომინური წნევა, პანკრეონეკროზი, არტერიული წნევა, სუნთქვის სიხშირე, ჰოსპიტალიზაციის პერიოდი) სიმძიმეზე დამოკიდებულება. ჩავატარეთ არაპარამეტრული Mann-Whitney ტესტი.


ჯგუფები: საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტი სტატისტიკურად ძლიერ  $P < 0.01$  განსხვავდება ერთმანეთისაგან ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა პროკალციტონინი, პანკრეონეკროზი, არტერიული წნევა, სუნთქვის სიხშირე. სტატისტიკურად სარწმუნოდ  $P < 0.05$  განსხვავდება ერთმანეთისაგან ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა ლეიკოციტი,

ამილაზა, CPR (დიაგრამა 8.1; 8.2; 8.3; 8.4; .8.5); ხოლო ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა კრეატინინი, ინტრააბდომინური წნევა, ჰოსპიტალიზაციის პერიოდი განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არაა  $P>0.05$ . (დიაგრამა 8.6; 8.7; 8.8). აღნიშნება ნაწილი მახასიათებლის (ლეიკოციტოზი, CPR, პროკალციტონი, პანკრეონეკროზი, არტერიული წნევა, სუნთქვის სიხშირე,) მატება წარმოდგენილ ჯგუფებში პაციენტების სიმძიმის მატების შესაბამისად. გარდა კრეატინინის, ინტრააბდომინური წნევის, ჰოსპიტალიზაციის პერიოდის, თუმცა ეს მონაცემები სტატისტიკურად სარწმუნო არაა  $P>0.05$ .


**დიაგრამა 8.1. ლეიკოციტოზი**




**დიაგრამა 8.2 პანკრეონეკროზი**




**დიაგრამა 8.3. CRP**




**დიაგრამა 8.4. პროკალციტონინი**




**დიაგრამა 8.5. ამილაზა**




**დიაგრამა 8.6. კრეატინინი**



**დიაგრამა 8.7. ინტრააბდომინური წნევა**




**დიაგრამა 8.8. ჰოსპიტალიზაციის პერიოდი**




თუ განვიხილავთ კონსერვატიულ მკურნალობას, qSOFA-ს განაწილება განსხვავდება მსუბუქ, საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტით ჯგუფებს შორის, ეს განსხვავება Chi-Square ტესტის მიხედვით, სტატისტიკურად მაქსიმალურად სარწმუნოა  $P < 0.001$ . (დიაგრამა 9.1).

დიაგრამა 9.1 კონსერვატიული მკურნალობა



თუ განვიხილავთ მკურნალობის ტიპს ფასციოტომია, qSOFA-ს განაწილება საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტით ჯგუფებს შორის Chi-Square ტესტის მიხედვით, სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება  $P > 0.05$  (დიაგრამა 9.2). (თუმცა გასათვალისწინებელია მონაცემთა სიმცირე).


დიაგრამა 9.2. ფასციოტომია





თუ განვიხილავთ ღია მუცელით მკურნალობის ტიპს qSOFA-ს განაწილება განსხვავდება საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტით ჯგუფებს შორის, ეს განსხვავება Chi-Square ტესტის მიხედვით, სტატისტიკურად სარწმუნოა  $P < 0.05$ . (დიაგრამა 9.3). (თუმცა გასათვალისწინებელია მონაცემთა სიმცირე).

დიაგრამა 9.3. ღია მუცელი



#### თავი 4. შეჯამება-საკუთარი მასალის ანალიზი

2012–2020 წლებში, თსსუ ქირურგიული №1 დეპარტამენტის ბაზაზე, თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა და რესპუბლიკურ ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, მაღალი ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა და ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრში გატარდა 107 პაციენტი მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზით. ყველა შემთხვევაში დიაგნოზი დადასტურდა კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევებით.


პაციენტების უმეტესობა, იყო მამაკაცი (66%). მათი 34% იყო პროდუქტიული ასაკის. განვითარების მიზეზები და მათი განაწილება სქესის მიხედვით საკმაოდ ტრადიციული იყო. მთლიანობაში, ქოლელითიაზითა და ალკოჰოლის მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენდა დაკვირვებების 90%-ს. პაციენტები მწვავე პანკრეატიტით განპირობებული ქოლედოქოლითიაზით იყო 48%, ალკოჰოლური დატვირთვით 42% და პაციენტთა მცირე

ჯგუფი (10%) იყო იდიოპათიური პანკრეატიტი. მამაკაცებში ეტიოლოგიურ ფაქტორებს შორის, ალკოჰოლის დატვირთვა აშკარად ჭარბობდა (91%, ალკოჰოლური პანკრეატიტის ყველა შემთხვევის), ხოლო ქალებისთვის ქოლელითიაზის არსებობა ყველაზე დამახასიათებელი იყო (მწვავე ბილიარული პანკრეატიტის ყველა შემთხვევის 51%) (ცხრილი 1.1 და 1.2).

მწვავე პანკრეატიტის ატლანტას 2013 წლის მოდიფიცირებული კლასიფიკაციის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, პაციენტები დაყვავით სამ ჯგუფად: 1) მსუბუქი მწვავე პანკრეატიტი (51 პაციენტი); 2) საშუალო სიმძიმის პანკრეატიტი (37 პაციენტი); 3) მძიმე პანკრეატიტი (19 პაციენტი).

მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკას ვახდენდით სხვა ქირურგიული დაავადებების გამორიცხვით, რომელიც ემყარება ანამნეზს, კლინიკურ, ბიოქიმიურ და ინსტრუმენტული კვლევის მონაცემებს. სიმძიმის შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს ვახორციელებდით ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. პოლიორგანული უკმარისობის კორექცია მიმდინარეობდა რენიმატოლოგების მიერ, ამიტომ ამ მიმართულებით ჩატარებულ სამკურნალო ღონისძიებებს ჩვენ აქ არ განვიხილავთ, და ყურადღებას გავამახვილებთ პანკრეონეკროზის მართვაზე.

კომპიუტერული ტომოგრაფია ინტრავენური კონტრასტული გაძლიერებით აუცილებელი პირობაა პანკრეასის ნეკროზის დასადგენად, ხოლო კრიტერიუმია პანკრეასის ლოკალური ან დიფუზური ნეკროზული ზონის იდენტიფიცირება. პანკრეასის ჯირკვლის სიმკვრივე ნეკროზულ უბნებში არ აღწევს 50 ჰუსფილდის ერთეულს, მაშინ როცა ნორმალური გაძლიერება შეესაბამება 50-150 ჰუსფილდის ერთეულს. პანკრეონეკროზის დროს, პანკრეასის მდგომარეობის შესაფასებლად ვიყენებით Balthazar E.J. და Larvin M., მიერ მოწოდებულ და შემდგომ მოდიფიცირებულ მწვავე პანკრეატიტის სიმძიმის შეფასების კტ ინდექსს.



მსუბუქი პანკრეატიტით, პანკრეასის კეროვანი ანუ 30%-მდე ნეკროზი, ჰქონდა 12 პაციენტს, დანარჩენ 39 პაციენტს აღინიშნებოდა შემუშავებითი პანკრეატიტი. საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით 15 პაციენტში და მძიმე პანკრეატიტით 3 პაციენტში ნეკროზის ზონა იყო 30%, მაგრამ მათი სიმძიმე განპირობებული იყო გარდამავალი ორგანული უკმარობით და თანმხლები დაავადებით. პანკრეასის ქსოვილის 30%-დან 50%-მდე (გავრცელებული ნეკროზი) დაზიანება ჰქონდათ საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით 16 პაციენტს და მძიმე პანკრეატიტით 7 პაციენტს, მათთანაც აღინიშნებოდა ორგანული უკმარობა და თანმხლები დაავადებები. სუბტოტალური/ტოტალური ნეკროზი, რომლის დროსაც დაზიანებული იყო პანკრეასის პარენქიმის 50%-ზე მეტი, ჰქონდათ საშუალო სიმძიმის პანკრეატიტი - 6 პაციენტს და მძიმე პანკრეატიტი - 9 პაციენტს (დიაგრამა 10). მძიმე პანკრეატიტით დაავადებულ 9 პაციენტიდან, ოთხთა ორგანოთა უკმარობის ნიშნები კონსერვატული მკურნალობის ფონზე კუპირებული იყო და მათი საბოლოო გამოსავალი ხანგრძლივი მკურნალობის ფონზე (1 თვე) დასრულდა დადებითი შედეგით. დანარჩენ 5 პაციენტს ჰქონდა პანკრეასის სუბტოტალური/ტოტალური დაზიანება და თანმხლები დაავადებები, რომლის კუპირება ვერ მოხერხდა. მათთან აღინიშნა ლეტალური გამოსავალი.

პანკრეასი ქსოვილის 30%-ზე მცირე დაზიანებისას პაციენტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში დაავადების მიმდინარეობა იყო გაურთულებელი. მიგვაჩნია, რომ

პანკრეასის ნეკროზის მცირე მოცულობამ (<30%) პანკრეატიტის კლინიკურ ადრეულ-პირველ ფაზაში არ გამოიწვია ინფექციური გართულებები და ადრეულ კვებასთან ერთად, ხელი შეუწყო დაავადების დადებით მიმდინარეობას. პაციენტები გაეწერენ კლინიკიდან სტაციონარში მოთავსებიდან მე-2-3 კვირას.

საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტით პაციენტები, რომელთაც პანკრეასის ქსოვილის დაზიანება იყო 30%, დაავადების სიმძიმეს განაპირობებდა ორგანოთა გარდამავალი უკმარობა და თანმხლები დაავადებები. პანკრეასის ქსოვილის 30%-50% და მეტი დაზიანების შემთხვევაში, პაციენტების სიმძიმის ხარისხი მატულობდა ნეკროზული ქსოვილის მოცულობის და პოლიორგანული უკმარობის ზრდის ხარჯზე. აშკარაა, რომ პაციენტების სიმძიმის ზრდის ტენდენცია კორელაციაშია პანკრეასში ნეკროზული პროცესის "პროგრესირებასთან". ამიტომ, პაციენტები პანკრეასის გავრცელებული ნეკროზით მეტი 30%-ზე, იყვნენ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩვენი მონაცემებით საშუალო და მძიმე პანკრეატიტით პაციენტებში, გართულებული სისტემური და თანმხლები დაავადებებით, პანკრეასის ნეკროზის მოცულობის მატებით იზრდებოდა ავადმყოფთა მდგომარეობის სიმძიმე, მატულობდა ინფიცირების სიხშირე, უფრო ხშირად იზრდებოდა ქირურგიული ჩარევის ჩვენებები. საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით 7 პაციენტთან და მძიმე პანკრეატიტით 11 პაციენტთან მკურნალობის კომპლექსში ჩართული იყო ღია მუცლის მეთოდით მკურნალობა. მძიმე პანკრეატიტის სისტემურ დარღვევებს მიეკუთვნებოდა გართულებები, როგორცაა შოკი, რესპირაციული უკმარისობა, თირკმლის უკმარისობა, კოაგულოპათია, მძიმე მეტაბოლური დარღვევები.

ხშირად კტ-ს მონაცემები თანხვედრაში იყო კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემებთან განსაკუთრებით ადრეულ სტადიაზე (დაავადების დაწყებიდან მე-5-8 დღეს). მოგვიანებით სტადიაზე (3-4 კვირის შემდგომ) კტ-ს და კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემებთან კორელაცია ირღვეოდა. კლინიკური მონაცემების გაუმჯობესების ფონზე, კტ-ს მონაცემებში

კვლავ რჩებოდა მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ცვლილებები, რაც შემდგომ კტ-ს დინამიურ კონტროლს საჭიროებდა. ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის მეთოდებს შორის, კტ-ს შეუძლია გადაჭრას პანკრეონეკროზის ინფექციური გართულების დიაგნოზის პრობლემა: ინფექციის ერთერთი ნიშანია, პათოლოგიურად შეცვლილ ადგილებში აირის ბუშტების არსებობა (სურათი 5).

ამიტომ პანკრეონეკროზის მკურნალობის ტაქტიკა შემდგომ ეტაპებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მორფოლოგიურ კრიტერიუმებზე. ამრიგად, ჩვენ ვთვლით, რომ რენტგენოლოგის როლი არის, ამ მორფოლოგიურ კრიტერიუმების სწორად ასახვა. ამრიგად, გაადვილდება კომუნიკაცია კლინიცისტებს და რადიოლოგებს შორის და რადიოლოგი გახდება მულტიდისციპლინარული გუნდის ერთ ერთი ძირითადი წევრი, მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

პირველადი ანგიო კტ-ს გაკეთების კანდიდატებად განვიხილავდით: 1) პაციენტებს, რომელთაც აქვთ მძიმე მწვავე პანკრეატიტი, რომლებიც არ აჩვენებენ კლინიკურ გაუმჯობესებას კონსერვატული თერაპიიდან 72 საათში; 2) პაციენტებს, რომელთა მდგომარეობა თავიდანვე გაუმჯობესდა, მაგრამ შემდეგ მოხდა მათი მდგომარეობის დამძიმება, რაც შეიძლება გამოიხატოს ცხელებით, ტკივილით, გასტროსტაზით, ჰიპოტენზიით, ჰემატოკრიტის ვარდნით, რაც მიუთითებდა გართულებების განვითარებაზე.

განმეორებით კომპიუტერულ ტომოგრაფიას ანგიოგრაფულ რეჟიმში ვნიშნავდით შემდეგ სიტუაციებში: 1) შესაბამისი კონსერვატული თერაპიის ან ქირურგიული მკურნალობის ეფექტის არარსებობისას ან პაციენტის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო; 2) თუ პირველადი კტ-თი გამოვლინდა პანკრეასის ნეკროზი, მაშინ კტ ვიმეორებდით 7-10 დღის შემდეგ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დაავადების სიმპტომები არ რეგრესირებდა. კლინიკურად გართულებების არარსებობის შემთხვევაშიც მიზანშეწონილად ვთვლით, რომ პაციენტის კლინიკიდან გაწერის წინ ჩაუტარდეს კტ სკანირება, რათა დადგინდეს დაავადების მიმდინარეობის დინამიკა. ვინაიდან, კლინიკო-ლაბორატორიული მაჩვენებლების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, კტ-ს მორფოლოგიური მონაცემები არ

კორელირებდა მათთან. კლინიკურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაწერის შემთხვევაშიც, კტ-ს მონაცემებით პანკრეასში ანთებითი პროცესის კუპირება უმრავლეს პაციენტებში ბოლომდე არ ხდებოდა. ამიტომ გაწერიდან 1-2 თვის შემდეგ დინამიკაში ვსწავლობდით კტ-ს მონაცემებს.

ყოველივე ზემოთქმული ხაზს უსვამს კომპიუტერული ტომოგრაფიის ფასდაუდებელ როლს მწვავე პანკრეატიტის და მისი გართულებების დიაგნოსტიკაში. კვლევა, რომელიც ჩატარდა კტ "ანგიო" რეჟიმში, საშუალებას გვაძლევდა ვუპასუხოთ ყველა მნიშვნელოვან დიაგნოსტიკურ კითხვას პანკრეასის და მის გარშემო სტრუქტურების მორფოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით: არის თუ არა პანკრეასის ნეკროზი, რამდენად ვრცელია და ორგანოს რომელ რეგიონს იკავებს, სითხის დაგროვება, მისი მოცულობა და ლოკალიზაცია. კტ-თი შესაძლებელია დიფერენცირება რამდენად ჩართულია დესტრუქციულ პროცესში რეტროპერიტონული სივრცე, სანაღვლე გზები, მაგისტრალური სისხლძარღვები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა ორგანოები. შესაბამისად, დაინიშნოს ადექვატური კონსერვატიული თერაპია და საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმოს რაციონალური ქირურგიული ჩარევა და მისი მოცულობა.

ჩვენი მონაცემებით, მწვავე პანკრეატიტის მორფოლოგიური ტიპების დასადგენად არჩევის მეთოდი არის კტ კონტრასტით. ულტრაბგერითი კვლევა ხშირად ნაკლებად ინფორმაციულია. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიას (მრტ) ვატარებდით უფრო იშვიათად, მეთოდის შედარებით მაღალი სიძვირისა და ზოგიერთ კლინიკაში დაბალი ხელმისაწვდომობის გამო, მაგრამ მას ვნიშნავდით კტ-ს უკუჩვენებების შემთხვევაში (ორსულები, ალერგიული რეაქციები კონტრასტული საშუალებების მიმართ), ვითვალისწინებდით, რომ ფილტვების მექანიკური ვენტილაციაზე მყოფი პაციენტებისათვის მრტ-ს მეტი დრო სჭირდება კტ-სთან შედარებით. მრტ-ს აქვს კიდევ ერთი უპირატესობა: არაინვაზიური, უკონტრასტო მრტ-ქოლანგიოპანკრეოგრაფია, რომელიც ხელს უწყობს სანაღვლე სადინარებში კონკრემენტების გამოვლენას. მრტ-თი დადასტურებული თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის კონკრემენტით განპირობებული ბლოკის გამო,

5 პაციენტს ჩაუტარდა ენდოსკოპური რეტროგრადული პაპილოტომია კონკრემენტების ექსტრაქციით.

დღესდღეობით არ არსებობს ლაბორატორიული კრიტერიუმი, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მწვავე პანკრეატიტის სიმძიმეს. ჩვენ პაციენტებს სტაციონარში მოთავსებისას ყველას ჰქონდა ამილაზას და ლიპაზას მაღალი მაჩვენებლები (3-5 ჯერ მეტი იყო ნორმაზე). 6-7 დღის შემდეგ ეს მაჩვენებლები კლებულობდა და მსუბუქი პანკრეატიტით 47 პაციენტის, საშუალო სიმძიმის 15 პაციენტის, მძიმე პანკრეატიტით დაავადებული 5 პაციენტის მაჩვენებლები თითქმის მიუახლოვდნენ ნორმას. ლიპაზასთან შედარებით ამილაზა უფრო სწრაფად უბრუნდებოდა ნორმის ზედა ზღვარს. C რეაქტიული ცილა, როგორც პანკრეატიტის მწვავე ფაზის გამომხატველი მარკერი, აქტიურდებოდა დაავადების დაწყებიდან 3-4 დღის შემდეგ. კტ კვლევებიც დაავადების 1-3 დღის გამწვანებაში ვერ იძლეოდნენ პანკრეასში მორფოლოგიური ცვლილებების საზღვრების ზუსტ მონაცემებს. დაავადების დაწყებიდან მე 4-5 დღეს კტ-ს მონაცემები უფრო სარწმუნო ხდება დიაგნოზის დასმის თვალსაზრისით. ამგვარად დაავადების დასაწყისში, ჩვენი მთავარი მიზანი იყო სითხის დანაკარგის, ჰიპოვოლემიური შოკის და შესაძლო ორგანოთა დისფუნქციის მაჩვენებლების კორექცია.

მწვავე პანკრეატიტის დროს განვითარებული ჰიპოვოლემია განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის: ლებინებით, ორალურად საკვების მიღების შემცირებით, ოფლიანობით, გაზრდილი რესპირაციული დანაკარგით, სითხეების მესამე სივრცეში გადანაცვლებით. გარდა ამისა, ანთეზა ზრდის სისხლძარღვთა განვლადობას, აუარესებს პანკრეასის ჰიპოპერფუზიას, რომელიც ხდება პანკრეასის პარენქიმისა ნეკროზის მიზეზი. გამომდინარე აქედან, უფრო მეტად საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტის დროს, დიდი რაოდენობით სითხე იკარგება სისხლძარღვებიდან ინტერსტიციულ ქსოვილში, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა მძიმე ჰიპოვოლემიას. ამიტომ ჩვენ, ინტენსიური თერაპიის პირველ ნაბიჯად ვთვლიდით, სითხის დანაკარგის "აგრესიულ" შევსებას ქსოვილის პერფუზიის გასაუმჯობესებლად. რაც ახდენდა ჰემოდინამიკის ნორმალიზებას, აუმჯობესებდა

ორგანოებში, პანკრეასის ჩათვლით, ჟანგბადის ტრანსპორტირებას და ხელს უშლიდა მასში ნეკროზის პროგრესირებას, რასაც ადასტურებდა კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემები.

მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზით ყველა პაციენტთან, კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეატიტთან პაციენტებში პირველი 12-24 სთ-ში, მკურნალობას ვიწყებდით ადრეული „აგრესიული“ ჰიდრატაციით. ცენტრალური ვენური წნევის მონიტორინგით ვაკონტროლებდით და პრევენციას ვუწევდით ჰიპერჰიდრატაციას, რომელსაც შეეძლო დაემძიმებინა პაციენტების ზოგადი მდგომარეობა, განსაკუთრებით თანმხლები კარდიოლოგიური და/ან თირკმლის დაავადების მქონე პაციენტებში. ვინაიდან ჰიპერჰიდრატაცია იწვევდა ისეთ გართულებებს, როგორცაა ფილტვის შეშუპება, აბდომინური კომპარტმენტ სინდრომი და სხვა. პაციენტები, რომელნიც არ პასუხობდნენ ინტრავენურ ჰიდრატაციას 12-24 სთ-ის განმავლობაში, ადარ ვაგრძელებდით „აგრესიულ“ ჰიდრატაციას, ვინაიდან ცენტრალური ვენური წნევა ამ დროისათვის იყო ნორმის ფარგლებში და პაციენტები უკვე იმყოფებოდნენ ნორმოვოლემიაში.

კომპლექსური კონსერვატული თერაპიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქსოვილების ჰიპოქსიის სიმძიმის შემცირების პრევენცია, რაც თანმდევია ამ დაავადებისათვის. ჩვენ ყველა პაციენტს ვუტარებდით ოქსიგენოთერაპიას სატურაციის მაღალი მაჩვენებლების 97-98% დონეზე შესანარჩუნებლად. საჭიროების შემთხვევაში, გადავდიოდით ფილტვის ადრეულ ხელოვნური ვენტილაციაზე, ქსოვილების ჰიპოქსიის სიმძიმის შესამცირებლად. ინტენსიური თერაპიის დანარჩენი პრინციპები არ განსხვავდება სხვა მწვავე რენიმაციული პაციენტების მკურნალობისგან და მოიცავდა კუჭის სტრესული წყლულების წარმოქმნის პროფილაქტიკას, თრომბოემბოლიური გართულებების და ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევების კორექციას და ა.შ. ინტენსიური თერაპიის მკურნალობის პრინციპები ემყარება შემდეგ “სვეტებს”: სასიცოცხლო ორგანოების ჰომეოსტაზისა და ფუნქციების შენარჩუნებას სათანადო დონეზე, გართულებების



მონიტორინგს და მათ დროულ კორექტივას, ნეკროზის ზონების მეორადი ინფექციის პროფილაქტიკას.

პანკრეასის ნეკროზის ზონების ბაქტერიების კოლონიზაციის გზებიდან, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაწლავის კედლის მეშვეობით მიკროორგანიზმების ტრანსლოკაციას მუცლის ღრუში და შემდგომში ნეკროზულ ზონებში. მკ-ის დაავადებულ პაციენტებში ინფექციური გართულებების თავიდან აცილების ერთერთი გზაა კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე ზეგავლენა, რომელიც მიკროორგანიზმების წყაროდ განიხილება [96, 177]. ნორმალურ პირობებში მიკროორგანიზმების გაღწევა ნაწლავიდან სისტემურ სისხლში მოქცევაში და ენდოგენური სეფსისის განვითარება შეფერხებულია ნაწლავის კედლის ბუნებრივი ბარიერით. ამ ბარიერის შენარჩუნების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია საკვების რეგულარული მიღება და შედეგად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური მოტორული აქტივაცია. ნაწლავის ლორწოვანის უჯრედები, საკვები ნივთიერებების ხანგრძლივი არარსებობის პირობებში ჰიპოქსიის მდგომარეობაში არიან, ამიტომ მათი დეგენერაციული ცვლილებები ვითარდება უკვე მე-4, მე-5 დღეს, რაც ხელს უწყობს მიკროორგანიზმებს ნაწლავის კედლის გამავლობის გადალახვაში და მათ შეღწევაში სისტემატურ სისხლში მოქცევაში ან მუცლის ღრუში, რაც ტრანსლოკაციის ფენომენის არსია [96, 147]. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ პაციენტებში მძიმე ქირურგიული პათოლოგიით, რასაც ასევე მიეკუთვნება პანკრეონეკროზი, ნაწლავთა პარეზის შემთხვევაში, ნაწლავის ქიმუსი და ტრანსლოკაციის ფენომენი, პოლიორგანული უკმარისობის განვითარების ხელშემწყობი ხდება. ჩვენ მსუბუქი პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტთა უმრავლესობას დაავადების დაწყებიდან მე-3-4 დღეს, ბუნებრივი გზით საკვების მიღების უფლებას ვაძლევდით, ნაწლავთა პერისტალტიკის აღდგენის შემდგომ. 8 პაციენტში საჭირო გახდა საკვების მიცემა მცირე ულუფებით ნაზო გასტრული ზონდის დახმარებით. ვინაიდან ბუნებრივი გზით საკვების მიღების შემდეგ აღენიშნებოდათ გულისრევის შეგრძნება, რის გამოც უარს აცხადებდნენ per os საკვების მიღებაზე, თუმცა აუსკულტაციით ისმოდა ნაწლავთა ზომიერი პერისტალტიკური ხმიანობანი და გადიოდნენ აირებზე. მათთან

ნაზოგასტრული ზონდით საკვების მიღება გაგრძელდა 5-7 დღეს, შემდგომში ბუნებრივი გზით საკვების მიღებაზე გადასვლით.

საშუალო სიმძიმის პანკრეატიტით დაავადებული პაციენტთა ნაწილმა, კვება დაიწყო ბუნებრივი გზით. 15 პაციენტმა გააგრძელა კვება ბუნებრივი გზით. 12 პაციენტი იკვებებოდა ნაზოგასტრული ზონდით. 3 პაციენტთან განხორციელდა ენტერალური კვება ნაზოენტერული ზონდის ენდოსკოპური მეთოდით ჩაყენების შემდგომ, ვინაიდან ნაზოგასტრული ზონდით კვება ვერ განხორციელდა კუჭიდან საკვების ევაკუაციის შეფერხების გამო. საშუალო სიმძიმის პანკრეატიტიანი 7 პაციენტი გადავიდა ენტერალურ კვებაზე ნაზოენტერული ზონდის ჩაყენების და მკურნალობის კომპლექსში ღია მუცლის მეთოდის ჩართვის შემდეგ. ისინი ზოგადი გაუტკივარებით ფონზე მკურნალობდნენ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

მძიმე პანკრეატიტით დაავადებული პაციენტთა მცირე ნაწილმა (5 პაციენტი), კვება დაიწყო და გააგრძელეს ბუნებრივი გზით, მათ აღენიშნებოდა ნაწლავთა ზომიერი პარეზი, რომლის კორეგირება ხდებოდა კონსერვატული ღონისძიებებით. 3 პაციენტი იკვებებოდა ნაზოგასტრული ზონდით. მძიმე პანკრეატიტიანი 11 პაციენტი დასაწყისში იკვებებოდა ნაზოგასტრული ზონდით. მათი მკურნალობის კომპლექსში ღია მუცლის მეთოდის ჩართვის შემდგომ, ისინი გადავიდა ენტერალურ კვებაზე, ინტრაოპერაციულად ნაზოენტერული ზონდის ჩაყენებით. ისინი ზოგადი გაუტკივარების ფონზე მკურნალობდნენ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩვენ მომხრე ვართ ადრეულ ენტერალური კვების დაწყებაზე და მის ჩართვაზე კონსერვატული მკურნალობის კომპლექსში, პაციენტის სიმძიმის გათვალისწინებით.

მწვავე პანკრეატიტის მკურნალობის დროს ანტიბიოტიკების გამოყენებაზე სხვადასხვა ვერსიებია. სტერილური პანკრეონეკროზის დროს ანტიბაქტერიული თერაპია ჩაუტარდა 22 პაციენტს (ძველი სტერეოტიპიდან გამომდინარე), ხოლო 29 პაციენტში კონსერვატული თერაპია დასრულდა ანტიბაქტერიული თერაპიის გარეშე. ჩვენი მონაცემებით, მკურნალობის კომპლექსში ანტიბიოტიკების ან მის გარეშე ჩართულობისას, რაიმე

მნიშვნელოვანი განსხვავება კლინიკო-ლაბორატორიულ მონაცემებში ან სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობაში არ აღინიშნებოდა. ამიტომ, ჩვენ ვთვლით, რომ შემუშავებითი პანკრეატიტის და სტერილური პანკრეონეკროზის დროს, ანტიბაქტერიული თერაპიის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს. არც მუცლის ღრუს დეკომპრესიის საჭიროება იყო, ვინაიდან ინტრააბდომინური წნევა მერყეობდა 9-12mm.Hg. ფარგლებში.

ჩვენ ვთვლით, რომ ანტიბაქტერიული თერაპია იმ შემთხვევაში დასაშვებია, როდესაც დაავადების მძიმე ფორმაა და გართულებული თანმხლები დაავადებებით. ინტენსიური თერაპიის კომპლექსში, პანკრეატოტროპული ანტიბიოტიკების ჩართვა მიზანშეწონილია, სისტემური ანთებითი სინდრომის, პოლიორგანული უკმარისობის და პანკრეატოგენული ინფექციის კლინიკური ეჭვის ან დადასტურების შემთხვევაში. პანკრეონეკროზის დროს ინტრავენური ანტიბიოტიკები მცირე რაოდენობით აღწევს ქსოვილებამდე. ამიტომ ვიყენებდით ანტიბიოტიკებს, რომელთაც პანკრეასის ქსოვილში პენეტრაციის უნარი აქვთ. ესენია: კარბაპენემი, ქინლონები, მეტრონიდაზოლი და მაღალი დოზით ცეფალოსპორინები.

შემუშავებითი პანკრეატიტის დროს კონსერვატიული მკურნალობის კომპლექსში უნდა შედიოდეს აგრესიული ჰიდრატაცია, ჰომეოსტაზის და სასიცოცხლო პარამეტრების კორექტირება, ორგანოთა უკმარისობის შეფასების qSOFA ქულების და რადიოლოგიური კვლევების მონიტორინგი. ხანგრძლივი შიმშილის და ანტიბაქტერიული თერაპიის გამოყენების აუცილებლობა არ არის. ჩვენ ვართ მსუბუქი მწვავე პანკრეატიტის კონსერვატიული მკურნალობის მომხრე მის ადრეულ, სტერილურ ეტაპზე, სხვა ქირურგიული გართულებების არარსებობის შემთხვევაში. პანკრეონეკროზის შემთხვევებში ლეტალობის ერთერთი მთავარი მიზეზია ნეკროზული ქსოვილების მეორადი ინფექცია, სეფსისი და პოლიორგანული უკმარობა. ამასთან დაკავშირებით, პაციენტის ჰოსპიტალიზაციის პირველივე საათებიდან ზოგიერთი მკვლევარი პრევენციულ ანტიბიოტიკოთერაპიას მიმართავს. ამ მოსაზრებას ჩვენ კატეგორიულად არ ვიზიარებთ.

ინტრააბდომინური ჰიპერტენზია (იაჰ) საშუალო (14-16mm.Hg) და მძიმე პანკრეატიტით (16-17mm.Hg.) პაციენტებში ვითარდებოდა მწვავე პანკრეატიტის დაავადების პირველ-სტერილურ ფაზაში, უფრო სწორად, პირველ 7-9 დღეში, როდესაც ექსუდატი სწრაფად გროვდება პარაპანკრეასულ, პარაკოლურ, პარანეფრალურ სივრცეებში, რასაც ადასტურებდა ექოსკოპიის (სურათი 10) და კტ მონაცემები (სურათი 1, 3). ამიტომ დაავადების დასაწყისში და შემდგომ ჩატარებული აგრესიული ჰიდრატაცია საჭიროებს ინტრააბდომინური წნევის მკაცრ მონიტორინგს და მასთან კორელაციაში ინფუზორი თერაპიის გაგრძელებას. გასათვალისწინებელია, რომ ინტრააბდომინური წნევის მატება უნდა შეფასდეს კლინიკურ და ლაბორატორიულ პარამეტრებთან ერთად.

იაჰ-ის სისტემური მოქმედების ერთ-ერთი მექანიზმია ნაწლავის ბარიერული ფუნქციის დარღვევა ჰიპოქსიის გამო. რაც იწვევს მიკროორგანიზმების ტრანსლოკაციას ნაწლავის კედლის ანატომიური დაზიანების გარეშე მუცლის ღრუში.

ინტრააბდომინური წნევის შემცირების მართვა ნაზოგასტრული და სწორი ნაწლავის მილით, მარტივი და დროებითი საშუალებაა. ამიტომ საჭირო ხდება მუცლის ღრუს უფრო აქტიური და ქმედითი დეკომპრესია. მუცლის კედლის რელაქსირება თავდაპირველად ამცირებს ინტრააბდომინურ წნევას. მაგრამ როდესაც მუცლის კრიტიკული მოცულობა მიიღწევა, მუცლის კედლის ელასტიურობა მკვეთრად იკლებს. მუცლის მოცულობის შემდგომი ზრდა ამ კრიტიკულ დონეზე მაღლა იწვევს ინტრააბდომინური წნევის და კომპარტმენტ სინდრომის განვითარებას.

მუცლის ღრუს დეკომპრესიის სირთულე აკს-ის დროს, რომელიც წარმოიქმნება მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტის ფონზე, არის ის, რომ ლაპაროტომია პირველი ფაზის ეტაპზე უკიდურესად არასასურველი და მავნე მანიპულაციაა, ნეკროზული ზონების თითქმის გარდაუვალი ინფიცირების გამო, რომლებიც ჯერ არ არის სეკვესტრირებული, რაც მნიშვნელოვნად ამძიმებს პროგნოზს.

მუცლის ღრუს დეკომპრესიის ყველაზე ოპტიმალური მეთოდის არჩევას, რომელიც წარმოიშვება მწვავე პანკრეატიტით დაავადებულ პაციენტებში, საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების დაცვა: ჩარევა უნდა იყოს რაც შეიძლება მინიმალურად ტრავმული. ოპერაციამ უნდა გამოიწვიოს მუცლის ღრუს მოცულობის მაქსიმალური მატება. პერიტონეუმის მთლიანობის შენარჩუნება სავალდებულოა. ყველა ამ პირობას აკმაყოფილებს ფასციოტომია ანუ აპონევროზის ფართო დისექცია მუცლის თეთრი ხაზის გასწვრივ. ამ მანიპულირების დროს მუცლის ღრუს მოცულობა იზრდება მუცლის სწორი კუნთების დიასტაზის, პერიტონეუმის და კანისა და გაჭიმვის ხარჯზე. ვინაიდან მანიპულაცია სრულდება პერიტონეუმის დაზიანების გარეშე, შენარჩუნებულია მუცლის ღრუს ჰერმეტიზმი. დროული ფასციოტომია და ინტენსიური თერაპიის თანამედროვე მკურნალობის კომპლექსის გამოყენება საშუალებას იძლევა მივაღწიოთ ინტრაბდომინური წნევის შემცირებას და აკს-ის განვითარების პრევენციას. ფასციოტომიის შემდეგ ვღებულობთ სწორი კუნთების 10-12 სმ-ის სიგანის დიასტაზს. ჩვენ ფასციოტომიის დროს უპირატესობას ვანიჭებთ კანზე განივი განაკვეთების გატარებას, ვერტიკალურ განაკვეთებთან შედარებით (სურათი 21, 22). ვინაიდან კანქვეშა გვირაბის გაკეთება უფრო ადვილია და კანზე დადებული ნაკერების ჩაჭრის შემთხვევაში ჭრილობის კიდეები ერთმანეთს არ სცილდება, არ ჩნდება ჭრილობის ფართო დეფექტი, რაც დამახასიათებელია ვერტიკალური განაკვეთისთვის. ფასციოტომიის შემდეგ, ინტრაბდომინური წნევა მცირდება 4-დან 6 mm.Hg.-მდე.

დეკომპრესიულ ფასციოტომიას, კომპარტმენტ სინდრომის განვითარების პროფილაქტიკის მიზნით, ვიწყებდით ინტრაბდომინური წნევის 18-19mm.Hg. ფარგლებში. ვინაიდან ამ წნევაზე მეტის შემთხვევაში იწყება ტრანსლოკაციის ფენომენი და სტერილური ნეკროზული კერების დაინფიცირების შესაძლებლობა. 20mm.Hg.-ზე დაბლა არსებული წნევისას, ჩატარებული ფასციოტომია ასოცირდება ორგანოს პერფუზიის გაუმჯობესებასთან, აბდომინური კომპარტმენტ სინდრომის პროფილაქტიკასთან და კარგ გამოსავალთან. მწვავე პანკრეატიტის ორივე კლინიკურ ადრეულ და გვიან ფაზებში. ანტიბაქტერიული თერაპია ამ ჯგუფში არ ჩავრთეთ გამიზნულად, ვინაიდან ფასციოტომიის

დროს, მუცლის ღრუ არ იხსნებოდა, ანუ სტერილური პანკრეონეკროზი ფასციოტომიის შემდეგ არ ინფიცირდება. რამაც საბოლოო ჯამში დადებითი ეფექტი მოგვცა.

ჩვენს კლინიკურ პრაქტიკაში პირველად გამოვიყენეთ კანქვეშა ფასციოტომიის მეთოდი საშუალო სიმძიმის და მძიმე პანკრეონეკროზით 17 პაციენტში. აბდომინური კომპარტმენტ სინდრომის სამკურნალოდ 5 პაციენტს დადებითი შედეგით, 12 პაციენტს პროგრესირებადი მძიმე პანკრეონეკროზის გამო, ფასციოტომიის შემდეგ მკურნალობა გაგრძელდა ღია მუცლის მეთოდით. ერთ პაციენტთან კლინიკური გაუმჯობესების შემდეგ, მუცლის თეთრი ხაზის აპონევროზი გაიკერა ვენტრალური თიაქრის განვითარების პროფილაქტიკის მიზნით. რეაბილიტაციის შემდეგ, 2 პაციენტმა გაიკეთა თიაქარპლასტიკა ვენტრალური თიაქრის გამო.

მწვავე პანკრეატიტის პირველი ეტაპი (10-14 დღე) ხასიათდება პანკრეასის და პერიპანკრეასული ნეკროზის წარმოქმნით, აგრეთვე სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის(SIRS) განვითარებით, შემგომში ორგანოთა ადრეულ უკმარისობით, რაც მოითხოვს ინტენსიურ მეთვალყურეობას. მეორე ეტაპზე (2 კვირის შემდეგ) გართულებებისა და ლეტალობის ძირითადი მიზეზი არის სუპერინფექცია ნეკროზის ზონაში და სეპტიკური პოლიორგანული უკმარისობის განვითარება.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი პანკრეონეკროზის მკურნალობის პროცესში. ინტენსიური თერაპიის ეფექტურობის მატებასთან ერთად, იმატა კონსერვატიული მკურნალობის ტენდენციამ, მაშინ როდესაც ქირურგიულ მკურნალობას (მინიინვაზიურს ან ღია მუცელს) ძირითადად მიმართავენ ნეკროზულ ზონებში ინფექციური პროცესის გამოვლენისას, თუმცა პანკრეონეკროზის მკურნალობაში ბევრი პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება.

პანკრეონეკროზის კომპლექსური მკურნალობისას, კონსერვატიული თერაპიისა და ფასციოტომიის შემდეგ, როდესაც მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, დაავადების კუპირება ვერ ხერხდება და სტერილური პანკრეონეკროზი გადადის ინფიცირებულში,

საჭირო ხდება უფრო აგრესიული მკურნალობის: ულტრაბგერის და კტ კონტროლით პუნქცია/დრენირება და/ან ღია მუცლის მკურნალობის მეთოდის გამოყენება. ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის დროს ჩვენ პუნქციის/დრენირების გადაწყვეტილებას ვიღებდით ინტრააბდომინურ წნევაზე 15-17mm.Hg. ფარგლებში. ფასციოტომიის ჩვენებაზე ვფიქრობდით 18-20mm.Hg ინტრააბდომინური ჰიპერტენზიის დროს. ფასციოტომიის უეფექტობის შემთხვევაში და მზარდი ინტრააბდომინური წნევისას 21-25mm.Hg. ფარგლებში გადავდიოდით ქირურგიულ მკურნალობაზე (ლაპაროტომია, საკვესტრექტომია), კლინიკო ლაბორატორიული მონაცემების გათვალისწინებით. თუ მსუბუქი პანკრეატიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა დასრულდა პანკრეატიტის კლინიკურ ადრეულ ფაზაში. მაშინ საშუალო სიმძიმის პანკრეატიტის მკურნალობა მიმდინეობდა ორივე ფაზის განმავლობაში.

ჩვენ ჩამოვყალიბეთ ქირურგიული ოპერაციის ჩვენებები და უკუჩვენებები.

